საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№12 (388)
29 მარტი - 4 აპრილი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

# «პლასტილინის კაცი»

## პრეზიდენტი, რომელმაც ქსოვას თავი მიანება და მიზანმიმართულად მავნებლობს



„თუ ამ თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგელობით დავტვირთავთ და დავადგენთ, რომ ერთ-ორ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დაკავების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება. ვთვლი, რომ ქართველ ერს არ აქვს სურვილი და ფუფუნება, რომ ძვირად ღირებული და უსაქმური მაღალჩინოსანი შეინახოს. ვთვლი, რომ ეს მაღალი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული“.

*„საქართველო და მსოფლიო“ №6, 2013 წლის 20-26 თებერვალი*

10

# «ბოროტების ტელემანქანა»



6

«საშველი არ დაადგა ახალი ნიურნბერგის პროცესის ჩატარებას, რა კოაბიტაცია, რის თანაცხოვრება! ხალხი ელოდებოდა, რომ სისხლიანი რეჟიმის შემდეგ მოხდებოდა სამართლიანობის აღდგენა, ისე, როგორც ეს თავის დროზე დავით აღმაშენებელმა გააკეთა რუის-ურბნისის კრებაზე, როცა «ნარკვეთა ვერღირსებით აღზევებულნი»

# «ევროპიდან დაფინანსებული სექტები საქართველოს სახელმწიფოებრიობას ებრძვიან»

2



«ყველანაირად ცდილობენ, ძირი გამოუთხარონ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ეს არის ბრიუსელის დავალება და ამ დავალებას, არა მხოლოდ ის სექტები, ხელისუფლების წარმომადგენლებიც გულმოდგინედ ასრულებენ»

# «2050 წელს ორი მილიონიც არ ვიქნებით!»



«აზერბაიჯანის, თურქეთის, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა ინტენსიურად იმატებს. ეს იმიტომ, რომ იქ ამ მხრივ სწორი პოლიტიკა აქვს სახელმწიფოს და ჯანსაღი პროპაგანდა მიმდინარეობს. ჩვენ კი დღითიდღე ვმცირდებით და ვქრებით, სულ მალე ჩვენსავე ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით»

3


«ევროკავშირს დღეს კრიზისი აქვს და კრიზისი, სამედიცინო ტერმინოლოგიით, ნიშნავს მდგომარეობას, როცა პაციენტი ან გადარჩება, ან არა» 2

«ჯერ ქვეყანა გახადონ სამვარსკვლავიანი და მერე გველაპარაკონ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებზე» 3

4 ლონდონის თავზე ჯიჰადის დროშა ფრიალებს

«თუ მართლა სახალხო ზეიმი გინდოდათ, იმ შეპირებული 100 საწარმოდან ერთი მაინც გაგეხსნათ» 5

8 კვირიკაშვილის ინიციატივა და ივანიშვილის გაფრენილი «აღმშენებლობითი» იდეები

14 ჩამოართმევენ თუ არა საქართველოს პრეზიდენტს ჩინჩვლის უფლებას?

ხალხი იყეფებს, ოპოზიცია იყივლებს და სოფელიც აშენდება... თუმცა, რაღა სოფელი, ქალაქი, ბატონებო, ქა-ლა-ქი! 15

16 «საქართველოში ნეოლიბერალური ტერორი მძვინვარებს»

18 ტრამპისა და რუსეთის წინააღმდეგ ამერიკული მედიის ინსინუაციები ნეომაკარტიზმი და სიგიჟეა

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როგორც რესტორნებსა და სხვა კომერციულ დაწესებულებებს ბეგრავენ, ისე ბეგრავს დღეს სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიას. რა შეღავათებზეა საუბარი, ფული აქვთ აღებული ამ უნამუსო ადამიანებს და ყვირიან, თითქოს ჩვენ რაღაც სასათბურე პირობებში ვართ. ეს არის თითიდან გამოწოვილი თემა და, რეალურად რაც ხდება, ყველამ ვიცით. ეს სექტები ხელისუფლებაში მყოფ გარკვეულ ძალებთან ერთად ებრძვიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“.**

# ევროპიდან დაფინანსებული სექტები საქართველოს სახელმწიფოებრიობას ებრძვიან

**2017 წლის 23 მარტს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი 671 „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.**

ეს ინფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული. მოსარჩელეები ასაჩივრებდნენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დადგენილ შეღავათებს მოგების გადასახადის, ქონების გადასახადისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის მიმართ. მოსარჩელეთა მტკიცებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსი შეღავათებს მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ აწესებს, რის გამოც სადავო ნორმები არსებითად თანასწორ პირებს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს შორის უთანასწორო მოპყრობას ადგენს.

**კონკრეტულად ვინ და რა ძალები დგას ზემოაღნიშნული რელიგიური ორგანიზაციების უკან, რა მიზნები ამოძრავებთ მათ და რის მიღწევა სურთ ამა თუ იმ ცვლილების შეტანით კონსტიტუციაში — კომენტარისთვის „საქართველო და მსოფლიო“ ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიის წინამძღვარს — მამა გიორგის (რაზმაძეს) დაუკავშირდა.**

**მამა გიორგი (რაზმაძე):**

— ესენი ევროპიდან დაფინანსებული სექტები არიან, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ებრძვიან და ყველანაირად ცდილობენ, ძირი გამოუთხარონ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ეს არის ბრიუსელის დავალება და ამ დავალებას, არა მხოლოდ ის სექტები, ხელისუფლების წარმომადგენლებიც გულმოდგინედ ასრულებენ.

რაც შეეხება მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას, მობრძანდნენ ჩვენთან, ქეთევან წამებულის ეკლესიაში, და ნახონ, რამდენს ვიხდით წყალში, ბუნებრივ აირში, ელექტროენერგიაში. ყველაფერი შეამოწმონ. **როგორც რესტორნებსა და სხვა კომერციულ დაწესებულებებს ბეგრავენ, ისე ბეგრავს დღეს სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიასაც.** რა შეღავათებზეა საუბარი! **ფული აქვთ აღებული ამ უნამუსო ადამიანებს და ყვირიან, თითქოს ჩვენ რაღაც სასათბურე პირობებში ვართ.** ეს არის თითიდან გამოწოვილი თემა და, რეალურად რაც ხდება, ყველამ ვიცით. ეს სექტები ხელისუფლებაში მყოფ გარკვეულ ძალებთან ერთად ებრძვიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და თან ყვირიან, საშინელ მდგომარეობაში ვიმყოფებითო. ეს არის მათი ბრძოლის ერთ-ერთი ტაქტიკა, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, ბრიუსელიდანაა შთაგონებული და იქიდან ფინანსდება. **„ციანიდის საქმეზეც“ რაც ხდება, ესეც ბრიუსელშია დაგეგმილი,** მაგრამ, რეალურად, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ზუსტად ამიტომ აყვირდნენ ახლა ეს ნამუსგარეცხილი სექტანტები და ეს აურზაური, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ ჩაწყნარდება. ატეხავენ გნიასს, მერე რომ არაფერი გამოსდით, ცოტა ხანი ჩაწყნარდებიან. მერე ისევ რაღაც მიზეზს გამოჩხრეკენ და აყაყანდებიან. ესაა მათი ცხოვრება და არსებობის მიზანი, ამისთვის უხდიან ფულს. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, ამას სერიოზულად არც უნდა შევხედოთ. ასეთი ძალები, ალბათ, ყოველთვის იქნებიან, მაგრამ მიზანს ვერასდროს მიაღწევენ, ვერასდოს შეძლებენ თავიანთი მოღალატეობრივი ზრახვების განხორციელებას.



**«ყველანაირად ცდილობენ, ძირი გამოუთხარონ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ეს არის ბრიუსელის დავალება და ამ დავალებას, არა მხოლოდ ის სექტები, ხელისუფლების წარმომადგენლებიც გულმოდგინედ ასრულებენ»**

**P.S.** საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი 671 არსებითად განსახილველად მიიღო სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობისთვის გაწეული მომსახურების, რესტავრაციისა და მოხატვისთვის დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიმართ.

სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში სასარჩელო მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც შეეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსით საქართველოს საპატრიარქოს გათავისუფლებას ქონების გადასახადის, მოგების გადასახადისა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ მხოლოდ რელიგიური მიზნით გამოსაყენებელი საგნების მიწოდებასთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნის ეს ნაწილი ემყარება მოსარჩელე მხარის მიერ სადავო ნორმის არასწორ აღქმას და არსებობს მისი არსებითად განსახილველად არმიღების „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძველი.

საქმეს არსებითად განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია.

დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიმართ.



# ზაზა შათირიშვილი: ევროკავშირს დღეს კრიზისი აქვს და კრიზისი, სამედიცინო ტერმინოლოგიით, ნიშნავს მდგომარეობას, როცა პაციენტი ან გადარჩება, ან არა

**ევროკავშირის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის ამოქმედებაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ განცხადება გაავრცელა. ტექსტში, რომელიც უწყების ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული, აღნიშნულია, რომ მომავალში საქართველო ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი უნდა გახდეს: „ჩვენი ამბიციაა, საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის კი გვჭირდება, რომ ქვეყანა მაქსიმალურად მოემზადოს პრაქტიკული თვალსაზრისით — დანერგოს ევროკავშირის სტანდარტები და მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირს“.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია, აგრეთვე, სამოქმედო გეგმაზე, რომელიც საქართველომ კომპლექსურად უნდა განახორციელოს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისთვის. გეგმა ეფუძნება 6 ძირითად დებულებას: ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების წარმატებით განხორციელებას; ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან, რომელთა წევრობაც სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, მაქსიმალურ ინტეგრაციას; ევროკავშირის მოქმედ პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდას; ევროკავშირის სტრუქტურებთან მოლაპარაკებების სტადიიდან თანამშრომლობის სტადიაზე გადასვლას; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაღრმავებულ დიალოგს; პოლიტიკურ, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ინტეგრაციასთან ერთად, ფიზიკურ ინტეგრაციას ევროკავშირის შიგა ბაზართან.

**კონკრეტულად რა ცვლილებებისა და რეფორმების განხორციელება მოუწევს საქართველოს ევროკავშირში სრული ინტეგრაციისთვის, რას ნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება გარკვეული სტანდარტების დანერგვაზე და რა გარდაქმნებს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში, „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის ფილოსოფოს ზაზა შათირიშვილს დაუკავშირდა.**

**ზაზა შათირიშვილი:**

— თვით ევროკავშირია ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე და, აქედან გამომდინარე, ევროკავშირში საქართველოს შესვლა მათ დღის წესრიგში არ დგას. მეტიც, ევროკავშირს დღეს კრიზისი აქვს და კრიზისი, სამედიცინო ტერმინოლოგიით, ნიშნავს მდომარეობას, როცა პაციენტი ან გადარჩება, ან არა. მარტივად რომ ვთქვათ, ვითარება ძალიან ბუნდოვანია და არავინ იცის, რა იქნება, ვთქვათ, ხუთი წლის შემდეგ. **ექსპერტები, ანალიტიკოსები პროგნოზს ვერ აკეთებენ. ამდენად, საუბარი საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების პერსპექტივაზე ნაადრევი მგონია. თვით ევროკავშირის პერსპექტივაა ბუნდოვანი.**

**— ე.წ. ვიზალიბერალიზაციაზე რას ფიქრობთ? ადეკვატურია ის ეიფორია და აჟიოტაჟი, რომელიც ამ მოვლენამ გამოიწვია საქართველოს პოლიტიკურ ისტებლიშმენტში?**

— თავისთავად ეს დადებითი მოვლენაა, მაგრამ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს რაღაც ფუნდამენტურ ცვლილებებს გამოიწვევს, ცოტა არ იყოს, ნაადრევი დასკვნა მგონია. მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპაში წასვლა პრობლემა არ იყო. მაგალითად, შესანიშნავი ქართველი ფილოსოფოსი, **მოსე გოგიბერიძე,** ისე წავიდა გურიიდან ბერლინში, თბილისში ნამყოფი არ იყო. მთავარი პრობლემა დღეს არის ის გამოწვევები, რომლებიც დგას ევროკავშირის წინაშე და მათთვის ეს გამოწვევებია პრიორიტეტი. არავინ იცის, საით წაგვიყვანს ეს პროცესები, სრული გაურკვევლობაა და ყველაზე მეტად ამაზეა კონცენტრირებული დღეს დასავლეთი.

რაც შეეხება საქართველოს, ვფიქრობ, ჩვენს პოლიტიკურ ისტებლიშმენტში სრული გაურკვევლობაა ამ გაურკვევლობის მიმართ, ანუ მათ ჯერ ისიც კი არ იციან, რომ გაურკვევლობის ფაზაში ვართ. მხედველობაში მყავს ხელმძღვანელობა, თორემ, საზოგადოდ, ქვეყანაში, ვიმედოვნებ, ვიღაცები ხედავენ და აცნობიერებენ, რა მდგომარეობაა მსოფლიოში, რა გარდაქმნები მიმდინარეობს და რა მიმართულებით შეიძლება პროცესები განვითარდეს.

**«ვითარება ძალიან ბუნდოვანია და არავინ იცის, რა იქნება, ვთქვათ, ხუთი წლის შემდეგ»**

**გვერდი მოამზადა ჯაბა ჟვანიამ**

**„გაერო, უკვე წლებია, აქვეყნებს მონაცემს, რომ 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28%-ით შემცირდება. ეს უკვე არახალია, მაგრამ, რაც შეეხება ბოლო მონაცემს, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ არასწორია. ამ მონაცემის თანახმად, 2050 წლისთვის ჩვენი მოსახლეობა სამი მილიონიც აღარ იქნება, ანუ 2 985 ათასამდე შემცირდება, არადა, ეს უკვე ასეა — ქართველები აღარ ვართ სამი მილიონი; ასე რომ, რეალურად მდგომარეობა იმაზე გაცილებით სავალალოა, ვიდრე გაეროს მონაცემი ცხადყოფს, ჩვენ უკვე ვდგავართ დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე“.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დემოგრაფიული კატასტროფა — ერისა და სახელმწიფოს ნელი სიკვდილი

**გაეროს მიერ ჩატარებული კვლევისა და დემოგრაფიული სიტუაციის პროგნოზის მიხედვით, თუ საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა და სტრატეგია უახლოეს მომავალში არ შეიცვალება, 2050 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობა 2 985 000-მდე შემცირდება. ამ კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, 2002 წლის მონაცემთან შედარებით. 15%-ით შემცირდა და 3 714 804 ადამიანი შეადგინა. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კიდევ ერთი კვლევის თანახმად, ოჯახებში ბავშვთა რაოდენობის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება სიღარიბის მაჩვენებელიც. შესაბამისად, გაერო თავის რეკომენდაციაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების თვალსაზრისით. კონკრეტულად რა მდგომარეობაა დღეს ქვეყანაში დემოგრაფიული კუთხით, რა პრობლემებია გადასაჭრელი და ადეკვატურია თუ არა ხელისუფლების პოლიტიკა ამ მიმართულებით, გვესაუბრება დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე:**



## «მდგომარეობა იმაზე გაცილებით სავალალოა, ვიდრე გაეროს მონაცემი ცხადყოფს»

— გაერო, უკვე წლებია, აქვეყნებს მონაცემს, რომ 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28%-ით შემცირდება. ეს უკვე არახალია, მაგრამ, რაც შეეხება ბოლო მონაცემს, პირდაპირ შემიძლია, გითხრათ, რომ არასწორია. ამ მონაცემის თანახმად, 2050 წლისთვის ჩვენი მოსახლეობა სამი მილიონიც აღარ იქნება, ანუ 2 985 ათასამდე შემცირდება. არადა, ეს უკვე ასეა — ქართველები აღარ ვართ სამი მილიონი; ასე რომ, რეალურად მდგომარეობა იმაზე გაცილებით სავალალოა, ვიდრე გაეროს მონაცემი ცხადყოფს, **ჩვენ უკვე ვდგავართ დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე...**

**— 2050 წელს, ალბათ, ორი მილიონიც არ ვიქნებით.**

— თუ ასე გაგრძელდა, ცხადია, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რეგიონები, სოფლები დაიცლება და გაუკაცრიელდება. ჯერ ისედაც აღარ დარჩა ხალხი სოფლებში და წარმოიდგინეთ, 20-30 წელიწადში რა იქნება. **ეს არის ერისა და სახელმწიფოს ნელი სიკვდილი და ამ მიმართულებით გადასადგმელია სერიოზული ნაბიჯები.**

რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას, ადრე იყო გარკვეული დაინტერესება და თითქოს რაღაც პროცესები დაიძრა, მაგრამ, რომ გითხრათ, ამას მნიშვნელოვანი შემოტრიალება მოჰყვა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. **დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად, უწინარესად, საჭიროა ფინანსები და პოლიტიკური ნება, ეს ფინანსური ნაკადი ზუსტად, მიზნობრივად რომ მოხმარდეს საქმეს, აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია საინფორმაციო მხარდაჭერა და სხვადასხვა სახის წამახალისებელი კამპანია, რომლებიც შობადობის მომატებაზე იქნება ორიენტირებული, თუმცა ჯერჯერობით მსგავსი პროცესების პერსპექტივა არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, პრობლემის სირთულის შესაბამისი დაინტერესება ამ საკითხზე არ არის, ამიტომაა მდგომარეობა საგანგაშო, ამიტომაა, რომ ციფრები, რომლებსაც კვლევები გვიჩვენებს, სულ უფრო კატასტროფულია.** ჩვენს ყველა მეზობელ სახელმწიფოს გაცილებით უკეთესი დემოგრაფიული მდგომარეობა აქვს — აზერბაიჯანის, თურქეთის, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა ინტენსიურად იმატებს. ეს იმიტომ, რომ იქ ამ მხრივ სწორი პოლიტიკა აქვს სახელმწიფოს და ჯანსაღი პროპაგანდა მიმდინარეობს. ჩვენ კი დღითიდღე ვმცირდებით და ვქრებით, სულ **მალე ჩვენსავე ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით...**

მოამზადა **ჯაბა ჟვანიამ**



**გია ხუხაშვილი:**

# ჯერ ქვეყანა გახადონ სამვარსკვლავიანი და მერე გველაპარაკონ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებზე

**„საკუთარ ეკონომიკურ აქტივობაზე გიგანტომანიით დაავადნენ და, სხვა პოზიტივს რომ ქმნიან, ასეთ ოდიოზურ პროექტებს იგონებენ. თეორიულად მათი ინიციატივა თითქოს ცუდად არ გამოიყურება — ერთი შეხედვით კარგია, რომ მთავრობა კომპაქტურად იყოს განლაგებული და უკეთესად კოორდინებული, მაგრამ დროსა და სივრცეში არიან დაკარგულები. დღეს, როდესაც ამდენი პრობლემაა ქვეყანაში, ასეთი ტიპის პროექტების დაწყება აბსოლუტურად არაადეკვატურია და შეუსაბამოა იმ სოციალურ რისკებთან, რომლებიც ქვეყანაში არსებობს. ის არგუმენტი, თითქოს ამით მშენებლობის სტიმულირებას მოახდენენ, იმდენჯერ მოვისმინეთ მიშა სააკაშვილის დროს, რომ სირცხვილია. ნუ დაემსგავსებიან იმათ, ვისაც ჩვენ ვებრძოდით და რის გამოც მოვიყვანეთ ეს ადამიანები ხელისუფლებაში. ჯერ ქვეყანა გახადონ სამვარკვლავიანი, სადაც ადამიანებს საჭმლის ფული არ აქვთ, და მერე გველაპარაკონ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებზე“, — განაცხადა ხუხაშვილმა.**



ამასთანვე, ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ პროექტი ეკონომიკურად კარგად არ არის დათვლილი და უსაფრთხოების მხრივ პრობლემებსაც ქმნის.

„ის ამონაგები, რომელიც არსებული ინფრასტრუქტურის რეალიზაციიდან თეორიულად შეიძლება მივიღოთ, რამდენად ადეკვატურია იმ თანხის, რამდენიც ეს ქალაქი დაჯდება?! ვფიქრობ, ეს გათვლები არავის გაუკეთებია და მხოლოდ ზეპირი განცხადებები კეთდება. გარდა ამისა, სანამ ეს ქალაქი არ აშენდება, ბუნებრივია, ის შენობები ვერ დაიცლება და, შესაბამისად, ხარჯები წინასწარ იქნება გასაწევი, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი კომპენსირება. მანამდე რა შეიძლება გახდეს ამ მშენებლობის წყარო? **კიდევ დგება უსაფრთხოების საკითხი.** მოგეხსენებათ, საქართველო საკმაოდ აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობს და წარმოიდგინეთ, დაიწყო პროტესტი, დადგეს კარვები. როგორ წარმოუდგენიათ მათ, როდესაც მთელი მთავრობა, მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, ერთ წერტილში განლაგდება და ხომ არ მოხდება ისე, რომ ნებისმიერი პოლიტიკური მღელვარების შემთხვევაში მთლიანად მთავრობა პარალიზებული იქნება? უსაფრთხოების კუთხით, ვფიქრობ, არავის უფიქრია. რისკების დივერსიფიცირება ყოველთვის უკეთესია. როდესაც ყველა ერთად გროვდება, მთელი ხელისუფლება, უკმაყოფილო ხალხმა შეიძლება მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების პარალიზება მოახდინოს“, — განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ექსპერტი **სოსო ცინცაძე** სამთავრობო ქალაქის მშენებლობის თაობაზე აცხადებს, რომ იდეა სოციალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანას ემსახურება. ექსპერტი მიიჩნევს, რომ გრანდიოზული პროექტი იდეის დონეზე კარგია, თუმცა, ქართული პრაქტიკიდან გამომდინარე, განუხორციელებელია საქართველოსთვის.

**„იდეა ბრწყინვალეა და ეს არ არის ჩვენი მთავრობისა და გახარიას ნოუ-ჰაუ. ევროპის, აზიის, აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში არის სამთავრობო უბნები, რაიონები, რომლებშიც განთავსებულია ადმინისტრაციული შენობები, პრემიერმინისტრის ან პრეზიდენტის რეზიდენციები, მაგრამ მეორე საკითხია, თუ როგორი განსახორციელებელია ის ჩვენთან. მაგალითად, ამერიკაში უმუშევრები დახმარებას იღებენ, იდეა კარგია, მაგრამ ახლა ჩვენმა პრემიერმინისტრმა ეს რომ თქვას, განუხორციელებელია ხომ? ჩვენი, ქართული, პრაქტიკიდან გამომდინარე, ეს მხოლოდ კეთილი სურვილებია. ამბობენ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო კარგი შენობაა და კარგად გაიყიდება. ეს შენობა ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან ავარიულია და არავინ იყიდის. ასეთი დიდი ადმინისტრაციული შენობები საქართველოში დიდი წვალებით იყიდება და უმრავლესობა ვერ იყიდება. მე მგონია, რომ ეს არის კარგად მოფიქრებული სულ სხვა გეგმა — ჩვენი გაჭირვებიდან ყურადღების რაღაცაზე გადატანის“,** — განაცხადა ცინცაძემ.

ექსპერტი მთავრობას იმისთვისაც აკრიტიკებს, რომ სამთავრობო ქალაქის იდეა მანამდე გაჟღერდა, სანამ ხარჯებს დაითვლიან.

„კვირიკაშვილმა თქვა იდეა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯერ არც გაანგარიშება არსებობს, არც ისაა დათვლილი, რამდენი შენობა უნდა აშენდეს; არც ის, რომელი გაიყიდება. მთავრობის კანცელარიის მყიდველის პოვნა წარმოუდგენელია, ელემენტარულად, იქ რომ სასტუმრო აშენდეს, პარკინგის ადგილიც კი არ ექნება. როგორ შეიძლება იქ სასტუმრო გაკეთდეს?! იდეას შემოაგდებენ, აღტკინებული მოქალაქეთა ჯგუფი „ფინთი არიფივით“ ავარდება, იწყება თოქ-შოუები, მიდის საუბარი ვარგა-არ ვარგაზე და მთავარი თემიდან ყურადღება გადადის. სადაც განსაკუთარებით მწვავეა სოციალური პრობლემები, ნებისმიერი ხელისუფლება ცდილობს ხალხის ყურადღების გადატანას ნეიტრალურ პრობლემაზე. ეს ჩვეულებრივი საკითხია. ჟურნალისტები „წამოეგეთ ამ ანკესზე“, ამ დროს კი ყურადღება გადატანილია იმაზე, რომ ყოველდღიურად იზრდება დახმარების მთხოვნელთა რაოდენობა. ვფიქრობ, ეს იდეა მოქალაქეთა სკეპტიციზმს ვერ გასცდება და ორი წლის შემდეგ, მთავრობას ვინმე თუ შეახსენებს, რატომ არ განახორციელეთო, მთავრობა იტყვის, გვინდოდა განხორციელება, მაგრამ მოსახლეობამ არ დაგვიჭირა მხარიო. გაზაფხული საქართველოში ჩვეულებრივ მშიერი თვეებია და სოციალური ფონიდან ყურადღების გადასატანად ეს იდეა გამოიყენეს. მე ასე მგონია“, — განაცხადა სოსო ცინცაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დააანონსა, რომ ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობა იწყება, რომელშიც პრაქტიკულად ყველა სამინისტრო განთავსდება, გამონაკლისის გარეშე.

მოამზადა **ეკა ზარნაძემ**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრადიციული ისლამის მიმდევრებისთვის არ არსებობს უნივერსალური ფორმულა, რომელიც პოლიტიკურ პრობლემებს აგვარებს ან სახელმწიფო მოწყობის რომელიმე მოდელს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს; ექსტრემისტები კი თვლიან, რომ მმართველობის უზენაესი ფორმა ხალიფატია და მის შექმნას პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევენ. ეს მათ მმართველობის ტოტალიტარული მოდელებისკენ და, შესაბამისად, დემოკრატიის უარყოფისკენ უბიძგებს.**

# ლონდონის თავზე ჯიჰადის დროშა ფრიალებს

**22 მარტს, ზუსტად 4 წლის შემდეგ ბრიუსელის ცნობილი ტერაქტიდან, ლონდონის ვესტმინსტერის ხიდზე ტერორისტი ავტომობილით ათეულობით გამვლელს დაეჯახა. დაიღუპა 4 და დაშავდა 40 ადამიანი; დიდი ბრიტანეთის სახელგანთქმული სპეცსამსახურები, უსაფრთხოების დახვეწილი სისტემით, ისეთივე უძლურნი აღმოჩნდნენ, როგორც თავის დროზე მათი კოლეგები ბრიუსელიდან, პარიზიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან.**



ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტერორისტულ აქტს ერთი ადამიანი გეგმავს და ახორციელებს (წინასწარი ინფორმაციიდან ასე ჩანს). ექსპერტები წუხილით აღნიშნავენ, რომ მსგავსი შემთხვევების რაოდენობა იზრდება. სახელმწიფოს შეუძლია, მოიპოვოს ინფორმაცია და გაშიფროს ტერორისტული ქსელის ან იატაკქვეშა ჯგუფის მოქმედება, მაგრამ არ ძალუძს, ცალკე აღებული ექსტრემისტის „თავში ჩაიხედოს", თუ ის საკუთარი განწყობისა და გეგმების შესახებ არავის ესაუბრება.

ტერაქტის შემდეგ ტერეზა მეის კაბინეტმა მიიღო დამატებითი არგუმენტი საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებისთვის და „ბრექსიტის" კურსის გამართლებისთვის. ამასთანავე, შოტლანდიის პარლამენტმა დამოუკიდებლობაზე მეორე რეფერენდუმის დანიშვნის საკითხის განხილვა გადადო, რამაც ლონდონს გარკვეული ტაქტიკური უპირატესობა მიანიჭა. თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, რომ **მეის კაბინეტს შესაძლებლობა მიეცა, მხარში ამოუდგეს აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას, რომელიც აპირებს, გაამძაფროს ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ სირიასა და ერაყში.** ოპოზიციას არგუმენტები მოაკლდება, ხოლო ხელისუფლება დონალდ ტრამპის ახალ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში მხარს, სავარაუდოდ, ისევე თანმიმდევრულად დაუჭერს, როგორც ამას ტონი ბლერის მთავრობა აშშ-ის ერაყულ კამპანიასთან დაკავშირებით აკეთებდა. შეურიგებელი დამოკიდებულება ტერორიზმის მიმართ გამოიხატება ნატოს მორიგ სამიტზეც, რომელიც მაისში ბრიუსელში გაიმართება. ალიანსის გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის, თქმით, იქ განიხილავენ ნატოს საქმიანობის აქტივიზაციას ერაყსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, გაიზრდება იმის ალბათობა, რომ არაპროპორციულად დიდი ქართული კონტინგენტი ისევ მიიღებს მონაწილეობას მისიაში ერაყში ან სირიაში. საქართველოს ხელისუფლება, სავარაუდოდ, არ გაუშვებს ხელიდან შანსს, დასავლელ პარტნიორებს ასიამოვნოს და ჩვენი სამხედროების გამოყენებას შესთავაზებს.

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ **დასავლური სახელმწიფოების ზედმეტად ხისტი და ცუდად დაგეგმილი მოქმედება (ერაყი, ავღანეთი) ტერორისტულ საფრთხეს კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, ზრდის.** ასეთი სამხედრო კამპანიები კი არ ზღუდავს ტერორიზმის სოციალურ ბაზას, არამედ აფართოებს მას. გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი ალექსანდრე ზინოვიევი წერდა: „ტერორიზმი არ არის უმიზეზო მოვლენა ან რაღაც ისეთი, რაც ადამიანის ბიოლოგიური ბუნების დეფექტებიდან გამომდინარეობს. ეს სოციალური მოვლენაა, რომელსაც ფესვები სოციალური ყოფის პირობებში აქვს გადგმული. დღეს კი საუბრობენ ტერორიზმზე ზოგადად და ამა თუ იმ ტერორისტული აქტების სოციალური ბუნების სრულ იგნორირებას ახდენენ. ამ გზით ცდილობენ, დაფარონ მიმდინარე მსოფლიო ომის სოციალური ბუნება და წარმოაჩინონ მას ისე, თითქოს ერთ მხარეს დგანან კეთილშობილი მებრძოლები კაცობრიობის ბედნიერებისთვის (აშშ და მათი მოკავშირეები), ხოლო მეორე მხარეს — არაადამიანი ტერორისტები".

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ მათთვის, ვინც ზინოვიევის მიერ ნახსენებ „მსოფლიო ომში" თავს „გლობალური დასავლეთის" ნაწილად მიიჩნევს, მოწინააღმდეგის სახე ძალზე ბუნდოვანია. მათი უმრავლესობა ვერ ამჩნევს სხვაობას ისლამურ აღორძინებასა და ისლამისტურ ექსტრემიზმს შორის, არ იცნობს აღმოსავლური ქვეყნების ისტორიასა და კულტურას და პროპაგანდის მსხვერპლი იოლად ხდება.**

აღმოსავლელი ინტელექტუალების, შემდგომ კი ფართო მასების დაბრუნება ისლამური ტრადიციის კალაპოტში თავიდან ანტიკოლონიურმა ბრძოლამ და მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფის აუცილებლობამ განაპირობა. ამ პროცესის მეორე ეტაპი მას შემდეგ დაიწყო, რაც „დიდი ახლო აღმოსავლეთის" საერო რეჟიმები კრიზისმა მოიცვა, რომელიც „არაბული გაზაფხულით" დაგვირგვინდა, ხოლო აშშ-ის ცუდად გააზრებული მოქმედება ერაყსა და ავღანეთში მუსლიმანური საზოგადოების მზარდი გაღიზიანების მიზეზი გახდა. დაახლოებით ამ დროს გამოიკვეთა პრინციპულად მნიშვნელოვანი სხვაობა ისლამური აღორძინების იდეოლოგიასა და იმ ფსევდორელიგიურ ექსტრემიზმს შორის, რომელიც ტერორიზმს ასაზრდოებს. პირველი მათგანის ფარგლებში ისლამური ტრადიციების ერთგულება საზოგადოებას პრობლემების გადაწყვეტაში ეხმარება, ხოლო მეორე შემთხვევაში — ავტომატურად აუქმებს ყველა პრობლემას. **ტრადიციული ისლამის მიმდევრებისთვის არ არსებობს უნივერსალური ფორმულა, რომელიც პოლიტიკურ პრობლემებს აგვარებს ან სახელმწიფო მოწყობის რომელიმე მოდელს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს; ექსტრემისტები კი თვლიან, რომ მმართველობის უზენაესი ფორმა ხალიფატია და მის შექმნას პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევენ. ეს მათ მმართველობის ტოტალიტარული მოდელებისკენ და, შესაბამისად, დემოკრატიის უარყოფისკენ უბიძგებს.**

**აშშ-ის ცუდად გააზრებული მოქმედება ერაყსა და ავღანეთში მუსლიმანური საზოგადოების მზარდი გაღიზიანების მიზეზი გახდა. დაახლოებით ამ დროს გამოიკვეთა პრინციპულად მნიშვნელოვანი სხვაობა ისლამური აღორძინების იდეოლოგიასა და იმ ფსევდორელიგიურ ექსტრემიზმს შორის, რომელიც ტერორიზმს ასაზრდოებს**



**ისლამისტური ექსტრემიზმი მუსლიმების ლოიალურობას მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოს" (რომლის იდეალურ ფორმად გლობალური ხალიფატი მიაჩნიათ) მიმართ ცნობს და არა ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ.** მათი გაგებით, მისი საზღვრები ამჟამად გადის იქ, სადაც მისი კანონები სრულდება. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ამ კონცეფციის მიმდევრები არ ცნობენ „ჩვეულებრივი სახელმწიფოების" კანონებს, ხოლო ჯიჰადს განიხილავენ, როგორც ბრძოლას „ისლამური სახელმწიფოს" საზღვრების მუდმივი გაფართოებისთვის და ყველა სტრუქტურა (მათ შორის „ჩვეულებრივი სახელმწიფოები"), რომლებიც მას ხელს უშლის, მათ მიერ აღიქმება, როგორც ლეგიტიმური სამიზნე.

ექსტრემისტები, „ზომიერებთან" შედარებით, ცოტანი არიან, მაგრამ საკმაო გავლენით სარგებლობენ იმ ქვეყნებში (ერაყი, სირია, ლიბია და ა.შ.), რომლებშიც დასავლეთის უხეში მოქმედების გამო ადგილობრივმა მოსახლეობამ თავი დამცირებულად და შეურაცხყოფილად იგრძნო. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ მხრივ ერაყია. ამასთანავე, **ბოლო დროს მკვეთრად გაიზარდა ექსტრემისტების გავლენა დასავლეთში მცხოვრებ ახალგაზრდა მუსლიმებზე, რომლებიც ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან. ამის მთავარი მიზეზი ექსტრემისტული რეცეპტების მოჩვენებითი სიმარტივე და უნივერსალურობაა.**

იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, როგორ ყალიბდება რადიკალური იდეოლოგია ისლამის ნიადაგზე, შეიძლება ცნობილი ისტორიული მაგალითი გავიხსენოთ. 1963 წელს ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ მასშტაბური რეფორმების პროგრამა, ე.წ. **თეთრი რევოლუცია** დაიწყო, რომლის განხორციელების შესაძლებლობა ნავთობის ექსპორტისგან მიღებულმა დიდმა შემოსავალმა მისცა. სახელმწიფომ მსხვილი მესაკუთრეებისგან გამოისყიდა 7 მილიონამდე ჰექტარი მიწა (ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნახევარზე მეტი) და 9 მილიონ გლეხს (მოსახლეობის დაახლოებით 40%-ს) დაურიგა. მათ მიწის საფასური 25 წლის შემდეგ უნდა დაეფარათ, თანაც საბაზრო ღირებულებაზე დაახლოებით 30%-ით ნაკლებს იხდიდნენ. ერთი შეხედვით, ეს იყო ნამდვილი საჩუქარი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება — მიწა გადაეცემოდა მხოლოდ მათ, ვინც მზად იყო, ის დაემუშავებინა; ამასთანავე, ნაკვეთების დაახლოებით 50% 2 ჰექტარს არ აღემატებოდა, ამიტომ გლეხების უმრავლესობა ამჯობინებდა, მიწა გაეყიდა და ქალაქში გადასახლებულიყო. იქ 1966 წელს ქვეყნის მოსახლეობის 31% ცხოვრობდა, 1978 წელს კი — 50%-ზე მეტი. ესოდენ სწრაფმა ურბანიზაციამ ხელი შეუწყო დემოგრაფიულ აფეთქებას — 1956—1976 წლებში ირანის მოსახლეობა 19 მილიონიდან 34 მილიონამდე გაიზარდა.

შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, გაიხსნა მეტალურგიული, ნავთობქიმიური, გემთმშენებელი საწარმოები. ირანმა წელიწადში 200 ათასი ავტომობილის გამოშვება დაიწყო. მრეწველობის წილი მშპ-ში 27-დან 72 პროცენტამდე გაიზარდა, ეკონომიკის მხრივ ირანი მსოფლიოს მე-14 ქვეყანა გახდა, მაგრამ რეფორმებს მალევე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეებიც. მაგალითად, პლასტმასის ჭურჭლის მასიურმა წარმოებამ უმუშევრად უამრავი მეთუნე დატოვა, ფეხსაცმლის ქარხნების ამოქმედებამ კი — უამრავი მეწაღე და ა.შ. ამავე დროს გადამზადების პროგრამების რეალიზება არადამაკმაყოფილებელი იყო, გუშინდელი გლეხები ინდუსტრიული ეპოქის მუშებად ვერ ყალიბდებოდნენ და ლუმპენიზაციას განიცდიდნენ. სასულიერო პირები წუხდნენ იმის გამო, რომ ირანში სწრაფად მკვიდრდებოდა ლიბერალური ღირებულებები; ამასთანავე, აგრარული რეფორმების დროს შაჰმა მათ ჩამოართვა მმართველობაში გადაცემული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო 1978 წელს დოტაცია შეუწყვიტა.

ამის შემდეგ ერთ წელიწადში ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა. მას ხშირად წარმოაჩენენ მხოლოდ, როგორც კონსერვატიული საზოგადოების რეაქციას სწრაფ მოდერნიზაციაზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ შაჰმა მართლაც ვერ მოახერხა რეფორმების ადაპტირება ქვეყნის მდგომარეობის მიმართ, დაკვირვება ცხადყოფს, რომ რევოლუციის უკან კონკრეტული ადამიანებისა და ჯგუფების სოციალური ინტერესები და პრობლემები იდგა; ბევრი მათგანისთვის ისლამისტურმა ლოზუნგებმა დასკვნით ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი დროშის როლი შეასრულა.

ალბათ, დღესაც უნდა შევეცადოთ, ახლო აღმოსავლეთში აფრიალებული მწვანე და შავი დროშების უკან კონკრეტული სოციალური ქვეტექსტი დავინახოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გავიგებთ, რა და რატომ ხდება რეგიონში და მანკიერ წრეს თავს ვერ დავაღწევთ — ექსტრემისტები კვლავინდებურად მოაწყობენ ტერაქტებს, რომელთა გამო ევროპელები თავიანთი მთავრობებისგან რადიკალური ზომების გატარებას მოითხოვენ. ეს ზომები, თავის მხრივ, ისლამური საზოგადოებების რადიკალიზაციასა და ექსტრემისტების მხარდაჭერას გაზრდის და ეს პროცესი, დიდი ალბათობით, მართლაც გადაიქცევა მესამე მსოფლიო ომად, რომელშიც მილიონები ჩაერთვებიან.

**ლუკა ნემსაძე**

**რა ნიშნით შეარჩიეს ევროპაში ქართველების ისტორიული გაფრენა-აფრენის მონაწილენი, რომლებიც მუქთად მოინახულებენ ევროპას? — ეს კითხვა იმ უკიდურესად შეჭირვებულ ხალხს აწუხებს, პირველ რიგში, ვისაც არც ვიხარამაც-ტაშ-ფანდურაში მიუღია მონაწილეობა და ვერც ევროპაში ჩავა ტურისტად ვერასოდეს, რადგან, ბილეთის, სასტუმროს, ჭამა-სმის ფული კი არა, პურს ნისიად ყიდულობენ დაბეჩავებულები.**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ მართლა სახალხო ზეიმი გინდოდათ, იმ შეპირებული 100 საწარმოდან ერთი მაინც გაგეხსნათ

## ანდა, ნახევარი საქართველო რომ ბანკების მძევლად აქციეთ, ასევე შეპირებული იაფი კრედიტები მიგეცათ ხალხისთვის...

**ცხონებული დედაჩემი იყენებდა ხოლმე სიტყვა „ვიხარამაცს“, რაც იმერულ დიალექტზე შეუსაბამო სიხარულის გამოხატვას ნიშნავს ამა თუ იმ საზეიმო ფაქტის მიმართ. ანალოგიური დატვირთვისაა სიტყვა „ტაშ-ფანდური“... აი სწორედ ეს ორი სიტყვა გამახსენა 26 მარტს ე.წ. ახალი თბილისის ტერიტორიაზე დაწყებულმა საზეიმო ღონისძიებებმა საქართველოსთვის დიდი ხნის წინათ შეპირებული ე.წ. ვიზალიბერალიზაციის მინიჭების გამო, რომელიც ძალაში 28 მარტს შევიდა და ჰერი, ქართველებო, ასრულდა ჩვენი დიდი წინაპრების „ნანატრი“... ოთხივ კუთხივ არა, მაგრამ, დასავლეთის მიმართულებით გზა გაგვიხსნა ჩვენმა „მეგობარმა“ ევროპამ, — ასეც გიქნიათ, კისერიც გიტეხიათ, მაგრამ მხოლოდ 90 დღითო...**



უკლებლივ ყველა ტელევიზია ახალი თბილისის ძველი პლეხანოვიდან იწყებდა მაუწყებლობას ვიხარამაცი-ტაშ-ფანდურის კადრებით, რომლებზეც ხელისუფლებიდან მხოლოდ უმრავლესობის ლიდერი **მამუკა მდინარაძე,** „ბლუჯა-ბლუჯა“ ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი** და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ალასანიას თავისუფალი დემოკრატებიდან „ქართულ ოცნებაში“ დროულად გადაბარგებული **ვიქტორ დოლიძე** დავლანდე. ხოლო ოპოზიციიდან, როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტოდან — არავინ, რაც სასიამოვნოდ გამიკვირდა — „გაევროპელებული“ **შალვა ნათელაშვილის** „დაუნ დიქტეიტელა“ აკლდა ისედაც სასაცილო ვიხარამაც-ტაშ-ფანდურს.

მამუკა მდინარაძემ, შვილით ხელში, იმავე შვილის ნათელ მომავალზე ისაუბრა ევროპულ ოჯახში. ვიქტორ დოლიძემ — არაღიარების პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდება და ამით დავიბრუნებთ სოხუმ-ცხინვალსო, ხოლო „ბლუჯა-ბლუჯა“ მინისტრმა ყველას „მოუჯოკრა“, როცა დაახეთქა, — საქართველო ევროპულ ოჯახს დაუბრუნდაო.

ვიცეპრემიერს (ეგ თანამდებობაც შეუთავსებია ფინანსთა მინისტრს, ისევე, როგორც განათლების მინისტრს. ეტყობა, ვიცეპრემიერის სავარძელს ხელი რომ გამოჰკრა, რამე სისულელე უნდა დააბრეხვო) ვეტყვი, რომ სადმე დაბრუნება ნიშნავს იმას, რომ ოდესღაც იყავი იქ, სადაც ბრუნდები.

ჰოდა, **საქართველო როდის იყო ევროპა — დავითის თუ თამარის ეპოქაში, როდესაც ევროპის ქვეყნების იმჟამინდელმა მონარქებმა, ტანის დაბანა რა იყო, არ იცოდნენ? თუ მონღოლების მიერ საქართველოს ოქროს ხანის დასრულების შემდეგ გავხდით ევროპა? მუსლიმურ სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეული საქართველო, ქართველი კაცი, საუკუნეების განმავლობაში ფიზიკური გადარჩენისა და მართლმადიდებლობის, ანუ ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად იბრძოდა გულგრილი ევროპის თვალწინ! ერთიცა და მეორეც შევძელით ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლით, ერთ ოჯახად ვიცხოვრეთ 2 საუკუნე და, თუ სადმე უნდა დავბრუნდეთ, ეს მართლმადიდებელი რუსეთია და არა ლიბერასტული ევროპა.**

მაშ, რას ვზეიმობთ? უფრო ზუსტად, რა ეზეიმება საქართველოს ხელისუფლებას? თორემ, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი წინამდებარე წერილის პათოსს რომ იზიარებს, ეჭვი არ გვეპარება.

ჯერ კიდევ **შევარდნაძის** მმართველობის დასაწყისში დაიწყო ზღაპრები ნატოში საქართველოს შესვლის შესახებ და კარგად მახსოვს 1990-იანი წლების დასაწყისში ნატოს იმჟამინდელი გენმდივნის — **ხავიერ სოლანას** ზუსტად სამსაათიანი(?) ვიზიტი საქართველოში, რომელსაც აშკარად პროამერიკულად განწყობილი ქართველი საზოგადოება დიდი იმედით შეხვდა და თურმე სულ ტყუილად — გადარჩენის მაგივრად სოლანას ვიზიტი საქართველოს უბედურების დასაწყისი აღმოჩნდა.

სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ზეობისას ნატოს ზღაპარს ევროკავშირის არაკიც დაემატა და ორივემ ერთად 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიამდე მიგვიყვანა.

**რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში ფოთსა და ბათუმში საქართველოს დასახმარებლად წყლითა და პამპერსებით დატვირთული ამერიკული სამხედრო ხომალდის შემოსვლამ ისე „შეაშინა“ რუსეთის არმია, რომ დე იურედაც დავკარგეთ დე ფაქტოდ დაკარგული სოხუმ-ცხინვალი, პლუს კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონის 160 სოფელი, რომლებსაც ჰალსტუხის მღოღნავმა და მიწაზე მხოხავმა მთავარსარდალმა ქვების გროვა უწოდა.**

შემდეგ იყო ნატოს ეგიდით ქართული „სამშვიდობო“ მისიები აფრიკაში თუ ავღანეთ-ერაყში, სადაც ათობით ქართველი ტალიკ-ტალიკი ბიჭები დაგველუპნენ; ანტიდისკრიმინაციული კანონი თუ ათასი ჯანდაბა და დოზანა, რომლებიც დასავლელი „მეგობრების“ რეკომენდაცია-ბრძანებების გამო შეასრულა საქართველომ, მაგრამ **ნატო და ევროკავშირი მაინც ისეთივე მიუწვდომელი დარჩა ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც სახედრის წინ სატყუარად დაკიდებული იონჯა.**

ჰოდა, როდესაც ევროკავშირი, ყოველ შემთხვევაში ამ სახით, არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის, მხოლოდ ახლა მოგვაშავეს ე.წ. ვიზალიბერალიზაცია.

ჯერ ვნახოთ, რა სარგებელი ნახეს ევროკავშირის წევრმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, რომლებსაც ჩვენგან განსხვავებით, შეზღუდვები არ აქვთ და მერე ვიფიქროთ, რა ელის საქართველოს:

*** ბალტიის, პოლონეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების მოსახლეობის ერთი მესამედი, ძირითადად, ახალგაზრდობა სამშობლოდან უკეთესი ცხოვრების საძებნელად არიან გადახვეწილნი და მათი უმრავლესობა, სავარაუდოდ, სამუდამოდ. მათ ადგილებს კი ათასი ჯურის გადამთიელი იკავებს, ანუ ამ ერების დემოგრაფიული კატასტროფა გარდაუვალია.**

უკეთესი დღე არც საქართველოს ელის...

*** ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისგან განსხვავებით, რომლებსაც მუშაობის უფლება აქვთ, საქართველოს მოქალაქეებს ამა თუ იმ ევროპულ ქვეყანაში ყოფნა მხოლოდ 90 დღით შეუძლიათ.**

დღეს საქართველოდან გასული მოქალაქეების რაოდენობა მილიონს აჭარბებს, ამ ადამიანების დიდი უმრავლესობა არალეგალურად მუშაობს და ცხოვრობს ევროპა-ამერიკის ქვეყნებში და ვინმეს ჰგონია, რომ ახლა თუ უვიზოდ გავლენ 90 დღის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებიან? მათი უმრავლესობა ევროპაში დამკვიდრებას შეეცდება, ზოგი კი ქვეშაფსია ბებრისთვის პამპერსების გამომცვლელის „პრესტიჟულ“ სამუშაოს იშოვის.

უფრო „მარიფათიანი“ ახალგაზრდები მოხუცებისთვის პამპერსების გამოცვლას ქურდობა-ყაჩაღობას ამჯობინებენ, რაც ნამდვილად არ არის საამაყო, მაგრამ ვერც მორალისტებს დავეთანხმები და „მიწაში ვერ ჩავდებ“ ჩემს თანამემამულეებს იმის გამო, რომ მაძღარი ევროპელების ქაქის ქექვას ქურდობა არჩიეს.

* გაეროს მონაცემებით, ქართველი ერი მომაკვდავ ერად არის მიჩნეული, რადგან საქართველოში მოკვდავობის მაჩვენებელი ჭარბობს ახალშობილთა მაჩვენებელს, ხოლო ცნობილი ქართველი დემოგრაფის — **ანზორ თოთაძის** აზრით, საქართველოს რეალური დემოგრაფიული სურათი გაეროს მიერ დახატულზე გაცილებით მძიმეა. ვისაც უნდა, ქსენოფობად ჩამთვალოს და ვისაც უნდა, რასისტად, მაგრამ სათქმელს მაინც ვიტყვი:

**უკვე თვალში საცემია საქართველოს ჩინეთიზაცია და თურქეთიზაცია!**

თუ ქართველებიც სამუდამოდ დარჩნენ ევროპაში, აი მაშინ მოგეცათ ლხენა: საქართველოს სახნავ-სათესი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ხომ უცხოტომელებს აქვთ ნაყიდი, დანარჩენსაც ათასი ჯურის გადამთიელი შეიძენს და, როგორც პარიზში, სადაც ძნელად მიხვდები, რომ საფრანგეთში ხარ და არა რომელიმე აფრიკულ ქვეყანაში, თბილისშიც ანალოგიური სურათი იქნება ახლო მომავალში.

* კიდევ ერთ საფრთხეს შეიცავს ევროპასთან დაახლოება: საზღაური, რომელიც გადავიხადეთ ე.წ. ვიზალიბერალიზაციის სანაცვლოდ, ზევით უკვე ჩამოვთვალეთ და ვეჭვობ, კიდევ დაგვიწესებენ ახალ გადასახადებს:

გახსოვთ, ალბათ, ავსტრიის საგარეო მინისტრის, ეუთოს თავმჯდომარის — **სებასტიან კურცის** განცხადება საქართველოში ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების ცენტრების შექმნის შესახებ და ჩვენი ხელისუფლების უსუსური უარიც — ჩვენ ჩვენი ლტოლვილები გვყავს და ამიტომ ვერ მივიღებთ მიგრანტებსო. ეს პასუხი ლაჩრულია. ერთი პოლიტიკოსიც არ აღმოჩნდა ხელისუფლებასა თუ ოპოზიციაში, რომელიც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ეტყოდა მტკიცე **არას** ევროპელებს, რომელთა მიერ მოწყობილი ე.წ. არაბული გაზაფხულების ბრალია, რომ ევროპა მუსლიმმა მიგრანტებმა წალეკეს.

და ახლა **საქართველოს ხელისუფლებისგან მოვითხოვ პასუხს კითხვაზე — ჩვენი დევნილები რომ არ გვყავდეს, მიიღებდით უცხოტომელ მიგრანტებს?**

* ევროპასთან ინტეგრირება კიდევ ერთ საფრთხეს შეიცავს — **გაძლიერდებიან დასავლეთისგან დაფინანსებული ქართული არასამთავრობოები,** რომლებმაც ანტიქართულ ანტიმართლმადიდებლური კოალიცია შექმნეს ვითომ დაშლილ, მაგრამ სინამდვილეში გაშლილ „ნაცმოძრაობასთან“, პრეზიდენტ მარგველაშვილთან, სააკაშვილის ჯიბის ტელევიზია „რუსთავი 2“-თან და სულგაყიდულ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად.

ასოებმა, ანუ მეხუთე კოლონამ ლომის წილი დაიდეს ნეოლიბერალების პროგრამა-მინიმუმის რეალიზაციის საქმეში — საქართველოს დედაეკლესიის ავტორიტეტი საფუძვლიანად შეირყა. **ახლა პროგრამა-მაქსიმუმის შესასრულებლად ემზადებიან: რადაც უნდა დაუჯდეთ, ქართულმა ასოებმა ხსენებულ კოალიციასთან ერთად უნდა შეძლონ 17 მაისს რუსთაველზე გეიაღლუმის ჩატარება.** მით უმეტეს, რომ პედერასტებს საპარლამენტო უმრავლესობაშიც ჰყოლია მხარდამჭერი — **გუგული მაღრაძე.**

ეს იქნება კიდევ ერთი საზღაური, რომლის გადახდასაც მოსთხოვენ ხელისუფლებას ე.წ. ვიზალიბერალიზაციის სანაცვლოდ ჯერ კიდევ ძლიერი მსოფლიო ნეოლიბერალები.

**მაშ, რას ზეიმობს ჩვენი ხელისუფლება?** — რას და მაღალ თანამდებობებს, ხელფას-პრემიებს, უცხოეთში ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ცხოვრებასა და „შოპინგებს“, შავ ჯიპებს და ა.შ. ყველა იმ პრივილეგიას, რომლებსაც, **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლების გამოკლებით, საქართველოს ყველა ხელისუფლებაში ყოფნა იძლეოდა და იძლევა; **პრივილეგიებს, რომლებიც გარანტირებული აქვთ მანამდე, სანამ ევროპის ნეოლიბერალთა ფარვატერში დგანან ან სანამ ამ ყველაფრით გამწარებული ხალხი არ იხუვლებს და ნაცებ-ქოცებს ერთად გამოუყვანს წირვას...**

მანამდე კი საქართველოში სამარცხვინო ვიხარამაც-ტაშ-ფანდური გრძელდება, რომელმაც აპოგეას 28 მარტს მიაღწია, როდესაც პრემიერ კვირიკაშვილის ბელადობით პირველი უვიზო ავიარეისი შესრულდა საბერძნეთის გავლით, როგორც თანამედროვე დემოკრატიის მშობელ ქვეყანაში, და შემდეგ — ევროპის დედაქალაქ ბრიუსელში.

**სიმბოლოები პრემიერ კვირიკაშვილსაც ჰყვარებია — იღლიაში ერთი პორტატული გადასატანი ტრიბუნა და რა განსხვავება იქნება კვირიკაშვილსა და სააკაშვილს შორის?!**

კვირიკაშვილსაც ჰყვარებია პროპაგანდისტულ-პოპულისტური შოუები ბიუჯეტის ხარჯზე... ისე, **რა ნიშნით შეარჩიეს ევროპაში ქართველების ისტორიული გაფრენა-აფრენის მონაწილენი, რომლებიც მუქთად მოინახულებენ ევროპას?** — ეს კითხვა იმ უკიდურესად შეჭირვებულ ხალხს აწუხებს, პირველ რიგში, ვისაც არც ვიხარამაც-ტაშ-ფანდურში მიუღია მონაწილეობა და ვერც ევროპაში ჩავა ტურისტად ვერასოდეს, რადგან, ბილეთის, სასტუმროს, ჭამა-სმის ფული კი არა, პურს ნისიად ყიდულობენ დაბეჩავებულები.

**დავით მხეიძე**

**P.S. თუ მართლა სახალხო ზეიმი გინდოდათ, იმ შეპირებული 100 საწარმოდან ერთი მაინც გაგეხსნათ, ანდა, ნახევარი საქართველო რომ ბანკების მძევლად აქციეთ, ასევე შეპირებული იაფი კრედიტები მიგეცათ ხალხისთვის...**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსთავი 2“-მა, „ნაციონალური მოძრაობის“ ფაშისტური იდეოლოგიის რუპორმა, ბოროტების მანქანა აამუშავა და ამუშავებს დღესაც, დემოკრატიის საფარველით შენიღბულს. ნაციონალებმა გაასხვისეს ქვეყანა, გააუცხოეს, შეურაცხყვეს ადამიანები, პატივი აჰყარეს მათ, დაამკვიდრეს საზოგადოებაზე ზემოქმედების ისეთი მექანიზმები და მეთოდები, რომელთა შესწავლას მომავალში კვლევითი ინსტიტუტები თუ შეძლებენ, და გაარკვევენ, სადამდე მიდის ადამიანის ფანტაზიის უკიდეგანობა ბოროტების დამკვიდრების თვალსაზრისით და მმართველი ელიტის პიროვნული ამბიციების დასაკმაყოფილებლად“.**

# ვალერი ასათიანი: «რუსთავი 2» არის ბოროტების ტელემანქანა

**თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი რისმაგ გორდეზიანი უდიდეს ქართველ ელინისტზე, დედაუნივერსიტეტის ერთ-ერთ მესაძირკვლე გრიგოლ წერეთელზე (რომელიც „თითქოს ამართლებდა ადამიანის ჯიშის მოვლინებას ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე“. აკაკი გაწერელია) ამბობს: „ყოველ ერს ჰყავს მოღვაწეები, რომელნიც მის საუკეთესო თვისებებსა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს განასახიერებენ...“ მათი ბედი გარკვეულ ვითარებაში შეიძლება ისე წარიმართოს, რომ „ქვეყანამ *(ქვეყანაში მოქმედმა დესტრუქციულმა ძალამ. — ა.ს.)* თავისი საუკეთესო შვილების განადგურება დაიწყოს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ავტორიტეტისა და შემოქმედებითი სიმაღლის წინაშე ხელისუფალთ *(ან იმ ძალებს, რომლებიც ხელისუფლებისთვის იბრძვიან. — ა.ს.)* სიამაყის ნაცვლად შიშისა და უნდობლობის გრძნობა უჩნდებათ“. ეს ანალიტიკური პასაჟი სრულად ესადაგება ცნობილი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის — ვალერი ასათიანის პიროვნებასა და მისი ცხოვრების ერთ განსაკუთრებულ მონაკვეთს, როცა 2000-იანი წლების დასაწყისში არნახულად გააქტიურებული „ახალგაზრდა რეფორმატორების“ (ჟვანია, სააკაშვილი და სხვები) პოლიტიკურმა საყვირმა, „თავისუფალი სიტყვის ფლაგმანმა“ „რუსთავი 2“-მა პროგრამა „60 წუთის“ ბინძური ხელებით მისი განადგურება მოინდომა. ქართველი საზოგადოებრიობა ამ არაადამიანური მცდელობის მომსწრეა და იცის, როგორ დაუპირისპირდა ეს კაცი თვითმარქვია „სახალხო ტელევიზიას“ და თავისი სიმართლის ძალით, სასამართლოს მეშვეობით დაამარცხა ყველაფრის მკადრებელი, ზნეობრივი დეგრადაციის მწვერვალზე აღზევებული და საეჭვო ფინანსური წყაროებით გალაღებული მედროვეების ეს მედიასაშუალება. საუბარი ბატონ ვალერი ასათიანთან იმ ავად მოსაგონარი დღეებიდან 16 წლის თავზე შედგა.**



**«კათოლიკურმა ეკლესიამ ბოდიში მოიხადა ინკვიზიციის გამო, გერმანელებმა — ფაშიზმის გამო, მაგრამ გახსოვთ, რომ «რუსთავი 2»-ს ვინმესთვის ბოდიში მოეხადოს, ან სააკაშვილს, ან მის ნარჩენებს, ჭკუას რომ გვასწავლიან და დიდაქტიკოსებად რომ გვევლინებიან?!»**

**— დღეს, როცა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული კერძო ურთიერთობის საკითხი მასმედიამ და ჩვენმა საზოგადოებრიობამ ლამის საქვეყნო მოვლენად აქცია, ამ ტელეკომპანიას თავს ისე უქონავენ, თითქოს ყველანი დამნაშავენი ვართ მის წინაშე, და ამიტომ სასამართლოში საქმე ისე უნდა წარიმართოს, როგორც ამ ტელევიზიის მესვეურებს სურთ.**

**მაშინაც ასე იყო, მაგრამ თქვენ გაბედეთ.**

— ეს იყო 2001 წლის აპრილი, როცა ეთერში გავიდა პროგრამა „60 წუთი“ — **გოგიჩაიშვილის** გადაცემა. ამ დროს „რუსთავი 2“-ის დირექტორი **ეროსი კიწმარიშვილი** გახლდათ. მოვითხოვე პირდაპირი ეთერი, პროკურატურას მოვთხოვე საკითხის შესწავლა-გამოძიება. ჩემი ადვოკატები იყვნენ **შალვა შავგულიძე** და **დავით ჯანდიერი.** სასამართლო პროცესი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა.

ამ ჯოჯოხეთის გადმოცემა ძალიან ძნელია.

მათ უზნეობას საზღვარი არ ჰქონდა. ადამიანი შეიძლება ყველაფერს შეეგუოს, დიდსულოვნებაც გამოიჩინოს, მაგრამ არა ასეთ შემთხვევაში. ჩემთვის „რუსთავი 2“, და არა მხოლოდ იგი, არის ბოროტების ტელემანქანა.

პატრიარქმა ერთხელ ჟურნალისტებს მიმართა და პეტრე მოციქულის სიტყვები გაახსენა: იყავით თავისუფალნი, ოღონდ თავისუფლებას ნუ გამოიყენებთ ბოროტების საფარად. **„რუსთავი 2“-მა, „ნაციონალური მოძრაობის“ ფაშისტური იდეოლოგიის რუპორმა, სწორედ ეს ბოროტების მანქანა აამუშავა და ამუშავებს დღესაც, დემოკრატიის საფარველით შენიღბულს. ნაციონალებმა გაასხვისეს ქვეყანა, გააუცხოეს, შეურაცხყვეს ადამიანები, პატივი აჰყარეს მათ, დაამკვიდრეს საზოგადოებაზე ზემოქმედების ისეთი მექანიზმები და მეთოდები, რომელთა შესწავლას მომავალში კვლევითი ინსტიტუტები თუ შეძლებენ, და გაარკვევენ, სადამდე მიდის ადამიანის ფანტაზიის უკიდეგანობა ბოროტების დამკვიდრების თვალსაზრისით და მმართველი ელიტის პიროვნული ამბიციების დასაკმაყოფილებლად.**

„რა საქართველო, რა სამშობლო, რისი მამული“, — რეზო ამაშუკელის ლექსი მახსენდება. რა „ახალი ევროპა“, ახლა სახელი რომ გადაიკეთეს. **ესენი ხომ ნეონაციონალები, მრავალთათვის ნეოფაშისტები არიან.**

მიჭირს რომელიმე ერთი ეპითეტის მოძებნა „ნაციონალური მოძრაობის“ „რუსთავი 2“-ის პორტრეტის დასახატავად თავისი კონჩიტებითა და ამბიციებით.

როგორც თებე შავი ჭირისგან ვერ გათავისუფლდებოდა, სანამ ლაიოსის მკვლელის ვინაობა არ გაირკვეოდა, ასევე **საქართველო, ჩემი ღრმა რწმენით, ვერ გათავისუფლდება იმ ბოროტებისგან, რომელზეც ვლაპარაკობ, თუ არ გასამართლდა ნაციონალურ-ფაშისტური მოძრაობა თავისი იდეოლოგებით, დღეს პარლამენტში რომ სხედან და ჭკუას გვარიგებენ.**

საშველი არ დაადგა ახალი ნიურნბერგის პროცესის ჩატარებას, რა კოაბიტაცია, რის თანაცხოვრება!

ხალხი ელოდებოდა, რომ სისხლიანი რეჟიმის შემდეგ მოხდებოდა სამართლიანობის აღდგენა, ისე, როგორც ეს თავის დროზე **დავით აღმაშენებელმა** გააკეთა რუის-ურბნისის კრებაზე, როცა „წარკვეთა ვერღირსებით აღზევებულნი“.

**ნუ ყელყელაობენ და თავს ნუ გვამაღლიან! ეს მაძღარ პითონებად წოდებულნი თავის დროზე წითელი ყელსახვევებით მარშირებდნენ, კომკავშირშიც იყვნენ და პარტიულ კარიერაზეც ოცნებობდნენ.**

**— სამაგიეროდ არ ივიწყებენ, რომ ის ჩვენი თაობა კომპარტიის რიგებში იყო. გლახა ჭრიალაშვილობენ გაფუჭებული პატეფონები.**

— ადამიანი თვალსაზრისს როგორ არ იცვლის — ცხოვრებას სიახლეები მოაქვს, და ჩვენც ჩვენი აზრების კორექტირებას ვახდენთ.

მახსოვს, როგორ შესციცინებდნენ თვალებში **ედუარდ შევარდნაძეს** მის ფრთებქვეშ დაზრდილი „ახალგაზრდა რეფორმატორები“, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, როგორ ულალატეს და შემდეგ წლების განმავლობაში მიზანში ჰყავდათ ამოღებული, როგორც საგინებელი ობიექტი.

მაგრამ ხომ არსებობს ზნეობრივი საყრდენები, ორიენტირები, რომლებიც არ უნდა შეიცვალო, თუ კაცი ხარ, თუ ცხოვრების შენეული ხედვა გაგაჩნია.

**— ესე იგი, თუ ამ უზნეობას მაგრად არ დაუდექი, წაგლეკავს.**

— წაგლეკავს.

**— მაშ, სად დაიკარგა პრინციპულობა ჩვენი ხელისუფლების, რომელიც ლამის ფიანდაზად დაეფინოს „მთავარ ოპოზიციურ“ ძალას?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით, ვერ გამიგია... ხოლო **საბჭოთა სტრუქტურებში მუშაობა ჩვენი ხვედრი იყო და არა არჩევანი: იმ ეპოქაში დავიბადეთ. არჩევანი გააკეთა რამდენიმე კაცმა, ვინც დინების საწინააღმდეგოდ წავიდა, ღმერთმა ნათელში ამყოფოთ. თავისი გზა აქვთ იმათ საქართველოს ისტორიაში. ძირითადი მასა, საზოგადოება, მართალია, იმჟამინდელი იდეოლოგიის პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ ნიადაგს არ მოწყვეტილა, ეროვნული ფსიქოლოგიით იყო გაჟღენთილი. იყო უფროს-უმცროსობა, ზრდილობა და პატიოსნება** და ა.შ.

ძალიან ადვილად და ჰაიჰარად გადახაზავენ ხოლმე წინამორბედ თაობებს.

თქვენმა მკითხველებმა იციან, რომ **კათოლიკურმა ეკლესიამ ბოდიში მოიხადა ინკვიზიციის გამო, გერმანელებმა — ფაშიზმის გამო. მაგრამ გახსოვთ, რომ „რუსთავი 2“-ს ვინმესთვის ბოდიში მოეხადოს, ან სააკაშვილს, ან მის ნარჩენებს, ჭკუას რომ გვასწავლიან და დიდაქტიკოსებად რომ გვევლინებიან?!**

**— არა, რა თქმა უნდა.**

— ახლა „რუსთავი 2“-ზე გადავალ და გეტყვით, რაც **ნამუსგარეცხილმა „60-მა წუთმა“, გოგიჩაიშვილმა დამაბრალა: თითქოს მე ჩემი, მძიმე სენით დაავადებული ვაჟის გადასარჩენად (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული) სატანისტური მკვლელობა ჩავიდინე, მოვკალი ორი ადამიანი, მათი ცხედრები დავანაწევრე და სხვადასხვა ადგილზე დავმარხე.**

ვუჩივლე. მოვიგეთ ეს პროცესი. ყოველთვის მადლობელი დავრჩები რამდენიმე ათეული ადამიანისა, რომლებიც იმ უმძიმეს დღეებში ჩემ გვერდით იდგნენ და სიმართლისთვის იბრძოდნენ. **„რუსთავი 2“-ის მიერ ჩემთვის მოცხებული ჩირქის გამო კეთროვანივით გავხდი — ხალხი თვალს მარიდებდა. გასაგებია, რას ნიშნავდა ჩემთვის თანადგომა ისეთ სიტუაციაში, როგორსაც მტერს არ ვუსურვებ.**

რომელი ერთი ჩამოვთვალო: **ჯანო კახიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნუგზარ ფოფხაძე, ჟანრი ლოლაშვილი, თემო გოცაძე, მიხეილ ლოლაძე** და ა.შ. და ა.შ.

„60 წუთის“ რეკლამას ყოველდღე ატრიალებდნენ და კიწმარიშვილი და გოგიჩაიშვილი ტრაბახობდნენ, ამას ეფექტი ჰქონდაო. კიწმარიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში რამდენიმე ხნის შემდეგ აღიარა — ჩვენ ვიცოდით, რომ გადაცემაში ხარვეზები(!) იყო, მაგრამ გუნდი უკან ვერ დაიხევდაო.

**— ანუ მიზანი ამართლებს საშუალებას?**

— დიახ. ამ ზნეობით მოვიდა ეს გუნდი. მოვიდა იმისთვის, რომ ჩვენი თაობის ადამიანები წარმოეჩინა მკვლელებად, კორუფციაში გასვრილებად, რუსეთის აგენტებად და, რა ვიცი, კიდევ რა ჯანდაბად და ოხრობად, და ეთქვათ — აი, ჩვენ მოვდივართ, რეფორმატორები, მოგვაქვს ახალი იდეები, ახალი საქართველო და ა.შ.

როგორი „ახალი საქართველო“ მოიტანეს, ხომ ვიცით.

**...პროცესი მოვიგეთ. ტელევიზიით სრულად გადაიცა უზენაესი სასამართლოს სხდომა, გამოცხადდა განაჩენი, დაიბეჭდა გაზეთებში და... „რუსთავი 2“-ს დღემდე ბოდიში არ მოუხდია, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მას ამის გაკეთება დაევალა. დამარცხდა და ეს იყო მთავარი, რადგან შეიქმნა პრეცედენტი.**

ჩემ გამართლებას ნაკლები რეზონანსი ჰქონდა, ვიდრე იმ ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელიც ჩემ წინააღმდეგ გამართა „რუსთავი 2“-მა. შემდეგ გამოაცხადეს, რომ „60 წუთი“ გაუქმდა და ამით დაიძვრინეს თავი.

**— პრიმიტიული ვირეშმაკობა...**

— სამაგიეროდ, გააქტიურდა ინტელიგენცია, იყო განცხადებები, გამოსვლები, შეხვედრები, პუბლიკაციები. მაშინ ითქვა ხმამაღლა: ესენი თუ მოვიდნენ, დაიღუპებაო ქვეყანა.

**მე მოვითხოვე გოგიჩაიშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რომელიც დღესაც ყელყელაობს ეკრანზე. ხანდახან მეტყვიან, რომ არ უნდა დახვიდე მათ დონემდე და, საერთოდ, მათზე ლაპარაკი არც ღირსო, მაგრამ, დღეს ისევ თეთრ ცხენზე რომ არიან ამხედრებულნი, ასეთი „არაფრად ჩაგდების“ ბრალია.**

საზოგადოება კი დუმს.

**— „ცხვრების დუმილით“.**

— დიახ. სად არის საზოგადოება? სად არის ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია? ვინ არის მსაჯული? რაღაცის განკიცხვა ხომ უნდა ხდებოდეს. „განკიცხულნი“ მხოლოდ ლიტერატურაში ხომ არ უნდა იყოს?!

▶

# „საქართველო ვერ გათავისუფლდება იმ ბოროტებისგან, რომელზეც ვლაპარაკობ, თუ არ გასამართლდა ნაციონალურ-ფაშისტური მოძრაობა თავისი იდეოლოგებით, დღეს რომ პარლამენტში სხედან და ჭკუას გვარიგებენ. საშველი არ დაადგა ახალი ნიურნბერგის პროცესის ჩატარებას, რა კოაბიტაცია, რის თანაცხოვრება!“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ახალ ევროპაზე რომ გველაპარაკებიან დღეს, მათ, როგორც ამბობდნენ, **ბოკერიას** დიდი მცდელობით, თავის დროზე კანონის ძალით დაადგინეს, რომ ცილისწამების ბრალდება ჟურნალისტს საერთოდ მოეხსნა. ასეთი შედეგი მოჰყვა იმ ცილისმწამებლურ გადაცემას, რომელიც მე მომეძღვნა და იმ სასამართლო გადაწყვეტილებას, რომლის შედეგად სრულად გამტყუნდა „რუსთავი 2“.

დღეს კანონის წინაშე ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში.

ახლა გეტყვით იმას, რაც აქამდე საჯაროდ არ განმიცხადებია.

**მოსამართლე იყო ქალბატონი მადი ჩანტლაძე. მან ვერ უღალატა სინდისს, პროფესიონალიზმს და მიიღო ეს გადაწყვეტილება მაშინ, როცა სააკაშვილმა, რომელიც იუსტიციის მინისტრი ბრძანდებოდა შევარდნაძის მთავრობაში, დაავალა, ბოლომდე მიეყვანა ეს საქმე და მე დიდი ხნით, 20—25 წლით, ჩავესვი ციხეში. ასეთი ხმები მოდიოდა და ეს სააკაშვილისგან სულაც არ იყო გასაკვირი...**

**— ასეთი სიმართლით იბრძოდა!**

— იმასაც ამბობდნენ, რომ ქალბატონმა მადიმ არ შეასრულა დავალება და ცოტა ხანში მართლმსაჯულების სისტემიდან დაითხოვეს თუ მიზეზთა გამო, თავად წავიდა...

**— „რუსთავი 2“-ის მხარდაჭერა ჩვენს მედიაში ამ დღეებში არნახულად იყო გააქტიურებული, ლამის მოვალეობად იქცა „კრიტიკული ტელევიზიისთვის“ ერთგულების დადასტურება. რატომ ხდება ასე? საზოგადოებაში მედროვეობა დამკვიდრდა? შეშინდა საზოგადოებრივი აზრი? გავდედლდით? თუ ამ ტელეკომპანიისთვის ფეხის აწყობა მართლაც მიგვიყვანს დემოკრატიის გაბრწყინებამდე?**

— ტკივილს ვადა არ გასდის, დრო მისი მკურნალი არ არის, ამიტომ ვიმეორებ კვლავ და კვლავ: **ყოფილი ხელისუფლება უნდა გასამართლდეს!**

რომაელებს ჰქონდათ ფრთიანი ფრაზა — „მემენტო მორი!“ („გახსოვდეს სიკვდილი!“), **უნდა გვახსოვდეს სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი! — ასეთია ჩემი ფორმულა.**

მაგრამ არ კმარა, მხოლოდ გვახსოვდეს. ქმედებაა საჭირო. საზოგადოებამ (რომელშიც ჩემ თავსაც ვგულისხმობ), დღევანდელობისადმი დამოკიდებულება ვერ გამოხატა ისე, როგორც ქვეყანას სჭირდება. გათითოკაცდა, პრაგმატულები გავხდით, უტილიტარულები. გაჭირვებამ, სიდუხჭირემ ძალიან იმოქმედა ბევრზე და აღარ უბიძგა საქვეყნო საქმეებზე საფიქრალად. ხალხიც გაზარმაცდა.

დღევანდელ ხელისუფლებაში ბევრი პატიოსანი, პროფესიონალი, მხარდასაჭერი ადამიანია, მაგრამ ამ ქვეყნის მოსავლელად მათი ძალისხმევა არ არის ისეთი, როგორი მოლოდინიც გვქონდა. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, დავრწმუნდებით (კარგად ვხედავთ წინსვლას ჯანდაცვისა და მშენებლობის სფეროში, ე.წ. ვიზალიბერაციას, ახალ პროექტებს და სხვ.), რომ გაცილებით მეტი კეთდება, ვიდრე სააკაშვილის პერიოდში, მაგრამ ეს, შეიძლება ასე ვთქვათ, საქმის ნახევარია, მეორე ნახევარი გასაკეთებელია, უნდა გაკეთდეს, თორემ ხომ ხედავთ, რომ დაპირებამ — ერთი წელიწადი კარგი იქნება, მეორე — უკეთესი და ა.შ. — იუმორის სიბრტყეში გადაინაცვლა.

ჟანგბადი გაჩნდა, ვეუბნები ხალხს: ადამიანებს აღარ ატერორებენ, არ ამცირებენ, არ აუპატიურებენ, ღამე შენს ქონებას ნოტარიულად არ გადაუფორმებენ სხვას. ასეთი უბედურებები ხელისუფლების პოზიცია არ არის. „რუსთავი 2“-მა კი ამოიჩემა ტერმინი „უნიათო ხელისუფლება“ და ამას ყოველდღიურად ჩასჩიჩინებს ხალხს. მოგეხსენებათ, წყლის წვეთის ეფექტი, რომელიც თავის კვალს ყოველთვის ტოვებს, ამ შემთხვევაში — ხალხის შეგნებაში.

ვინ ამბობს უნიათოო? — მკვლელები, ქვეყნის გამსხვისებლები და სინდისგარეცხილი ადამიანები, რომლებმაც უნდა იყუჩონ, მოინანიონ, ილოცონ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში გალიონ დღენი.

შეიძლება, მაგალითად, დღემდე პასუხგაუცემელი იყოს **აფრასიძეების** საქმე? რამდენია ასეთი?! საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდირებაა საჭირო, მაგრამ ხშირად შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვერ შედგა საზოგადოება.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა. დღეს საქართველოში არ იგრძნობა, რომ ასეთი იდეა გვაქვს.

**ნატოსა და ევროსაბჭოში გაერთიანება, რის პროპაგანდასაც გადავყევით, იდეა არ შეიძლება იყოს, ეს მხოლოდ საშუალებაა, მექანიზმი, რომელმაც შეიძლება შეუწყოს ხელი ქვეყნის განვითარებას, შეიძლება — არა. იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენი ეს მისწრაფება შეიძლება ტრაგიკული გამოდგეს სამშობლოსთვის. და შემდეგ „აღშფოთდნენ“, „შეშფოთდნენ“ და მიიღონ რეზოლუციები მათ, ვინც ამას არის მიჩვეული. ჩვენ კი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით.**

**— არადა, დღეს აშკარად ჩანს თუნდაც ევროკავშირის დაშლის ტენდენცია.**

— დიახ, ასეა. ბეწვის ხიდზე გავდივართ. ხანდახან ვიტყვით, უფსკრულში არ გადავიჩეხოთო, მაგრამ მეტი რა უფსკრული გინდა, როცა სააკაშვილის უგნურობით (ამას რბილად ვამბობ) დავკარგეთ კოდორის ხეობა, ცხინვალის რეგიონის 150 სოფელი, რომლებსაც „ქვების გროვა“ უწოდა დიდმა სტრატეგოსმა და ა.შ.



ჯანსულ კახიძე, ბიძინა კვერნაძე და ვალერი ასათიანი

## «ქართული ფენომენის გამოხატულება ყოველთვის ღირსება იყო. ეს ღირსება უნდა შეინარჩუნოს ერმა»

აღარ მინდა იმ რეჟიმზე ლაპარაკი.

დღეს იგრძნობა, რომ ქვეყნის გამთლიანების იდეით ვართ შეპყრობილნი და ეს ხალხისა და ხელისუფლების მთავარი საზრუნავია? — არა!

**— ჩვენ სრულიად გვაკმაყოფილებს, თუ რომელიმე საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენელი ან რომელიმე უცხოური დელეგაციის წევრი განაცხადებს, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.**

— ვერ ავამოქმედეთ ეროვნული შემოქმედებითი ენერგია. ხალხი ხშირად გულგატეხილია. ამასაც ნუ დავმალავთ. დაპირებები იყო ბევრი და მოლოდინიც — დიდი.

ამ სიტუაციაში გვერდს ვერ ავუვლით **ბიძინა ივანიშვილის** პიროვნებას, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და ეროვნულ მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება. მაგრამ, როგორც ვთქვი, ჟანგბადი რომ გაჩნდა ქვეყანაში, ადამიანის განვითარების სურვილიც გაძლიერდა, თუმცა ტემპი სრულიად არ შეესაბამება იმას, რისი მოლოდინიც გვქონდა და რაც გვინდა, რომ იყოს.

**— არაპროფესიონალიზმის ბრალია?**

— ამისაც და უყურადღებობისაც, კომუნიკაციის ნაკლებობისაც. თვითკმაყოფილებისაც.

**— და უმადურობისაც ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილის, ერის ნაღებს რომ უწოდებენ, რომელმაც ივანიშვილის წყალობით თავი შესანიშნავად იგრძნო და ყველა დამხრჩვალი კატის ბიძინა ივანიშვილზე ჩამოკიდება დაიწყო.**

— უმადურობა დიდი ცოდვაა. რამდენი რამ გააკეთა სასიკეთო ამ ადამიანმა. მხოლოდ ის ადამიანები რომ ავიღოთ, რომლებსაც მან პირადად ხელი გაუმართა და შიმშილს გადაარჩინა, მათგან ხმამაღალი სიტყვა არ ისმის, არადა, დიდი ძალაა. ეს ნაცები როგორი შეკრულები არიან, ხომ ხედავთ: ათი კაცია თუ ასი, სტაბილურად არიან ყოველთვის წარმოდგენილნი.

აქეთა მხარეს კი აკლდება ხალხი. დუმან. არ ვიცი, უფრთხიან რამეს თუ რაღაცის მოლოდინში არიან. თითო-ოროლა კაციღა იბრძვის მხოლოდ.

**— ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მათგან ბევრი, რომლებიც თავიდანვე „ქართული ოცნების“ მხარეს დადგა და ბოლომდე თავგამოდებით იბრძოლა, ბორტს მიღმა აღმოჩნდა.**

— უყურადღებობა რომ ვახსენე, სწორედ ამას ვგულისხმობდი.

**— როგორ შეაფასებთ ე.წ. ციანიდის საქმის გამო ატეხილ „მეორედ მოსვლას“?**

— ეს არის იმ ძალების (არ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ერთი ძალის) ერთობლივი მოქმედების შედეგი, რომელთა მიზანი და დედააზრი თავის დროზე ცნობილი ფორმულით ჩამოაყალიბა **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ** („რკინის ზბიგნევმა“): **„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენი მთავარი მტერი იქნება მართლმადიდებლობა“.**

საბაბი კი უამრავი შეიძლება იყოს, კონკრეტულად ერთის დასახელება გამიჭირდება. დღეს ამას გამოძიება არკვევს. **ჩვენთვის ახალი ამბავი ხომ არ არის, რომ ნაცებსა და მათ პატრონებს თვალში არ მოსდით პატრიარქი. ვერ ეგუებიან, რომ ქვეყანას ჰყავს მწყემსმთავარი, რომელსაც მიჰყვება ხალხი; ვერ ეგუებიან იმას, რომ ეპარქიების რაოდენობა ათჯერ გაიზარდა, რომ ახალგაზრდობა ეკლესიის აზრს ანგარიშს უწევს.** მე სულაც არ ვაიდეალებ ყველაღვთისმსახურს, ვიცით, რომ საპატრიარქოში არის პრობლემები და ყველას ცოდვა თავად პატრიარქმა იტვირთა. მისი საგალობელი „დავიღალე“ სულის ყივილია.

არ დავაკონკრეტებ, რომელ ძალებზე ვლაპარაკობ, გამგები გაიგებს.

იმედი მაქვს, რომ, როცა საქმე ეხება რწმენას, სულიერებას, პატრიარქს, ჩვენი საზოგადოებრიობა უფრო მკვეთრად გამოხატავს თავის პოზიციას, რომელიც ამ და ბევრი სხვა საერთო პრობლემის დაძლევას შეეშველება.

ჩემი აზრით, სწორედ აქ შეიძლება უკეთ გამოიხატოს ეროვნული ენერგია.

**— საკაცობრიო ღირებულებები და საქართველო. ეს თემა მინდა შემოგთავაზოთ.**

— ფაქტია, რომ ყველანი ვისწრაფვით ევროპული ღირებულებებისკენ, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ის ღირებულებები მრავალ ასპექტში გაფერმკრთალდა. არ დავაკონკრეტებ, რადგან პოლიტიკაში გადავიჭრებით. ქართული ფენომენის გამოხატულება ყოველთვის ღირსება იყო. ეს ღირსება უნდა შეინარჩუნოს ერმა.

პეტერბურგიც ევროპული ქალაქი იყო და ისწრაფვოდა ევროპული ღირებულებებისკენ, რუსეთის პროგრესული ინტელიგენციაც... მაგრამ არა საკუთარი ღირსების დაკარგვის ფასად. ძნელია, მაგრამ მეტი მოქნილობაა საჭირო და სასიცოცხლო მნიშვნელობის გზების ღრმად გააზრებული ძიება.

**ჭკუის დამრიგებლად ნუ მოგვევლინებიან ჩვენი თვითნასწავლი მოძღვრები, რომელთათვის ამოსავალი წერტილი სხვადასხვა კომისიის მიერ შედგენილი ანგარიშები და ინსტრუქციებია — ამან ეს თქვა, იმან — ის და ა.შ.**

ესაა სამწუხარო.

საქართველო არის საერთო-საკაცობრიო ღირებულებების ორგანული ნაწილი, ანტიკურ-ბიზანტიური კულტურის არათუ შემთვისებელი, არამედ ამ ფასეულობათა შექმნის პროცესის მონაწილე. შორს არ წავალ და დავასახელებ რუსთაველს, იოანე პეტრიწს, ათონელების სკოლას, გელათის აკადემიას, უზარმაზარ მთარგმნელობით, ფილოსოფიურ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას. ეს არ იყო ოდენ ქართული კულტურის განვითარება, ეს იყო საკუთრივ ბიზანტიური კულტურის გამდიდრება, ელინოლოგიის განვითარება. **კორნელი კეკელიძე** სწორედ ამას ამბობს, **ივანე ჯავახიშვილიც** იმავეს ამტკიცებს — ქართველობა დაეწაფა ცხოველმყოფელ ელინიზმს, რომელმაც შემდგომში რენესანსი წარმოშვაო. ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე ნანტიდან ჩამოსულმა ჩვენმა თანამემამულემ, აღიარებულმა მეცნიერმა **გასტონ ბუაჩიძემ** ნახევრადხუმრობით განაცხადა, რომ, რადგან პირველი ევროპელების ნაკვალევი საქართველოში აღმოჩნდა და შემდგომში ქართველმა მოაზროვნეებმა ბევრი რამ შესძინეს ევროპას, უცხოელებს კი არ უნდა ვეხვეწებოდეთ ევროკავშირში მიღებას, არამედ აქეთ უნდა გვთხოვდნენ ისინი ევროპულ ოჯახში შესვლას თუ დაბრუნებას.

საერთო ევროპული კულტურა არის მოზაიკა, რომელშიც თითოეულ კენჭს თავისი ელვარება აქვს, მათ შორის, ქართული განსაკუთრებული ბრწყინვალებითაა გამორჩეული.

დასასრულ, ქართველთა წვლილი ევროპულ ცივილიზაციაში, ისევე, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში, არის სრულიად უდავო.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «ნამუსგარეცხილმა «60-მა წუთმა», გოგიჩაიშვილმა დამაბრალა: თითქოს მე ჩემი, მძიმე სენით დაავადებული ვაჟის გადასარჩენად (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული) სატანისტური მკვლელობა ჩავიდინე, მოვკალი ორი ადამიანი, მათი ცხედრები დავანაწევრე და სხვადასხვა ადგილზე დავმარხე... «რუსთავი 2»-ის მიერ ჩემთვის მოცხებული ჩირქის გამო კეთროვანივით გავხდი — ხალხი თვალს მარიდებდა. გასაგებია, რას ნიშნავდა ჩემთვის თანადგომა ისეთ სიტუაციაში, როგორსაც მტერს არ ვუსურვებ»

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კვირიკაშვილის ინიციატივა გახმაურდა შიმშილის ზღვარზე მყოფ, ეკონომიკურად გაღატაკებულ საქართველოში. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდეს ხალხის შიმშილისგან გადარჩენას, „სამთავრობო ქალაქის“ აშენებას გეგმავს, რითაც მილიონობით ლარისა თუ დოლარის გაფლანგვას აპირებს.**

**დღე ისე არ ჩაივლის, ახალი წინადადებით გული არ „გაგვიხაროს“ ჩვენმა ხელისუფლებამ. ასე მოხდა ახლახან, როდესაც პრემიერმინისტრმა გულისნადები გაგვანდო, — ორთაჭალაში „სამთავრობო ქალაქის“ მშენებლობა იწყებაო. „გადავწყვიტეთ, მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, ორთაჭალაში იმ ადგილას, რომელზეც ბიზნესსახლის პროექტი ხორციელდება, გავაკეთოთ სამთავრობო ქალაქის პროექტი. ძალიან დიდი ტერიტორია გამოიყო ამისთვის, რომელზეც გადაიტანენ სამინისტროებს, რაც, ერთი მხრივ, ძალიან კარგი იქნება, რადგან ქალაქის ცენტრში ბევრი საოფისე თუ სასტუმროებისთვის ხელსაყრელი სივრცე გამოთავისუფლდება; მეორე მხრივ კი, წახალისდება სამშენებლო სექტორი...“**

# კვირიკაშვილის ინიციატივა და ივანიშვილის გაფრენილი «აღმშენებლობითი» იდეები



მოდი, განვიხილოთ პრემიერის ნათქვამი. მაშ, ასე: პრემიერი ამბობს, „გადავწყვიტეთ“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს „გენიალური“ იდეა მხოლოდ მას კი არ ეკუთვნის, არამედ სხვასაც — ერთ ან რამდენიმე პირს. საინტერესოა, ვინ არიან ისინი.

თუ სიტყვა „გადავწყვიტეთ“-ში მხოლოდ ერთი კაცი და პრემიერი იგულისხმება, ის ერთი ცნობილია. მისი სახელი და გვარია **ბიძინა ივანიშვილი** — გრანდიოზული, მაგრამ ყოვლად გამოუსადეგარი მშენებლობების ავტორი. მხოლოდ შეკვეთილის 100-მილიონდოლარიანი საკონცერტო დარბაზი რად ღირს ან დაცარიელებულ ქუთაისში საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა, გათვლილი 50 000 სტუდენტზე.

გარდა ამისა, „სამთავრობო ქალაქის“ მშენებლობა დიდძალ სახელმწიფო თანხასთან არის დაკავშირებული, რასაც თავის თავზე **კვირიკაშვილი** არ დაიკისრებს. ვეჭვობ, **ის, რაც კვირიკაშვილმა თქვა, სულაც არ არის მისი იდეა. ის, უბრალოდ, ივანიშვილის დავალების გამხმოვანებელია.**

საბჭოთა პერიოდში მცხოვრებ ადამიანებს კარგად ახსოვთ სიტყვა „გადავწყვიტეთ“ და მისი მნიშვნელობა. როდესაც ამ სიტყვას საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამბობდა, ნიშნავდა, რომ გადაწყვიტა პოლიტბიურომ, ე.ი. პოლიტბიუროს არა ერთმა ან ორმა, არამედ მრავალმა წევრმა — უმრავლესობამ, რაც აშკარად მიანიშნებდა არა ერთის გადაწყვეტილებაზე, არამედ კოლექტივის. **ვერც ერთი გენერალური მდივანი, სტალინიც კი, თავს უფლებას ვერ მისცემდა, პოლიტბიუროს წევრების გარეშე გადაეწყვიტა საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი თუ მცირე საკითხი. და ეს — იმ „ავადსახსენებელ“, არადემოკრატიულ საბჭოთა სისტემაში. აქ, ჩვენს რეალობაში კი, რა ხდება?!**

„მოჭარბებულად დემოკრატიული“ საქართველოს პრემიერმინისტრი ფაქტის წინაშე აყენებს საპარლამენტო უმრავლესობას, პოლიტიკურ პარტიებს საქართველოს ბიუჯეტისთვის ერთობ მგრძნობიარე საკითხზე — სამთავრობო ქალაქის მშენებლობაზე.

**მსგავსი თავხედობა არ მოხდება, არა მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყანაში, არადემოკრატიულშიც კი, ვინაიდან ის არა მხოლოდ სახელმწიფო ფულის უყაირათო ხარჯვას ეხება, არამედ მშენებლობას, რომლის დასრულების შემდეგ კარდინალურად შეიცვლება დედაქალაქის ლანდშაფტი, ცხოვრების რიტმი, იერი და ა.შ.**

**სანამ პრემიერი სიტყვა „გადავწყვიტეთ“-ს იტყოდა, საჭირო იყო სპეციალისტებთან, განსაკუთრებით — არქიტექტორებთან, ურბანისტებთან, ქალაქის მესვეურებთან და სხვებთან საკითხის აწონ-დაწონა, გააზრება იმისა, რისთვის არის საჭირო „სამთავრობო ქალაქის“ მშენებლობა; ვინ ააშენებს ამ „ქალაქს“ — ქართველი თუ უცხოელი სპეციალისტები; როგორი იქნება ამ „ქალაქამდე“ მისასვლელი გზების გამტარიანობა; აშენდება თუ არა დამატებითი გზები და სხვ. და როდესაც მათთან შეჯერდებოდა მთავრობა, მაშინ მიმართავდა თბილისელებს ამ გრანდიოზული პროექტის განხორციელების თაობაზე.**

„სამთავრობო ქალაქის“ აშენება ისეთი საკითხია, რომ თბილისელთა ჩართვას საჭიროებს და მათ ხმას, თუნდაც საქალაქო პლებისციტით. „ქალაქის ცენტრში ძალიან ბევრი საოფისე თუ სასტუმროსთვის ხელსაყრელი ფართობი გამოთავისუფლდება“, — გვეუბნება კვირიკაშვილი და იმედი აქვს, რომ გამოთავისუფლებულ შენობას რომელიმე უცხოელი შეისყიდის საოფისედ ან სასტუმროსთვის.

**კოსტავას ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი შენობა, კარგა ხანია, გამოთავისუფლებულია და უპატრონობისგან ჩვენ თვალწინ ინგრევა. არაერთი ხმაურიანი განცხადება, რომ შენობა ცნობილმა ფირმამ შეიძინა და მალე სასტუმრო გაიხსნება, არ გამართლდა. ანალოგიური ბედი ეწია მტკვრის სანაპიროზე რესტორან „არაგვს“, რომელიც სასწრაფოდ დაანგრიეს და დარჩა ასე შემოღობილ-დანგრეული ინვესტორის მოლოდინში. იქაც სასტუმროს გეგმავდნენ.**

**კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის შენობა, რომელიც, როგორც ამბობენ, ივანიშვილის საკუთრებაა, დგას უაზროდ, ნახევრადდანგრეული და უიმედოდ შეჰყურებს მომავალს. ანალოგიური ბედი ეწია „ზაკვოს“ ყოფილ შენობას თამარაშვილის ქუჩაზე, რომელიც „თიბისი ბანკმა“ შეიძინა, „გამოქუთნა“ და მიატოვა, როგორც დანგრეული ალეკო.**

რა გარანტიაა, რომ გამოთავისუფლებულ ფართობს ვინმე შეიძენს და იქ ოფისებს ან სასტუმროს გახსნის? — არანაირი. მაგალითი — კოსტავას ქუჩაზე მდებარე **პრესის ყოფილი სახლი**, რომელიც, მიუხედავად არაერთი განცხადებისა, ექსპლუატაციაში სრულად ჯერაც არ შესულა.

საქართველოს ხელისუფალთ სასტუმრომანია რომ სჭირთ, გასაკვირი არ არის. მათი ვიწრო აზროვნება სხვას ვერ სწვდება, ვერც იმაზე ფიქრობს, სჭირდება თუ არა ქალაქს ამდენი სასტუმრო.

ხელისუფლება ტურიზმის განვითარებას მხოლოდ სასტუმროს უკავშირებს და არა ქალაქის ან ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ნორმალურ გზებს, ტროტუარებს, სისუფთავეს, წესრიგს, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას, მომსახურებას სასტუმროებში, რესტორნებსა და კაფე-ბარებში, თავაზიანობას და სხვა მრავალ ტურიზმისთვის აუცილებელ ფაქტორს.

**ტურიზმს ქიმიკატებით გაჯერებული თურქული მდარე ხარისხის კვების პროდუქტებით ვერ განვავითარებთ, ვერც მაკარონით შეზავებული ხაჭაპურით. ყველიანი ხაჭაპურის ყიდვა ისევე რთულია, როგორც ხორციანი ღვეზელის.** საქართველოში დასავლეთიდან, ძირითადად, „ჰოსტელის მუშტარი“ ტურისტი ჩამოდის, რომელიც იმ კუთხე-კუნჭულშიც დადის, ჩვენ თავს რომ ვარიდებთ, ანუ შარდით აყროლებულ მიწისქვეშა გადასასვლელებში, ბაზრებში, ჭუჭყიან ქუჩებში. ის სწორედ ე.წ. ხაჭაპურით (უყველო), ღვეზელით (უხორცო) იკვებება და დარწმუნებული ვარ, არასდროს შეაქებს ქართულ სამზარეულოს.

ასე რომ, **სასტუმროებისთვის ფართობის გათავისუფლება წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.** უკვე რამდენი წელიწადია, აღმაშენებლის გამზირზე უპატრონოდაა მიტოვებული ყოფილი **სასტუმრო „რუსთავის“** შენობა. ამ ხნის განმავლობაში ქალაქში არაერთი მერი შეიცვალა. არც ერთს აზრადაც არ მოსვლია, ეკითხა, რატომ არის ეს შენობა მიტოვებულ-გაპარტახებული.

პრემიერის ინიციატივას უმალ აუბა მხარი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ზურაბ ალავიძემ:** „ჩვენ უნდა მივიღოთ ენერგოეფექტური შენობები. ჩვენ მრავალი ქარტიის მონაწილე ვართ, სადაც ხელი გვაქვს მოწერილი ამ მიმართულებით. ამას თავი რომ დავანებოთ, ჩვენი სამინისტროების უმეტესი ნაწილი ზის ისტორიულ შენობებში და ქალაქის ისეთ უბნებში, რომლებიც ძალიან საინტერესოა სასტუმროსა და ტურისტული მიმართულების განვითარებისთვის. ...გადავიდეთ უფრო კომპაქტურად, ისეთ ადგილებზე, რომლებიც ხარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას მოგვცემს“.

ალავიძის ნათქვამმა უმალ გამიჩინა კითხვა: ვინ ააშენებს „სამთავრობო ქალაქს“, თანაც „ენერგოეფექტურს“? საქართველოს ძველ, გამოცდილ და ცნობილ არქიტექტორებსა და მშენებლებს ამის თავი აღარ აქვთ. ისინი სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩარეცხა, ისე, როგორც ნებისმიერი დარგის სპეციალისტი. ახლებს არც გამოცდილება აქვთ და არც შესაბამისი განათლება, რაც აშკარაა თბილისში მიმდინარე საბინაო მშენებლობიდან გამომდინარე.

**„სახელისუფლო ქალაქს“ ურბანისტ-არქიტექტორი სჭირდება, გამოცდილი და ამ საქმის მცოდნე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ უჰაერო აკვარიუმს მივიღებთ, როგორიც არის პარლამენტის შენობა ქუთაისში. საჭირო იქნება უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში აშენდება ისეთი ერთჯერადი საქათმე, როგორიც თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე ვაკე-საბურთალოს გამგეობაა.**

ალავიძე მომჭირნეობაზეც ლაპარაკობს, თითქოს სამინისტროების ფარღალალა შენობებში განთავსება ხელს შეუწყობს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას. ამას ამბობს იმ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში ვერაფრით გადმოიყვანა პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში.

პარლამენტის ქუთაისში ყოფნით სახელმწიფო ბიუჯეტის მილიონებს რომ ფლანგავს, არ აწუხებს ხელისუფლებას და ფეხს ითრევს დაპირების შესასრულებლად, რაც, ალბათ, კვირიკაშვილის ინიციატივითაცაა განპირობებული. გამორიცხული არ არის, პარლამენტის თბილისის შენობის გაყიდვაც და პარლამენტის ქუთაისში სამუდამოდ დატოვება.

თბილისში მდებარე პარლამენტის შენობას 1992 წლის დასაწყისში (ომის შემდეგ) თვალი დაადგეს ქალაქის „პატრიოტმა“ მესვეურებმა, რომლებმაც იმ საბაბით, რომ 1991-92 წლების მსგავს სამხედრო დაპირისპირებას მომავალში არ ჰქონოდა ადგილი, გადაწყვიტეს, პარლამენტის ახალი შენობა თბილისის ზღვაზე აეშენებინათ (ცენტრიდან შორს), ხოლო რუსთაველზე მდებარე სამინისტროები სხვაგან გადაეტანათ და რუსთაველის პროსპექტი სალაღობოდ გადაექციათ.

ეს იყო მოტივი, რომელიც 1992 წლის თებერვალში დროებითი მთავრობის სხდომაზე განიხილეს. სინამდვილეში „პატრიოტ ქართველებს“ პარლამენტის შენობის ბიზნესისთვის გადაცემა სურდათ, იქ მაღაზიების გახსნა. და რომ არა ცხონებული **გოგი ანდრონიკაშვილის**, თქვენი მონამორჩილისა და არქიტექტორ **ვახტანგ ცუხიშვილის** ძალისხმევა, შენობა, დიდი ხანია, ბიზნესის ხელში იქნებოდა. ახლა იმ ძველი ქართველი „პატრიოტების“ ნაშიერები აპირებენ მამების იდეის განხორციელებას.

გარდა ჩამოთვლილი ნეგატიური მომენტებისა, უნდა აღვნიშნოთ მთავარი — **კვირიკაშვილის ინიციატივა გახმაურდა შიმშილის ზღვარზე მყოფ, ეკონომიკურად გაღატაკებულ საქართველოში. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდეს ხალხის შიმშილისგან გადარჩენას, „სამთავრობო ქალაქის“ აშენებას გეგმავს, რითაც მილიონობით ლარისა თუ დოლარის გაფლანგვას აპირებს.**

ქალაქის მერმა **ნარმანიამ** ამას წინათ განაცხადა, სააკაშვილის მიერ აშენებული საშინელი „ტრუბების“ დემონტაჟისა და ძველი ქალაქიდან გადატანისთვის ფული არ გვაქვსო. მაშ, რა მშენებლობაზე გველაპარაკება კვირიკაშვილი?! უფულოდ აშენდება „სამთავრობო ქალაქი“?

დასასრულ, **კვირიკაშვილის ინიციატივა ისე სერიოზულია, უდავოდ შეთანხმებულია ივანიშვილთან. მეტიც, დარწმუნებული ვარ, ეს ინიციატივა ივანიშვილისაა და არა კვირიკაშვილის, ვინაიდან მას მოსდის ესოდენ გაფრენილი „აღმშენებლობითი“ იდეები მასთან დაახლოებული სამშენებლო კომპანიების დასასაქმებლად, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.**

მოდი, გაუთავებლად ვიძახოთ, სააკაშვილისგან გაგვათავისუფლაო, თვალი დავხუჭოთ „საგმირო“ საქმეებზე, რომელთა მოწმენიც ვართ; ვაქოთ ისე, როგორც ამას აკეთებს ქალბატონი **ლია სტურუა** „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში (ასე იცის ბიძინას „სტიპენდიამ“) და ერთი წუთითაც არ ვიფიქროთ, — საით მივდივართ ან რა ჰქვია იმ მმართველობას, რომელიც საქართველოშია.

მმართველობას, რომელიც საქართველოშია, ერთი ბატონის მიერ ქვეყნის მართვა ჰქვია. მას არც კონსტიტუცია სჭირდება და არც სახელმწიფო სტრუქტურები. ამიტომაცაა დაკნინებული პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის ფუნქციები. და საზოგადოება, მეტადრე ინტელიგენცია, ნაცვლად იმისა, რომ გამოსაფხიზლებელი შეძახილით მიმართოს, „მინის სასახლეში“ მყოფსა და მის მოჯამაგირე ხელისუფლებას, დითირამბებით ამკობს მას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**,
პოლიტოლოგი

**იმ საშინელ ავარიაში, რომელიც აღმაშენებლის ხეივანში მოხდა, დამნაშავეა არა მხოლოდ კონკრეტული მძღოლი, არამედ მთელი საზოგადოება, რომელსაც ტრაგედიის შემდეგ იმის შნოც კი არ აღმოაჩნდა, რომ მთავრობისთვის გზებზე სიტუაციის დარეგულირება ერთხმად მოეთხოვა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავტოსაგზაო კოშმარი და არშემდგარი საზოგადოება

**შემზარავმა ავტოსაგზაო შემთხვევამ აღმაშენებლის ხეივანში, რომლის შედეგად პატარა გოგონა დაიღუპა, თითქოს გამოაფხიზლა საზოგადოება, თუმცა მისი აღშფოთება და პროტესტი მხოლოდ სოციალურ ქსელებში ხანმოკლე ხმაურით შემოიფარგლა; აქციაზე პარლამენტის შენობასთან მხოლოდ რამდენიმე ათეული მოქალაქე მივიდა და მთავრობამ, სავარაუდოდ, ვერ იგრძნო, რომ განრისხებული მოსახლეობა მისგან პასუხს მოითხოვს.**




შსს-ს ინფორმაციით, 2016 წელს საქართველოში 6 939 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა დარეგისტრირდა. ცხადია, ეს ციფრი არ ასახავს უამრავ „შედარებით მსუბუქ" ინციდენტს, რომლის შემდეგ მხარეები პოლიციას არ მიმართავენ. 2016 წელს ავტოსაგზაო შემთხვევებს 581 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 9 951 — დაშავდა. ეს (მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით) ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელია კონტინენტზე. 600-მდე ადამიანის დაღუპვა ძალიან ბევრია ქვეყნისთვის, რომელშიც დაბადებულთა რიცხოვნობა გარდაცვლილთა რიცხოვნობას წელიწადში მხოლოდ 10 ათასით აღემატება — ცნობილი ფრაზის არ იყოს, ეს სტატისტიკაცაა და ტრაგედიაც.

განსაკუთრებით მძიმეა სიტუაცია დედაქალაქში, სადაც წინა წელთან შედარებით დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა 9%-ით გაიზარდა. საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ძირითად გამომწვევ მიზეზებად შსს მანევრირების წესების დარღვევას, მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბებასა და საავტომობილო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვას ასახელებს.

ის ფაქტი, რომ ტრაგიკული ინციდენტების რაოდენობა ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა, მას შემდეგ, რაც ახალმა ხელისუფლებამ აშკარად პოპულისტური გადაწყვეტილება მიიღო და ჯარიმები შეამცირა, ხშირად უბიძგებს კომენტატორებს იმისკენ, რომ სანქციების გამკაცრება პანაცეად წარმოაჩინონ, მაგრამ პრობლემა **კომპლექსურია და მის გადასაჭრელად საჭიროა პატრულის თანამშრომელთა საფუძვლიანი გადამზადება, სავალდებულო ტექდათვალიერების აღდგენა, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, თბილისის მერიის სერიოზული გააქტიურება საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით** (ეს, ალბათ, უტოპისტური ოცნებებია, მაგრამ მაინც). თუმცა ყოველივე ეს პრობლემის სიმწვავეს, სავარაუდოდ, ვერ შეამცირებს, რადგან არსებობს კიდევ ორი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოება.

**საქართველოში „კანონის უზენაესობა" მხოლოდ ცარიელი ლოზუნგია, დამნაშავე მაღალჩინოსანს, კორუფციონერს თუ აშკარა მკვლელს, შესაძლებლობა აქვს, ხელისუფლებას გაურიგდეს და არა მხოლოდ დააღწიოს თავი პასუხისმგებლობას, არამედ ახალი თანამდებობაც დაიკავოს.** მძღოლების ნაწილი დარწმუნებულია, რომ გავლენიანი ნათესავი ან მფარველი ნებისმიერ შემთხვევაში დაეხმარება და დასჯისგან დაიცავს. ასეთ სიტუაციაში სანქციების გამკაცრება შედეგს ვერ გამოიღებს. საქართველოს მოსახლეობას, თომას ჰობსის ცნობილი ფორმულის თანახმად, ურჩევნია, ეშინოდეს კანონის, ვიდრე ძალადობრივი და, როგორც წესი, უეცარი სიკვდილის, მაგრამ ეს კანონი ყველაზე უნდა ვრცელდებოდეს. **შერჩევითი სამართალი მის ყოველდღიურ გამოვლინებებში არა მხოლოდ შეურაცხყოფს მოქალაქეებს, არამედ სახელმწიფოზე ზრუნვის, მისი დაცვის სურვილს უკლავს.**

ალბათ, თითოეულ ჩვენგანს უნახავს, როგორ ერიდებიან გამოცდილი მძღოლები ახალ მანქანებთან (განსაკუთრებით „ბმვ"-სთან) მიახლოებასაც კი, როდესაც ისინი მართვის აგრესიულ სტილს ავლენენ, რადგან ვარაუდობენ, რომ საჭესთან მდიდარი და გავლენიანი ადამიანის შვილი ზის, რომელიც საერთოდ არ ფიქრობს იმაზე, რომ დარღვევისთვის შეიძლება დაისაჯოს.

**ჯარიმების გაზრდა სიტუაციას მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოასწორებს. რაც შეეხება პატივისცემას კანონის უზენაესობის მიმართ, ის საქართველოში მას შემდეგ დამკვიდრდება, როდესაც საზოგადოება დაინახავს, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის სჯიან უკლებრივ ყველას — ბანდიტი იქნება, ჩინოვნიკი თუ მთვრალი მძღოლი, რომელმაც ფეხით მოსიარულის სიცოცხლე შეიწირა.** მაგრამ არის კიდევ ერთი, შესაძლოა, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა.

მერაბ მამარდაშვილის ცნობილ ინტერვიუში, რომელიც მან შევალიეს 1990 წლის 20 აგვისტოს მისცა, არის ერთი მონაკვეთი, რომელმაც პრობლემის განხილვა შეიძლება უფრო საინტერესო გახადოს. მამარდაშვილი სიტუაციას საქართველოში შემდეგნაირად აღწერს: „თითოეული ცდილობს, გადარჩეს დამოუკიდებლად, რადგან ნავში მარტოა თავის ახლობლებთან და ნათესავებთან ერთად. მარტოა ვის გარეშე? რესპუბლიკის? „რეს პუბლიკა" — ანუ საზოგადოებრივი საქმე, საზოგადოებრივი სივრცე. XIX–XX საუკუნეებში იტალიაში საზოგადოების დაცემის ტენდენცია დაიწყო, დაირღვა საზოგადოებრივი კავშირები და გაბატონდა პრინციპი „ყველა საკუთარი თავისთვის". ეს ყველაფერი იტალიელებისთვის დამახასიათებელი მომხიბვლელობით ხდებოდა. ჩვენთანაც ასეა — ასეთივე მიმზიდველობით დაცურავს ყველა თავისი ნავით და გაურბის, არაფრად აგდებს საზოგადოებრივ ინტერესს. შეხედეთ თბილისურ სახლებს, ტროტუარებს, საზოგადოებრივ გარემოს — ჭუჭყიანი ჭიშკრები, გაცვეთილი სახლები, ვირთხები და ჩამონგრეული კედლები; ასეთია იგი გარედან. სამაგიეროდ, შიგნით ნახავთ კეთილმოწყობილ ბინებს, ავეჯითა და ნივთებით გადატვირთულს, მაღალხარისხიან აპარატურას". მამარდაშვილმა ძალიან ზუსტად დააფიქსირა ზღვარი, რომელიც ქართველების პირად (ოჯახურ) სივრცესა და საზოგადოებრივ სივრცეს შორის გადის და ხელს უშლის საქართველოში ნორმალური, თანამედროვე, მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. „ჩვენს დემოკრატიას მთავარი წინაპირობა არ გააჩნია. მე უკვე გამოვიყენე სიტყვა — „რეს პუბლიკა", რაც დემოკრატიული სისტემის პიკს წარმოადგენს. პოლიტიკური დემოკრატია შეუძლებელია საზოგადოებრივ სივრცესთან დამოკიდებულების გარეშე, რასაც „რეს პუბლიკა", ანუ რესპუბლიკური ურთიერთობა ჰქვია. სხვა ვარიანტი გამორიცხულია".

ის, რაც სამართლიანია კეთილმოწყობილი ბინების მიმართ, მანქანებზეც ვრცელდება და ამ შემთხვევაში კონტრასტი კიდევ უფრო მკვეთრია. ყველა მძღოლი თითქოს „საკუთარ ნაჭუჭში" ზის და ქუჩას, რომელზეც მოძრაობს საერთო სივრცედ კი არ აღიქვამს, რომელშიც შესაძლებელია თანამშრომლობა და ერთობლივი ძალისხმევით უწესრიგობის აღკვეთა, არამედ ქაოტურ, მტრულ სტიქიად. ალბათ, ბევრი ჩვენგანი გამხდარა მომსწრე იმისა, თუ როგორ გამოხატავენ შეშინებული უცხოელი სტუმრები უკმაყოფილებას ქართველი მძღოლების ქცევის გამო, რომელიც გადაულახავ წინააღმდეგობაში შედის ძველ კულტურასთან, ისინი რომ ეცნობიან. ერთი მხრივ, ისინი ხედავენ მაღალი კულტურის ნიმუშებს, მეორე მხრივ — მძღოლების ველურ მენტალიტეტს და კოგნიტური დისონანსი ემართებათ.

> **ძალიან ძნელია ინდივიდების ამ ერთობლიობას საზოგადოება ეწოდოს. ის გაცილებით ახლოს დგას ტომთან — თავისი ბელადებით, რიტუალური ცეკვებითა და სისხლიანი მსხვერპლშეწირვებით, რომლის მთავარი მიზანი მომავლის წინაშე შიშის, თუნდაც დროებითი, დათრგუნვა და საკუთარი უსუსურობის შენიღბვაა**

რა თქმა უნდა, ეს ყველა მძღოლს არ ეხება, მაგრამ მანიაკი საკმარისზე მეტია და, რაც მთავარია, მამარდაშვილის მიერ ნახსენები „საზოგადოებრივი საქმისა" და შესაბამისი სივრცის მიმართ ინტერესის არქონა სიტუაციის გამოსწორების შესაძლებლობას ნაკლებად ტოვებს.

ნაციონალები მიიჩნევდნენ (ახლაც ამ აზრზე არიან), რომ ასეთ ვითარებაში თანამედროვე სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ ძალადობით შეიძლება. მათ უარი თქვეს ევროპული ტიპის დემოკრატიაზე აზიური „განვითარების დიქტატურის" სასარგებლოდ და, ამასთანავე, მოქმედებდნენ ცნობილი წესის თანახმად: „მეგობრებს — ყველაფერი, დანარჩენებს — კანონი". „სულ ტყუილად გვაკრიტიკებენ, თუ რატომ ვიღებთ განვითარების აზიურ მოდელს", — განაცხადა 2012-ში მიხეილ სააკაშვილმა. ცხადია, ქართველები, რომელთაც ცოტა სხვა მოთხოვნები აქვთ, ამ მოდელმა არ დააკმაყოფილა, მაგრამ სააკაშვილის სადისტური რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანას მხოლოდ პალიატიური ზომები, რიგი მანკიერი პრაქტიკების აღკვეთა შესთავაზა, მაგრამ არა განვითარების ალტერნატიული სტრატეგია.

XXI საუკუნეში ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია აქვს, ცივილიზებულად იწოდებოდეს, არ შეიძლება გზებზე ასეთი სიტუაცია ჰქონდეს და ამაზე არავინ კამათობს, მაგრამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ პრობლემა უნდა დაარეგულიროს მხოლოდ და მხოლოდ მთავრობამ და ვერ ხედავს საკუთარ ადგილს ცვლილებების პროცესში ან კავშირს ამ საზოგადოებრივ (მამარდაშვილს თუ დავესესხებით, „რესპუბლიკურ") საქმესთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საერთო საქმეში ჩართვის მცდელობა, დიდი ალბათობით, გამოიწვევს კონფლიქტს ძველ რწმენა-წარმოდგენებთან. მაგალითად, მძღოლების 99,9%, როდესაც ამჩნევს, რომ სხვა მანქანა დარღვევით მოძრაობს და საფრთხეს ქმნის, პოლიციას არ მიმართავს, რადგან ამას „ჩაშვებად" მიიჩნევს (ასეთი მიდგომა ბევრ სხვა ეპიზოდთან, მაგალითად, შეუსაბამო ადგილას ნაგვის დაყრასთან, შეიმჩნევა). ის გარემოება, რომ ამას შეიძლება უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა მოჰყვეს, სათვალავში არ მიიღება. საბოლოოდ, **საქართველოს ბევრი მოქალაქე თანახმაა, „საერთო სივრცეში" წესრიგის დამყარება ხელკეტებითა თუ ცოცხებით შეიარაღებულ ფაშისტებს დაუთმოს, ოღონდ ცხოვრების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებაში არაფრის შეცვლა არ მოუხდეს, რადგან ძველი სტერეოტიპებისა და ქცევის მოდელების მსხვრევა საკმაოდ მტკივნეული რამ არის.**

ამ წერილის დასრულება იმ ფაქტის კონსტატაციით შეიძლებოდა, რომ იმ საშინელ ავარიაში, რომელიც აღმაშენებლის ხეივანში მოხდა, დამნაშავეა არა მხოლოდ კონკრეტული მძღოლი, არამედ მთელი საზოგადოება, რომელსაც, ტრაგედიის შემდეგ იმის შნოც კი არ აღმოაჩნდა, რომ მთავრობისთვის გზებზე სიტუაციის დარეგულირება ერთხმად მოეთხოვა. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ძალიან ძნელია ინდივიდების ამ ერთობლიობას საზოგადოება ეწოდოს. ის გაცილებით ახლოს დგას ტომთან — თავისი ბელადებით, რიტუალური ცეკვებითა და სისხლიანი მსხვერპლშეწირვებით, რომლის მთავარი მიზანი მომავლის წინაშე შიშის, თუნდაც დროებითი, დათრგუნვა და საკუთარი უსუსურობის შენიღბვაა.

> **განსაკუთრებით მძიმეა სიტუაცია დედაქალაქში, სადაც წინა წელთან შედარებით დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა 9%-ით გაიზარდა**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველი ხალხის გონებაჩლუნგად მომხსენიებელ ე.წ. პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომლის ადმინისტრაციის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს მილიონობით ლარი უჯდება, როგორც ჩანს, ძალიან გაუტკბა ავლაბრის სასახლეში „მოღვაწეობა“ და მეუღლესთან ერთად უცხოეთში ვოიაჟები — 2016 წელს პრეზიდენტ მარგველაშვილისა და მისი მეუღლის ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ოლიმპიადაზე 5-დღიანი ვიზიტი საქართველოს ბიუჯეტს 130 932 ლარი დაუჯდა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის 10 თანამშრომლის — 165 549 ლარი...**

# «პლასტილინის კაცი»

## პრეზიდენტი, რომელმაც ქსოვას თავი მიანება და მიზანმიმართულად მავნებლობს

**„ერი, რომელიც ყველას უყვარს და ყველას ეცოდება... მაგრამ, რომელსაც ვერ შველიან საკუთარი სისულელის, სიჯიუტისა და სიჩლუნგის გამო... დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ მდგომარეობამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა... ლოთი მამის პირობებში მნიშვნელოვნად ამრუდებბდა ჩვენს აზროვნებას ჩვენი დედაც — ქართლის დედა — ერთ ხელში თასი, მეორეში — ხმალი...“**



ამას წერდა საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** 2001 წელს ჟურნალში „დრო მშვიდობისა“ (№2). იმხანად ის 32 წლის იყო, 12 წლის შემდეგ კი, 2013 წელს ბიძინა ივანიშვილმა „აილო“ და საქართველოს პრეზიდენტის სავარძელში ჩასვა, მარგველაშვილსაც არ უთქვამს უარი „გონებაჩლუნგი“ და „დებილი“ ერის პრეზიდენტობაზე და... მივიღეთ კიდევ ერთი უსაქმური მაღალი თანამდებობის პირი, რომელმაც მოწყენილობისგან ქსოვას დაანება თავი და მიზანმიმართულად დაიწყო ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედება. თუმცა, ეს რომ ასე მოხდებოდა, იმთავითვე ჩანდა, მარგველაშვილი ხომ მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის — თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლების, „ნაცმოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის მთავარი იდეოლოგების — **ლევან რამიშვილისა** და **გიგა ბოკერიას**, აგრეთვე, თბილისის ყოფილი მერის, პირწავარდნილი ნაციონალის, **ზურაბ ჭიაბერაშვილის** მეგობარია და ამას არც მალავს. მარგველაშვილის იდეოლოგიური მეგობრობა ჭიაბერაშვილთან კარგად ჩანს მის ე.წ. ტრაქტატში. მან, ისევე, როგორც ჭიაბერაშვილმა თავის დროზე საქილიკოდ აირჩია ელგუჯა ამაშუკელის „ქართვლის დედა“. გახსოვთ, ალბათ, ზურაბ ჭიაბერაშვილის გონების ნაჟური: „ქართვლის დედას ცალ ხელში საშო უჭირავს, მეორეში — ფალოსი“.

ქართველი ხალხის გონებაჩლუნგად მომხსენიებელ ე.წ. პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომლის ადმინისტრაციის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს მილიონობით ლარი უჯდება, როგორც ჩანს, ძალიან გაუტკბა ავლაბრის სასახლეში „მოღვაწეობა“ და მეუღლესთან ერთად უცხოეთში ვოიაჟები — 2016 წელს პრეზიდენტ მარგველაშვილისა და მისი მეუღლის ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ოლიმპიადაზე 5-დღიანი ვიზიტი საქართველოს ბიუჯეტს 130 932 ლარი დაუჯდა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის 10 თანამშრომლის — 165 549 ლარი...

პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდომისთანავე გიორგი მარგველაშვილმა, რომელმაც მანამდე, 2013 წელს, როცა განათლების მინისტრი იყო, განაცხადა, რომ **„პლასტილინივით ადამიანია და, სადაც მიაგდებენ, იმ ფორმას იღებს“,** თავი იმპერატორად იგრძნო და, როგორც სააკაშვილის მემკვიდრეს შეეფერება, სიტყვა გატეხა — ამბობდა, რომ ავლაბრის რეზიდენციაში (რომლის ფართობი 16 ათასი კვ. მეტრია) არ შევიდოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ ფეხი შედგა, ვერაფრის დიდებით ველარ გამოიყვანეს. არადა, ათონელის ქუჩაზე აშენებული ნაკლებად პომპეზური პრეზიდენტის რეზიდენცია დღესაც უქმად არის. ასევე არ თქვა მან უარი ხელფასის მომატებაზე — **მარგველაშვილის ანაზღაურება სააკაშვილის ხელფასთან შედარებით 2180 ლარით მოიმატა, 6900 ლარს შეადგენს და საქართველოს მოქალაქის პენსიაზე დაახლოებით 38-ჯერ მეტია.**

მარგველაშვილისა და „ქართული ოცნების“ თავკაცის ურთიერთობაში უთანხმოების პირველი ბზარი ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციამ შეიტანა.

ცოტა ხნის შემდეგ კი დაპირისპირება განახლდა ჯერ უცხოეთში ვიზიტის თემით, ვის უნდა წარმოედგინა საქართველო, შემდეგ კი საკითხზე, ვის უნდა მოეწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ბრიუსელში საქართველოს იმჟამინდელი პრემიერმინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** გაემგზავრა.

შემდეგი დაპირისპირება კი გაეროში წასვლაზე მოხდა, როდესაც მარგველაშვილი ვერაფრით დაარწმუნეს, უარი

**მარგველაშვილის იდეოლოგიური მეგობრობა ჭიაბერაშვილთან კარგად ჩანს მის ე.წ. ტრაქტატში. მან, ისევე, როგორც ჭიაბერაშვილმა თავის დროზე, საქილიკოდ აირჩია ელგუჯა ამაშუკელის «ქართვლის დედა». გახსოვთ, ალბათ, ზურაბ ჭიაბერაშვილის გონების ნაჟური: «ქართვლის დედას ცალ ხელში საშო უჭირავს, მეორეში — ფალოსი»**

ეთქვა, გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე კიდევ ერთი დელეგაციით გამგზავრებაზე, რადგან იქ პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი უნდა გამოსულიყო სიტყვით, მაგრამ ეს საკითხი, პიპინია ერისთავივით, ფეხის ერთი დარტყმით გადაწყვიტა **ბიძინა ივანიშვილმა**, როდესაც ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტ მარგველაშვილს **„ეს კაცი“** უწოდა და განაცხადა, რომ **„პატარა ღარიბი ქვეყნიდან ამერიკაში ორი ცალ-ცალკე დელეგაციის წასვლა ლამაზი არ იქნება“.**

ამის შემდეგ უკვე ძალიან გამწვავდა კონფრონტაცია მარგველაშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის — პრეზიდენტი და „ქართული ოცნების“ ლიდერები ერთმანეთს სკანდალური და არაკორექტული განცხადებებით მიმართავდნენ. 2016 წელს მარგველაშვილმა ძალოვნების მხრიდან წნეხის საფრთხეზე ილაპარაკა და კორცხელის ინციდენტთან ვიცეპრემიერ **კახა კალაძის** კავშირის გამოძიება მოითხოვა. „ოცნებამ“ უპასუხა, რომ ეს ამორალური,



უზნეო ჭორაობაა და მეტი არაფერი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** კი ცოტა ხნისწინათ განაცხადა: „თუ საქართველოს პრეზიდენტი გააგრძელებს არაკორექტული განცხადებების კეთებას, ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირდაპირი არჩევნები არ ჩავატაროთ მომავალ წელს და გადავიდეთ არაპირდაპირ არჩევნებზე“.

პრეზიდენტი, თავის მხრივ, აქტიურად იყენებდა ვეტოს უფლებას და დაბლოკა მნიშვნელოვანი კანონები — სასამართლო რეფორმის, ეროვნულ ბანკზე ზედამხედველობის სამსახურის შექმნისა და „მოსმენების“ შესახებ. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მოვლენებისას გიორგი მარგველაშვილი იყო ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელმაც სამართალდამცავი პირები და ვანდალები ერთ სიბრტყეში განიხილა და მათ „მხარეები“ უწოდა.

ბოლო პერიოდში გიორგი მარგველაშვილთან ერთად მისი ოჯახის წევრებიც ჩაერთნენ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ბრძოლაში: მარგველაშვილის მეუღლე **მაკა ჩიჩუა** დემონსტრაციულად მონაწილეობს სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიის — „რუსთავი 2“-ის გადაცემებში, ქალიშვილი **ანა მარგველაშვილი** კი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას დევნა-თვალთვალსა და მისი ახლობლებისთვის ნარკოტიკების ჩადებაში ადანაშაულებს და საპროტესტო აქციებში მონაწილეობს.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მარგველაშვილი კარგა ხანს დუმილს ამჯობინებდა დეპუტატ **ეკა ბესელიას** განცხადებაზე, რომ პრეზიდენტმა უკანონოდ შეიწყალა და ციხიდან გაათავისუფლა თავისი ცოლისძმა, სამჯერ ნასამართლევი, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდადებული **მიხეილ მგალობლიშვილი.**

1979 წელს დაბადებული მიხეილ მგალობლიშვილი სამჯერ არის ნასამართლევი: პირველად — 2008 წლის 25 მარტს — 273-ე და 353-ე მუხლებით, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის მისჯილი ჰქონდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, პლუს ორი წელიწადი — პირობით, აგრეთვე, 3000 ლარის ჯარიმა. მგალობლიშვილს 9 თვეში შეეხო ამნისტია და გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან. მსჯავრდებულმა ქსნის მე-7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულება 2009 წლის 29 ოქტომბერს დატოვა.

მეორედ გაასამართლეს 2009 წლის 12 დეკემბერს, იგი დიღმის მასივში დააკავეს და ნარკოლოგიური შემოწმებისას დაუდგინეს ნარკოტიკული საშუალებების (მეტანფეტამინისა და ამფეტამინის) მოხმარება. 2010 წლის 27 თებერვალს გამართულ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის ადვოკატსა და პროკურორს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, მიხეილ მგალობლიშვილმა წარდგენილი დანაშაული სრულად აღიარა და თავი ცნო დამნაშავედ. მოსამართლე **ზვიად ესებუამ** კი თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 9 თვის ვადით შეუფარდა, რაც საპროცესო შეთანხმებით, 3-წლიანი პირობითით შეუცვალა. დააკისრა ჯარიმაც 2 ათასი ლარის ოდენობით.

მესამედ მგალობლიშვილი გაასამართლეს 2011 წლის 4 მაისს ჯგუფურად განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის. მან 2010 წლის 31 აგვისტოს, თბილისში ლესელიძის ქუჩაზე, თანამზრახველებთან ერთად ახალგაზრდა მამაკაცი დანით დაჩეხა. მოსამართლე **ლელა შკუბულიანმა** ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, მგალობლიშვილს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მის მეგობარს — 14 წლით.

მაგრამ **3 წლის შემდეგ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა შეიწყალა სამჯერ ნასამართლევი ცოლისძმა.**

მარგველაშვილის ოჯახის ნარკოტიკებისა და კრიმინალთან ურთიერთობა ამით არ ამოიწურება.

***** პრეზიდენტის მეუღლის — მაკა ჩიჩუას შვილის, **მაშო ჩიჩუას** ქმარი, მინდია **გოგოჭური,** კოკაინის დიდი დოზით მიღების გამო რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მოხვდა. ეს ფაქტი ოფიციალურად არის დადასტურებული.

გარდა ამისა, მინდია გოგოჭურს ადანაშაულებენ 23 წლის **ზურაბ ტარყაშვილის** მკვლელობაშიც. მოკლულის ოჯახმა პროკურატურაში წარადგინა ფოტო და ვიდეომტკიცებულება, მაგრამ, მათი თქმით, იმის გამო, რომ „მკვლელ მინდია გოგოჭურს პრეზიდენტი მარგველაშვილი მფარველობს, პროკურატურა მას მკვლელობის ბრალდებას არ უყენებს. **ცნობისთვის:** ზურა ტარყაშვილი 2011 წლის 17 ოქტომბერს მოკლეს. მისი მკვლელობისთვის მსჯავრდადებული არიან **ივერი გოგბერაშვილი** და **დავით რუსიშვილი**, ხოლო **ირაკლი აგლაძეს** დაუსწრებლად აქვს სასჯელი შეფარდებული.

***** გოგოჭურმა პრეზიდენტის შვილის — ანა ▶

# საპრეზიდენტო არჩევნების წინ ლამის მთელი საზოგადოება უჩიჩინებდა ივანიშვილს, რომ არ არის მარგველაშვილი საპრეზიდენტო კაცი, მაგრამ ივანიშვილი საუკეთესო ეპითეტებს არ იშურებდა მარგველაშვილის მიმართ და მისი კანდიდატურა ლამის ხელების გადაგრეხვით მოგვახვია თავს, როგორც „ერთადერთი ღირსეული და შესაფერისი საპრეზიდენტო კაცი“.

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ალექსანდრე ჭაჭია

**«იმ ვალდებულებების უქონლობისას, რომლებითაც მე ვთავაზობდი, დაეტვირთათ პრეზიდენტი, ეს თანამდებობა აღიქმება, როგორც საპატიო, კომფორტული დროსტარება, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას, უნარს, შესაძლებლობებს, პატივი და კომფორტი კი ჩვენს ხალხს უყვარს, განსაკუთრებით სახელმწიფოს ხარჯზე; ამიტომ, მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ კანდიდატებისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგეს»**

◀ მარგველაშვილის გამო ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრა **ბაჩო სირაძე.** ეს ინციდენტი მოხდა თბილისში, გერგეთის ქუჩაზე, მაგრამ გოგოჭური არავის დაუსჯია.

* 2015 წლის 20 ივლისს პრეზიდენტის ცოლისძმა და მისი მეგობრები სამართალდამცავებმა ქუთაისში დააკავეს. აღნიშნული პირები სამეგრელოდან თბილისში მიდიოდნენ, დაკავების მიზეზი კი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაზე შემოწმება გახდა. დაკავებულების ადვოკატის — **დალი სულაქველიძის** თქმით, პრეზიდენტის ცოლისძმა მალე გაათავისუფლეს.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ცოლისძმის — მიხეილ მგალობლიშვილისა და სიძის — მინდია გოგოჭურის კრიმინალურ წარსულზე დუმილს ამჯობინებს.

**არადა, პარლამენტარ ბესელიას ბრალდების დადასტურების შემთხვევაში ნორმალურ სახელმწიფოში პრეზიდენტს პასუხს მოსთხოვდნენ და შეწყალების უფლებას ჩამოართმევდნენ. პრეზიდენტი კი საჯაროდ ამბობს, რომ მისი ოჯახის წევრები დევნას განიცდიან.**

ამ საკითხზე ნიშანდობლივია ჟურნალისტ **გიორგი იაკობაშვილის** განცხადება, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა:

„პრეზიდენტს კისერი რატომ აღარ უჩანს? თავზე ვეტო დაადეს? არადა, რა კარგი იქნებოდა „ჩვენი ხმალი და მაგის კისერი“:

1. პრეზიდენტის სიძემ, მინდია გოგოჭურმა, მოკლა 23 წლის ზურა ტარყაშვილი. საქმე არ გამოიძიეს ბოლომდე.

2. პრეზიდენტის სიძემ, მინდია გოგოჭურმა, დაჭრა ბაჩო სირაძე. საქმე არ გამოუძიებიათ.

3. პრეზიდენტის სიძის მეგობარი, თორნიკე კაჭარავა, ბრალდებული იყო მკვლელობისთვის. ორმა ინსტანციამ მიუსაჯა, თუმცა ბოლოს საქმე გაწელეს და მარგველაშვილის დაქალმა, ნინო გვენეტაძემ, გაამართლა.

4. პრეზიდენტის სიძის მეგობარმა ახლახან ესროლა პოლიციელს შატბერაშვილის ქუჩაზე. საქმე არ გამოუძიებიათ. ვინაობაც არ გაამხილეს.

5. პრეზიდენტის ცოლისძმამ და მისმა მეგობარმა ლესელიძეზე დაჭრეს ახალგაზრდა მამაკაცი. დაიჭირეს, მიუსაჯეს, მაგრამ მარგველაშვილმა შეიწყალა.

6. პრეზიდენტის ცოლისძმა დღეს ნარკოტიკსა და იარაღზეა დაჭერილი (მეოთხე ნასამართლეობა).

7. პრეზიდენტის სიძე, მინდია გოგოჭური, წინა წელს ნარკოტიკების დიდი დოზით მიღების გამო მიიყვანეს საავადმყოფოში.

8. პრეზიდენტმა შეიწყალა ახლობელი მკვლელები, რომელთა ნაწილმა შეწყალების შემდეგ ისევ მოკლა ადამიანი (ოქრიკა).

9. ცოტა ხნის წინათ დაჭრეს პრეზიდენტის სიძე, გოგოჭური, და 18 აბი სუბოტექსისთვის დაკავებული მისი მეგობარი — მიხეილ თათარიშვილი. საქმე ისევ არ გამოუძიებიათ.

ჰოდა, რა მინდოდა მეთქვა: პრეზიდენტის ოჯახს დევნიან და ავიწროვებენ ვითომ?“

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტსა და „ქართული ოცნების“ თავკაცს შორის კონფრონტაცია აშკარა შეიქნა, ბიძინა ივანიშვილმა გულისტკივილით აღიარა, რომ გიორგი მარგველაშვილმა „იმედი გაუცრუა“. არადა, **საპრეზიდენტო არჩევნების წინ ლამის მთელი საზოგადოება უჩიჩინებდა ივანიშვილს, რომ არ არის მარგველაშვილი საპრეზიდენტო კაცი, მაგრამ ივანიშვილი საუკეთესო ეპითეტებს არ იშურებდა მარგველაშვილის მიმართ და მისი კანდიდატურა ლამის ხელების გადაგრეხვით მოგვახვია თავს, როგორც „ერთადერთი ღირსეული და შესაფერისი საპრეზიდენტო კაცი“. არგუმენტად კი ამჯერადაც თავისი უტყუარი ალღო მოიყვანა და განაცხადა, რომ და არ ეშლება ადამიანების შერჩევა.**

არადა, რისი იმედი ჰქონდა მას, როდესაც ქართველ საზოგადოებას თავს მოახვია გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა, მერე კი გაუკვირდა, ნაციონალი **მიხეილ მაჭავარიანის** ძმა, ასევე, პირწავარდნილი ნაცი, **ვანო მაჭავარიანი** მრჩევლად რატომ დაისვაო?! წესით და რიგით, ბიძინა ივანიშვილს უნდა სცოდნოდა, ვინ იყვნენ და რას სჩადიოდნენ მის მიერ მოწონებული პრეზიდენტობის კანდიდატის მეგობრები. სწორედ მარგველაშვილის სამეგობრო წრე იდგა ავანგარდში იმ პროცესებისა, რომლებსაც მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლა, ქართული ტრადიციების გაქილიკება, უფროსი თაობის ჩარეცხვა, განათლებისა და მეცნიერების განადგურება მოჰყვა.

დღეს ივანიშვილს გაბრაზების გარდა, სხვა არანაირი მექანიზმი არ უპყრია ხელთ, ზემოქმედება რომ მოახდინოს მტრის ბანაკში გადაბარგებულ და სააკაშვილის ყოფილი რეზიდენციიდან ირონიით მოპასუხე ყოფილ თანაგუნდელზე, თუმცა ჰქონდა ილუზია, რომ ხელისუფლების საათავეში დატოვებდა „ძლიერ მთავრობას“, რომელიც შეძლებდა მისი პოლიტიკური კურსისა და ნება-სურვილების რეალიზებას, თვითონ კი წავიდოდა სამოქალაქო სექტორში.

მილიარდერის ეს იმედი აბსურდული რომ იყო, 2013 წელს ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ:**

**„საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. ჩაიგდებენ თუ არასახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები. მას, საჭიროების შემთხვევაში, მოუწევს, მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადაწყვეტაზე, მაგრამ ელჩისაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება...**

**პრეზიდენტად სააკაშვილის ყოფნამ პრეზიდენტის პოსტი იმდენად გააუფასურა, რომ პოლიტიკისგან ყველაზე შორს მდგომ ადამიანსაც კი ჰგონია, თითქოს მისთვისაც შესაძლებელია პრეზიდენტობა. ლოგიკა მარტივია: თუ მიშა 9 წელი იჯდა პრეზიდენტად, მე რატომ არ შემიძლია?! საერთოდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეჭირათ და ახლაც უჭირავთ ისეთ უსარგებლო, უფერულ და გაუნათლებელ ადამიანებს, რომ საზოგადოების წესიერი, ავტორიტეტული, ღირსეული წევრისთვის უხერხული და სირცხვილიც კია, იყოს მინისტრი, დეპუტატი. მე ვიცნობდი და ახლაც ვიცნობ პარლამენტის რამდენიმე წევრს, რომლებიც უცხო საზოგადოებაში მალავენ თავიანთ სტატუსს; იმ ვალდებულებების უქონლობისას, რომლებითაც მე ვთავაზობდი, დაეტვირთათ პრეზიდენტი, ეს თანამდებობა აღიქმება, როგორც საპატიო, კომფორტული დროსტარება, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას, უნარს, შესაძლებლობებს, პატივი და კომფორტი კი ჩვენს ხალხს უყვარს, განსაკუთრებით სახელმწიფოს ხარჯზე; ამიტომ, მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ კანდიდატებისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგეს. ასეთი კანონის მიღება რომ აუცილებელია, ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირებების შეუსრულებლობაც ადასტურებს და ისიც, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი მხოლოდ თავისი კეთილდღეობით, ხელფასებისა და პრემიების გამოწერით არის დაკავებული და არა — ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებით“(„საქართველო და მსოფლიო“ №31(218), 2013 წლის 21 აგვისტო — 4 სექტემბერი).**

პარადოქსი არის ის, რომ მარგველაშვილს ხალხმა ერთადერთი მიზეზით მისცა ხმა — ივანიშვილის დაჟინებული მოთხოვნით. და თუ მის გამო ივანიშვილიც იმედგაცრუებულია (და ასეც არის), გამოდის, რომ პარლამენტისგან ისედაც უფლებაყრილი პრეზიდენტის ლეგიტიმურობა ნულის ტოლია.

**აი რას ამბობდა ალექსანდრე ჭაჭია პრეზიდენტის პოსტსა და მის უფლება-მოვალეობებზე 2013 წელს „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში:**

**„თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა. რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მით უმეტეს — გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბლინძოს. საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.**

**მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს...**

**თუ ხელისუფლებას სჭირდება ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტებით ევროპასა და ამერიკას ეწვევა და კულტურულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას, ასეთ თანამდებობას, ჩვეულებრივ, „სინეკურას“ უწოდებენ: ადამიანი ზის ხალხის კისერზე, იყენებს ყველა პრივილეგიას, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით, ხოლო საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს არავინ სთხოვს. საქართველოში ასეთ თანამდებობაზე კანდიდატი ბევრია და მათგან ნაწილმა უკვე წარადგინა თავისი თავი, მაგრამ, თუ ამ თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგელობით დავტვირთავთ და დავადგენთ, რომ ერთ-ორ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დაკავების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება. ვთვლი, რომ ქართველ ერს არ აქვს სურვილი და ფუფუნება, რომ ძვირად ღირებული და უსაქმური მაღალჩინოსანი შეინახოს. ვთვლი, რომ ეს მაღალი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული“ („საქართველო და მსოფლიო“ №6, 2013 წლის 20-26 თებერვალი).**

ალექსანდრე ჭაჭიას ამ მოწოდებას ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. დღეს კი ნათელია, რომ იმ სქემით, რომელიც ივანიშვილმა მოგვახვია თავს, მივიღეთ კიდევ ერთი უსაქმური მაღალი თანამდებობის პირი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ „მდიდარი სექსი“ აქვს, მოწყენილობისგან ქსოვას თავი დაანება და მიზანმიმართულად მავნებლობს...

**«თუ ხელისუფლებას სჭირდება ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტებით ევროპასა და ამერიკას ეწვევა და კულტურულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას, ასეთ თანამდებობას, ჩვეულებრივ, «სინეკურას» უწოდებენ: ადამიანი ზის ხალხის კისერზე, იყენებს ყველა პრივილეგიას, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით, ხოლო საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს არავინ სთხოვს. საქართველოში ასეთ თანამდებობაზე კანდიდატი ბევრია და მათგან ნაწილმა უკვე წარადგინა თავისი თავი, მაგრამ, თუ ამ თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებლობით დავტვირთავთ და დავადგენთ, რომ ერთ-ორ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დაკავების მსურველთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდება»**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„თუ რომელიმე პირი თავისი ნებითა და სურვილით არ გამოგვყვებოდა, ჩვენს წრეში ვერ ჩაებმოდა. ეგნატე გაბლიანმა უთხრა: იცოდეთ, ამ ჩვენ ცდას შეიძლება მოჰყვეს დამარცხება, შემდეგ განადგურებაც და ამიტომ, ვისაც არ გაქვთ სურვილი, არ გამოხვიდეთო. მეც ვუთხარი ეს, მაგრამ ხალხმა გვითხრა: ჩვენ ეს ვიცით, ამას ვზომავთო“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-10 (377-386)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ჯალადი

## სვანების აჯანყების გამომწვევი ჭეშმარიტი მიზეზები

**გაზეთის წინა ნომერში გაგაცანით სვანეთის 1924 წლის აჯანყების მთავარი ორგანიზატორის, ბიძინა პირველის, მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების დიდი ნაწილი. დღეს კი წარმოგიდგენთ ბიძინა პირველის საბოლოო სიტყვას, აგრეთვე, აჯანყების მეორე მეთაურის, ეგნატე გაბლიანის, ჩვენებას 1925 წლის 16 ივლისის სასასამართლო სხდომაზე.**

**დადიანი (დამცველი):** — თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ ტფილისში წინადადება გადაეცით ამხანაგებს, რომ დავალებული გაქვთ აჯანყება და ზოგი მათგანი წინაალმდეგი იყო?

**პირველი:** — მე ეს აზრი გავუზიარე გაბლიანსაც და ისიც არ მოემხრო, გვითხრა, რომ გადატრიალება არ მოხდება, ეს მხოლოდ მსხვერპლს მოითხოვსო.

**დადიანი:** — ვინ გითხრათ ეს, ეგნატე გაბლიანმა?

**პირველი:** — დიახ.

**დადიანი:** — იყო თუ არა სვანეთში წინათაც შესაძლებლობა, რომ ხალხი გამოსვლას აპირებდა და გაბლიანი იყო ამის წინააღმდეგი?

**პირველი:** — დიახ, იყო. ჩვენ მუდამ გვიწევდა იმ მხრივ მუშაობა, რომ ხალხი შეგვეჩერებინა. ამას იქაური ალმასკომის თავმჯდომარე დაამტკიცებს, რომ ჩვენ ვმუშაობდით, რათა ხალხს რამე სეპარატიული გამოსვლები არ ეწარმოებია.

**დადიანი:** — რად უნდა გამოსულიყო ხალხი, პროპაგანდას ეწეოდნენ თუ რა მიზეზი იყო?

**პირველი:** — საზოგადო მდგომარეობა ასეთი იყო. გეცოდინებათ, რომ სვანები არასდროს დაივიწყებენ, თუ ვინმემ შეურაცხყოფა მიაყენა. 1876 წელს რუსის ჯარმა გაანადგურა სვანეთი და ერთ სოფელში წითელი მიწის მეტი არაფერი დატოვა. სვანეთში დარჩენილი იყო შურისძიების ინსტიქტი იმ ნაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასე დაიმსახურა მხეცური ნაბიჯები. ამის გამო რუსეთისადმი სიმპათია არ იყო სვანეთში. როდესაც საქართველოს ოკუპაცია მოხდა, ჩვენ ვხედავთ სვანეთში სურვილს. **21 წელში ცდა იყო, რომ რუსის ჯარი, რომელსაც სვანები ვერ ეთვისებოდნენ, არ შემოსულიყო. ამნაირად, მთავარი იყო რუსის ჯარის სიძულვილი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აწარმოებდნენ რუსოფილურ პოლიტიკას. შემოიღეს წარმოება რუსულ ენაზე. სვანებში ეწეოდნენ აგიტაციას, რომ ჩვენ ქართველები არ ვართ და ჩრდილო კავკასიის საშუალებით უნდა დავიკავოთ კავშირი რუსეთთან.**

**დადიანი:** — ლაფანის მთაზე სანამ დაიწყებოდა აქტიური შეტევა, გაბლიანმა გააფრთხილა თუ არა ხალხი?

**პირველი:** — საზოგადოდ, ჩვენ ასეთი პოლიტიკის ვიყავით, რომ, თუ რომელიმე პირი თავისი ნებითა და სურვილით არ გამოგვყვებოდა, ჩვენს წრეში ვერ ჩაებმოდა. **ეგნატე გაბლიანმა უთხრა: იცოდეთ, ამ ჩვენ ცდას შეიძლება მოჰყვეს დამარცხება, შემდეგ განადგურებაც და ამიტომ, ვისაც არ გაქვთ სურვილი, არ გამოხვიდეთო. მეც ვუთხარი ეს, მაგრამ ხალხმა გვითხრა: ჩვენ ეს ვიცით, ამას ვზომავთო.**

**დადიანი:** — წერილის შესახებ, რომელიც გაბლიანმა გამოგიგზავნათ, რა გახსოვთ?

**პირველი:** — ეს ის წერილია, რომელშიც გაბლიანი მწერდა: ცნობა არის და საჩქაროდ ჩამოდიო. მე ჩავედი ბეჩოში, ტყეში ვინახულე გაბლიანი და გავეცანი ცნობას.

**დადიანი:** — ის წერილი ვინ გადმოგცათ თქვენ, გაბლიანმა გადმოგცათ?

**პირველი:** — არა, ხებლიანმა გადმომცა ის წერილი.

**დადიანი:** — თუ იცით, რატომ არის აქ ნათქვამი, რომ 26 აგვისტოს გაბლიანმა გაუგზავნა პირველს წერილი, ეს შეცდომაა?

**პირველი:** — დიახ, ეს შეცდომაა...

**ჯავახიშვილი (ბრალდებული):** — რამდენჯერ მოხდა სვანეთში აჯანყება?

**თავმჯდომარე:** — ჩვენ ვარჩევთ ამ აჯანყებას.

**ჯავახიშვილი:** — მე მხოლოდ მინდა გამოვარკვიო, რომ ჩვენ იქ არავითარ მონაწილეობას არ ვიღებდით.

**ღვამიჩავა (დამცველი):** — იცით თუ არა, რომ 1924 წელს ხდებოდა ლიკვიდაცია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის?

**პირველი:** — დიახ, ვიცი.

**ღვამიჩავა:** — ეთანხმებით თუ არა იმ დეკლარაციას, რომელიც ახალგაზრდებმა გამოაქვეყნეს?

**პირველი:** — დიახ, ამას ადასტურებს ის მდგომარეობა, რომ მე თვითონ გამოვცხადდი, თორემ მე შემეძლო ტყეში წავსულიყავი და ძვირად დაუჯენდი თავს მტრებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 19-40.

### დოკუმენტი №19
### ეგნატე გაბლიანის დაკითხვა
### 1925 წლის 16 ივლისის სხდომა

**თავმჯდომარე:** — რომელ მუხლში ცნობთ თავს დამნაშავედ?

**გაბლიანი:** — მე ვცნობ თავს დამნაშავედ მხოლოდ მე-2 მუხლში, დანარჩენში უდანაშაულოდ ვცნობ თავს.

**თავმჯდომარე:** — ჩვენება როდის გინდათ?

**გაბლიანი:** — ჩემთვის სულერთია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 375, ტომი 1, ფურცელი 71.

### დოკუმენტი №20
### ეგნატე გაბლიანის დაკითხვა
### 1925 წლის 23 ივლისის სხდომა

**თავმჯდომარე:** — ბრალდებულო გაბლიანო, რამდენი წლის ხართ?



ეგნატე გაბლიანი

**«21 წელში ცდა იყო, რომ რუსის ჯარი, რომელსაც სვანები ვერ ეთვისებოდნენ, არ შემოსულიყო. ამნაირად, მთავარი იყო რუსის ჯარის სიძულვილი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აწარმოებდნენ რუსოფილურ პოლიტიკას. შემოიღეს წარმოება რუსულ ენაზე. სვანებში ეწეოდნენ აგიტაციას, რომ ჩვენ ქართველები არ ვართ და ჩრდილო კავკასიის საშუალებით უნდა დავიკავოთ კავშირი რუსეთთან»**

**გაბლიანი:** — 40 წლის.

**თავმჯდომარე:** — სოციალური მდგომარეობა?

**გაბლიანი:** — გლეხი.

**თავმჯდომარე:** — ოჯახური მდგომარეობა?

**გაბლიანი:** — ცოლ-შვილიანი.

**თავმჯდომარე:** — ქონებრივი?

**გაბლიანი:** — არაფერი არ მაქვს.

**თავმჯდომარე:** — ხელობა?

**გაბლიანი:** — პროფესიით მასწავლებელი.

**თავმჯდომარე:** — განათლება?

**გაბლიანი:** — საშუალო.

**თავმჯდომარე:** — რომელ პარტიას ეკუთვნით?

**გაბლიანი:** — სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას ვეკუთვნოდი.

**თავმჯდომარე:** — პასუხისგებაში იყავით?

**გაბლიანი:** — ვიყავი.

**თავმჯდომარე:** — რა საქმეზე?

**გაბლიანი:** — 1910-ში იყო ჩემი წერილი მოთავსებული გაზეთ „ფონის“ №16-ში, რომელიც იყო მიმართული მეფის წინააღმდეგ, გამოდიოდა **გრიგოლ გიორგაძის** რედაქტორობით.

**თავმჯდომარე:** — რომელი წლიდან ითვლებოდით სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში?

**გაბლიანი:** — 1915 წლიდან.

**თავმჯდომარე:** — მუდამ სვანეთში ცხოვრობდით?

**გაბლიანი:** — სულ მუდამ.

**თავმჯდომარე:** — პარტიულ მუშაობას ეწეოდით?

**გაბლიანი:** — ვეწეოდი 1920 წლამდე.

**თავმჯდომარე**: — რა კავშირი გქონდა პარტიასთან გამოსვლების წინ?

**გაბლიანი:** — არავითარი კავშირი არ მქონია 1920 წლიდან.

**თავმჯდომარე:** — რანაირად იყავით დაკავშირებული ცენტრთან?

**გაბლიანი:** — კვირიკობის თვეში იყო თბილისში ბრალდებული პირველი. როგორც მისი ჩვენებიდან ჩანს, მას აქ ჰქონია მოლაპარაკება პარიტეტული კომიტეტის წევრთან. როცა ის სვანეთში დაბრუნდა, მიამბო, რომ აჯანყება ეწყობა საქართველოშიო და მე, როგორც მას აქვს ნაჩვენები წინასწარი გამოძიების დროს, ვუთხარი, რომ ამაზე მუშაობას თავი დაანებე, რადგანაც ერის გაბედნიერებას არ გამოველით-თქო.

**თავმჯდომარე:** — გამოსვლების დროს რას აკეთებდით?

**გაბლიანი:** — გამოსვლების დროს, 26 მარიობისთვეს, მივიღე წერილი ბეჩოდან. მე მწერდა, რომ ტფილისში არის მიღებული ცნობა და სასწრაფოდ უნდა წავსულიყავი. მეორე წერილი იყო ბიძინას საxელზე. სხვათა შორის, მე ვარ ბეჩოდან დაშორებული 25 ვერსის მანძილზე, ბიძინა – 40 ვერსის მანძილზე. წერილის შინაარსი იყო ისეთი, რომ ჩვენ უნდა ჩავსულიყავით 27-ში საღამოს ბეჩოში. იქ არის მოთავსებული მთელი მთავრობის დაწესებულებები. წერილში არ იყო ცნობა აჯანყების შესახებ. წავედი კიდევაც და მე და ბიძინა შევხვდით ერთიმეორეს 7-8 ვერსის მანძილზე ლატანის საზოგადოებასთან. აქ მე შევჩერდი. ბრალდებული პირველი შევიდა ბეჩოში და, როდესაც გაეცნო პარიტეტული კომიტეტიდან მოსულ ცნობას, თქვა: საქმე ასე არისო. ცნობა არის ასეთი და ჩვენ მოვალენი ვართ, გამოვიდეთ და წავიდეთ ლეჩხუმისკენ. იმ საღამოს ლატანიდან გავემგზავრეთ ბეჩოში. 3 ვერსის მანძილზე რომ ვიყავით, მოგვესმა საშინელი სროლა და ნგრევა. რომ მოვუახლოვდით გზას, იქ დაგვიხვდა ჩასაფრებული ადგილობრივი მილიცია. წინდაწინ გაეგოთ, რომ მივდიოდით, ალბათ, ბეჩოში გავრცელებული ხმა აჯანყების შესახებ ადმინისტრაციას გაეგო, ეშინოდა და გზაზე დაგვიხვდა. აგვიტეხეს სროლა, მაგრამ მალე ავყარეთ იარაღი დ გავუშვით ისე, რომ არავინ დაგვიტუსაღებია. შევედით ბეჩოში. სხვათა შორის, სადადეშქელიანოს სვანეთში მუშაობა ქონდათ ჩაბარებული, თავისუფალი სვანეთი ჩვენ გვქონდა — მე და ბრალდებულ პირველს. სანამ ჩვენ იქ ჩავიდოდით, გამოსულა ხალხი და ადგილობრივი ადმინისტრაცია დამორჩილებული ჰყავდათ. ჩვენ შევეცადეთ, რომ უწესობას ადგილი არ ჰქონოდა, ვინმე არ დახვრეტილიყო, ვინაიდან ბევრი იყო უკმაყოფილო ადმინისტრაციით. გვეშინოდა, რომ რამე არ მომხდარიყო. ჩვენ შევეცადეთ, წასულიყვნენ ისინი, გავუშვით თვითონ. **მე ვუთხარი ხალხს, უცვლელად მოგახსენებთ: მართალია, საქართველოში აჯანყება ეწყობა, მაგრამ დაუკვირდით თქვენ საქმეს, მოსალოდნელია აჯანყება დამარცხდეს, შედეგები აუცილებლად ცუდი მოჰყვება და თქვენ საქმეს დაუკვირდით.** ამრიგად გავაფრთხილე, მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე, ისეთი მდგომარეობა დავინახე, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო, არ ჩავდგომოდი სათავეში და ხელმძღვანელობა არ გაგვეწია. ბეჩოს ლიკვიდაციის შემდეგ მოიყარა თავი რამდენიმე ასეულმა ხალხმა. როცა ლიტვარის საზღვარზე მივედით, იქ გავაჩერე ხალხი და ვუთხარი: აჯანყება არის, მართალია, მაგრამ შეიძლება აჯანყება დამარცხდეს. არ ვიყავი ისე უგუნური, რომ ეს არ გამეთვალისწინებინა, შესაძლებელი არის მძიმე რეპრესიები და დაუფიქრდით ამ საქმეს-მეთქი. მინდოდა, საქმე შემეჩერებინა. მე წინათაც ვყოფილვარ წინააღმდეგი სვანეთში ხალხის გამოსვლებისა. ამის მაგალითად 21 წლის აპრილში სვანეთის ალმასკომის თავმჯდომარემ მოხსენება გაუკეთა ცენტრალურ კომიტეტს, საგანგებო კომისიას და სახალხო კომისართა საბჭოს, სადაც აღნიშნავდა, ასეთ მდგომარეობაშია სვანეთიო. ადგილობრივი ინტელიგენცია ძლიერი არა ჰყავსო, გარეშე შემოსული ძალები ალღოს ვერ

▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „პირველად რომ ჩამოვიდა საგანგებო კომისიის რწმუნებული, მას ჩამოჰყვა ბიძინა. მთელი სვანეთი გამოიარა და, ვინც იყო წაკიდებული და იარაღით გასული, შეარიგა. მე მაშინ შორს ვიყავი, ტყეში“.

◀უღებენ ხალხსო. ამ მხრით ყურადღება მისაქცევია ეგნატე გაბლიანიო, რომელიც მომზადებულია და რომელსაც ცხოვრებაში არავითარი შავი წერტილი არ აქვს, გარდა აგვისტოს გამოსვლებისაო. მაგრამ, როგორც იკვლევა მოწმეების ჩვენებიდანო, მას წინადაც ხშირად გაუფრთხილებია ხალხი და ახლაც გაუფრთხილებია და სიკვიდილისგან ბევრი გადაურჩენიაო. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მე მყავდა ზოგიერთი შეურიგებელი პიროვნებაც, რომლებიც წერდნენ ჩემ შესახებ, მგონი, ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კომისიას და მე ვთხოვ სასამართლოს, მოითხოვოს ეს წერილი და გავეცნოთ, რა წერია შიგ. არის კიდევ მესამე წერილი, სადაც მწერენ, რომ თქვენ არავითარი მთავრობის მოპირდაპირე არ ხართ, მაგრამ ჩემი პირადი მოწინააღმდეგე ხართ და ამიტომ ხართ ამ მდგომარეობაშიო. ამ წერილებს ყურადღება უნდა მიექცეს. **მე ხალხი რომ გავაჩერე, დავითვალე, რამდენი მოდის, გავაფრთხილე ხელახლა და ვუთხარი: ჩვენ შეგნებულად მივდივართ ამ საქმეზე, თქვენ ეგებ შეუგნებლად მოგვყვებით და, თუ გული არ გერჩით, დაუკვირდით ამ საქმეს კარგად და, თუ არ მოგწონთ, უკან დაბრუნდითო! ხალხმა თავისი არ დაიშალა და წამოვიდა.** ქვემო სვანეთში საქმე უკვე გათავებული იყო. იქ ერთი თუ ორი სვანი იყო, რომლის მეოხებით დაეტუსაღებინათ ადგილობრივი ხელისუფლება და იარაღი ხელში ჩაეგდოთ. **ძალაუფლება ხელში ჩავიგდეთ, დაგვხვდა ამბავი, — ბათომი, ქუთაისი, ჭიათურა, თბილისი ჩვენს ხელშიაო. წამოვედით და გზადაგზა შეტაკება მოგვიხდა კომუნარებთან. ჩაგვივარდა ხელში 23 კაცი და უნდა ითქვას, რომ მე და ბიძინამ გადავარჩინეთ ისინი, თორემ იყო მდგომარეობა, რომ ცოცხალი არ იქნებოდნენ.** მე, პირადად, კმაყოფილი ვარ, რომ გავერიე ამ აჯანყებაში. ხუთი დღის განმავლობაში ცაგერი ჩემს ხელში იყო. მთელი სიმაგრეები ჩვენ დავიკავეთ, მაგრამ ამ დროს მოგვივიდა ცნობა, რომ არაფერი იმის მსგავსი, რაც გვესმოდა, არ არის. ეს ყველაფერი ტყუილია. ამის შემდეგ ვიბრუნეთ პირი და წავედით სვანეთისკენ. **სვანეთში შემოდის წითელი ჯარი ამავე დროს. ჩვენ მივმართეთ ჩვენს ჯარს: წადით, დაიშალენით, ერთი თოფი არ გავარდეს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, სვანეთში არც ისე ადვილი იყო შემოსვლა. არათუ ერთი კვირის განმავლობაში, ერთ თვეშიდაც სვანეთს ვერ აიღებდნენ.** ამის შემდეგ ჯარი შემოვიდა, მაგრამ არაფერი ცუდი არ ჩაუდენია, გარდა რამდენიმე სახლის აფეთქებისა. ააფეთქეს ჩემი სახლიც. დაიჭირეს რამდენიმე სვანი, რომლებიც დახვრიტეს. მე კი ტყეში გავედი და, როდესაც ჩეკისტი მოვიდა, რწმუნებული, შეგვირიგდიო, — გამოვცხადდი და წამოვედი ტფილისში. აქ ამნისტია გამოიცა, რის შემდეგ სამსახური მომცეს. ვარ ტფილისში და ვცხოვრობ.





1924 წლის აჯანყება

**თავმჯდომარე:** — თქვენ გაეცანით ტფილისიდან მოსული წერილის შინაარსს?

**გაბლიანი:** — გავეცანი.

**თავმჯდომარე:** — ვისგან იყო ეს წერილი?

**გაბლიანი:** — პარიტეტული კომიტეტისგან.

**თავმჯდომარე:** — ვინ აწერდა ხელს?

**გაბლიანი:** — უნდა ყოფილიყო ანდრონიკაშვილი.

**თავმჯდომარე:** — უნდა კი არა, ვინ აწერდა?

**გაბლიანი:** — ანდრონიკაშვილი. გვარი არ ყოფილა, ფსევდონიმი იყო.

**თავმჯდომარე:** — გარდა იმისა, რომ წერილით გატყობინებდნენ, ამ დროისთვის არის აჯანყებაო, სხვა არაფერი ეწერა?

**გაბლიანი:** — სხვა არაფერი.

**თავმჯდომარე:** — აი, ასეთ მაგალითს ადგილი არ ჰქონია, აჯანყება დანიშნულია ამ და ამ რიცხვში, გამოდით, ევროპა დაგვეხმარება?

**გაბლიანი:** — წერილში არ ყოფილა ნათქვამი, ისე კი იყო იმედები, რომ ევროპა ჩაერეოდა დიპლომატიურად.

**სტურუა (მსაჯული):** — ბრალდებულო გაბლიანი! თქვენ თქვით, რომ, როდესაც ბეჩოს მოახლოვდით, იქ ჩასაფრებულმა მილიციონერებმა სროლა აგიტეხეს და თქვენ ისინი განაიარაღეთ. თუ გახსოვთ, რამდენი იყავით თქვენ და რამდენი — ისინი?

**გაბლიანი:** — ჩვენ ვიყავით 30 კაცი. ისინი რამდენი იყვნენ, დანამდვილებით არ ვიცი, ზოგი გაიქცა. ჩვენ ჩაგვივარდა ხელში 15 კაცი.

**სტურუა:** — ვინ იყვნენ ისინი, მილიციონერები?

**გაბლიანი:** — მილიციონერები, კომუნისტები, კომსომოლისტები და სხვა ამნაირი.

**სტურუა:** — დასაწყისში თქვით, რომ ბრალდებული პირველი და თქვენ უნდა ჩასულიყავით ბეჩოში. რაზმით მიდიოდით?

**გაბლიანი:** — იქიდან დიდი რაზმი არ გვჭიროდა. სრულიად საკმარისი იყო ეს 30 კაცი, იმიტომ, რომ სადადეშქელიანო სვანეთში იქაური ძალა სრულიად საკმარისი იყო.

**ოკუჯავა (მსაჯული):** — 1921 წელში სვანეთში რომ ამბები მოხდა მაშინ თქვენ სად ცხოვრობდით?

**გაბლიანი:** — ქუთაისში.

**ოკუჯავა:** — რაიმე კავშირი მაშინ სვანეთთან გქონდათ თუ არა?

**გაბლიანი:** — არავითარი კავშირი არ გვქონია. მე გადმოვედი იქიდან 1921 წლის 7 აპრილს და სვანეთის აჯანყება მოხდა... ამ ხნის განმავლობაში მე სრულიად არ ვყოფილვარ სვანეთში.

**ოკუჯავა:** — პარტიასთან რაიმე კავშირი გქონდათ თუ არა?

**გაბლიანი:** — არავითარი კავშირი არ მქონია.

**ოკუჯავა:** — აი სწორედ იმ დროს ან პარტიასთან, ან სვანეთთან არავითარი კავშირი არ გქონიათ?

**გაბლიანი:** — სვანეთში მე არ ვიყავი, ჰქონდათ რაიმე კავშირი თუ არა, არ ვიცოდი, არც შემეძლო მცოდნოდა. ვინაიდან არავითარი კავშირი არ მქონდა.

**ოკუჯავა:** — შემდეგი კითხვა: როდესაც სვანეთში 1921 წელს იყო აჯანყება, თქვენ ქუთაისში იყავით. იმ დროს თქვენ მიიღეთ თუ არა რაიმე წინადადება ან პარტიისგან, ან ვინმე პირისგან?

**გაბლიანი:** — აჯანყება რომ მოხდა სვანეთში, მოგახსენეთ, რომ არავითარი კავშირი არ მქონია. აჯანყების შემდეგ პარტიამ დაიკავა რაიმე კავშირი თუ არა, არ ვიცი, იმიტომ, რომ ქუთაისში ვცხოვრობდი. მართალია, ჩემთან ერთხელ მოვიდა **თედორე ასათიანი**, რომელიც დახვრეტილია, მაცნობა, სვანეთში აჯანყება არის, ასეთი მდგომარეობა არისო. სხვათა შორის, მითხრა, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ წახვალ იქ და სათავეში ჩაუდგები საქმეს და ხალხი სულიერად არ დაეცემაო.

**ოკუჯავა:** — ეს გითხრათ, როგორც პარტიის სურვილი თუ, კერძოდ, თავისი?

**გაბლიანი:** — არ ვიცი.

**დადიანი (დამცველი):** — მე ვერ გავიგე თქვენი პასუხი. თავმჯდომარე შეგეკითხათ, თქვენ რა პარტიას ეკუთვნით ახლაო?

**გაბლიანი:** — ახლა არაფერ პარტიას.

**დადიანი:** — რომელი წლიდან ხართ პარტიის გარეშე?

**გაბლიანი:** — ოცი წლიდან.

**დადიანი:** — სვანეთში როდის წადით, დატუსაღების შემდეგ?

**გაბლიანი:** — 22 წლის მაისში.

**დადიანი:** — თქვენ რომ ჩახვედით იქ, აჯანყება დასრულებული იყო?

**გაბლიანი:** — დიახ.

**დადიანი:** — აი, იმ ხნიდან პარტიას ქუთაისთან კავშირი ჰქონდა თუ არა?

**გაბლიანი:** — არავითარი.

**ღვამიჩავა (დამცველი):** — თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ საგანგებო კომისიის რწმუნებული ჩამოვიდა სვანეთშიო და მას გამოვეცხადეო. ბიძინა პირველი სად დარჩა მაშინ?

**გაბლიანი:** — **პირველად რომ ჩამოვიდა საგანგებო კომისიის რწმუნებული, მას წამოყვა ბიძინა. მთელი სვანეთი გამოიარა და, ვინც იყო წაკიდებული და იარაღით გასული, შეარიგა. მე მაშინ შორს ვიყავი, ტყეში.**

**ოკუჯავა (მსაჯული):** — თქვენ გაქვთ ჩვენებაში, რომ, როცა ავიღეთ ცაგერის ციხე და ჩავედით ლურს, მაშინ გავიგეთ, რომ ეს პროვოკაცია იყოო, ტფილისი და ბათუმი არ იყო აღებული, საიდან გქონდათ ეს ცნობა?

**გაბლიანი:** — იყო ასეთი ხმები ქვემო სვანეთში. ქვემო სვანეთში დაგვხვდა ვიღაც, ვინც იქ საქმის სათავეში იდგა და, როცა აქედან წავედით და ლეჩხუმს მივადექით, იქ შევიტყვეთ, რომ ეს იყო პროვოკაცია.

**თავმჯდომარე:** — ბრალდებულო გაბლიანო! ჩემს შეკითხვაზე, რომელი წლიდან იყავით სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი, თქვენ უჩვენეთ, 20 წლიდანო. როცა დამცველი დადიანი შეგეკითხათ, რომელ პარტიაში იმყოფებოდითო, თქვენ მას უჩვენეთ, არც ერთ პარტიაშიო.

**გაბლიანი:** — მე ვუპასუხე, რომ ამჟამად არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, 21 წლამდე კი ვეკუთვნოდი ამ პარტიას.

**დადიანი (დამცველი):** — როგორც მახსოვს, გაბლიანმა გიპასუხათ, რომ პარტიაში ირიცხებოდა 15 წლიდან 20 წლამდე.

**ღვამიჩავა (დამცველი):** — ბიძინა პირველს, დიდი ხანია, იცნობთ?

**გაბლიანი:** — დიახ, დიდი ხანია.

**ღვამიჩავა:** — როგორ უყურებენ პირველს სვანები?

**გაბლიანი:** — ნდობით.

**თავმჯდომარე:** — დაბრძანდით /გაბლიანი ჯდება/.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 7-19.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**«ქვემო სვანეთში საქმე უკვე გათავებული იყო. იქ ერთი თუ ორი სვანი იყო, რომლის მეოხებით დაეტუსაღებინათ ადგილობრივი ხელისუფლება და იარაღი ხელში ჩაეგდოთ. ძალაუფლება ხელში ჩავიგდეთ, დაგვხვდა ამბავი, — ბათომი, ქუთაისი, ჭიათურა, თბილისი ჩვენს ხელშიაო. წამოვედით და გზადაგზა შეტაკება მოგვიხდა კომუნარებთან. ჩაგვივარდა ხელში 23 კაცი და უნდა ითქვას, რომ მე და ბიძინამ გადავარჩინეთ ისინი, თორემ იყო მდგომარეობა, რომ ცოცხალი არ იქნებოდნენ»**

## გამოვიდა II ტომი




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა მაინც ხომ უნდა მივხვდეთ, რომ ის ხალხი, რომელიც ამ ოთხიოდე წლის წინათ უკიჟინებდა „ბელადს" მარგველაშვილიზე, — ეგ კაცი არ არის სწორად შერჩეული, არ არის ღირსეული კანდიდატი და ნუ იზამ მაგასო, მტერი, ჩანერგილი, დაბოლმილი და უმადური კი არა, პირიქით — მოყვარე და ახლობელი ყოფილა?!**

# ჩამოართმევენ თუ არა საქართველოს პრეზიდენტს ჩინჩვლის უფლებას?

**რა სარგებლობა მოაქვს საქართველოს პრეზიდენტს? ანალოგიურ კითხვაზე უკვე ვიცით ცნობილი ქართული კინოფილმის — „იმერული ესკიზების" პერსონაჟი ბიჭუნას პასუხი. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმაც ორიოდე წლის წინათ დაგვიდასტურა თავისი მდიდარი სექსუალური გამოცდილებისა და მისი ამ მხრივ სარგებლიანობის შესახებ.**



**ყველაზე «ჭკვიანური» გამოსავალია, რომ ჯერ ავირჩიოთ პრეზიდენტი, ვუყუროთ ასე ერთ-ორ წელიწადს და, თუ «დაგვევასა», მივცეთ ვეტოს დადების უფლება, მერე თუ აღარ «დაგვევასა» — წავართვათ... მივცეთ-წავართვათ... მივცეთ-წავართვათ... ევროსივრცეში 90 დღით «გულაობის» უფლება უკვე მოვიპოვეთ და აწი სხვა რაღა საქმე გვაქვს, რო?!**

თუმცა საქართველოს პოლიტიკური ელიტა ამით არ კმაყოფილდება და 90-დღიანი ევროპული „უვიზობის" აღსანიშნავი ერთკვირიანი საზეიმო ღონისძიებების ფონზე ცდილობს, გაარკვიოს ჩინჩვლის გარდა, კიდევ რის უფლება უნდა ჰქონდეს ან არ ჰქონდეს პრეზიდენტს.

უფრო ზუსტად, ჩვენი ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალა ცდილობს, გაარკვიოს, რა უნდა აუკრძალოს, რისი უფლებები უნდა ჩამოართვას პრეზიდენტს, რათა მთავრობა დაზღვეული იყოს იმ დისკომფორტისგან, რომელსაც მათ **გიორგი მარგველაშვილი** უქმნის.

ბიძინა ივანიშვილსა და მის მლიქვნელ თანამოაზრეებსაც ახასიათებთ რომელიმე კონკრეტული პერსონის გამო ამა თუ იმ სახელმწიფო თუ კერძო ინსტიტუტისადმი პრეტენზიების წაყენება და გლობალური დასკვნების გაკეთება, კონკრეტული ადამიანის საქციელიდან გამომდინარე.

მაგალითად, **ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ახლო გარემოცვამ მხოლოდ იმიტომ დაასკვნეს, საქართველოში ტელესაქმის წარმოება წამგებიანია, ხოლო საკუთარი ტელევიზიის ქონას აზრი არ აქვსო, რომ საკუთარი ტელევიზიები ჩააბარეს ხან უნიჭოს, ხან — თაღლითს და ხან — უსაქმურს.**

**საბოლოოდ, ის კი არ აღიარეს, რომ თვითონ ვერ შეარჩიეს სწორად ტელემენეჯერები, არამედ თავიანთი ტელევიზიების ჩასვრა „რეიტინგების არასწორ მთვლელებს", „საქართველოში შექმნილ ზოგად ატმოსფეროს" და ლამის „ბებიაჩემის წყევლას" დააბრალეს.**

ამ ყოველივეს გამოსასწორებლად ხან „რეიტინგების მთვლელი ახალი კომპანია" შემოიყვანეს ბაზარზე, ხან პირადად ბიძინა ივანიშვილი დასვეს გადაცემის წამყვანად, მაგრამ მაინც არაფერმა უშველა და ახლა „ჯი-დი-ეს"-ის კოლექტივს „პირველ არხსა" და „იმედზე" ანაწილებენ...

იოლი წარმოსადგენია, სულ მალე რა ბედიც ელის ამ ორ ტელეკომპანიას.

თუმცა ტელევიზია ტელევიზიაა და ჯანდაბას მისი ბედიცა და რეიტინგიც, მაგრამ პრეზიდენტი სულაც არ არის ასე უმნიშვნელო ფიგურა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იგი საომარ ვითარებში ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალიცაა და უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელიც(!).

ამიტომ, **ცოტა არ იყოს, დამაფიქრებელი და შემაშფოთებელიც კია მავან სახელისუფლო ჩინოსანთა განცხადებები და მსჯელობა იმის თაობაზე, რისი უფლება უნდა შეუზღუდონ ან საერთოდ ჩამოართვან პრეზიდენტს.**

პრეზიდენტისთვის სხვადასხვა უფლებამოსილების ჩამორთმევის არგუმენტად ასახელებენ მხოლოდ იმას, რომ გიორგი მარგველაშვილი გავიდა „ქართული ოცნების", კერძოდ კი, ბიძინა ივანიშვილის კონტროლიდან და მისთვის მინიჭებული ვეტოს დადების, უშიშროების საბჭოს მოწვევისა თუ კიდევ სხვადასხვა მინიმალურ უფლებას არასწორად იყენებს.

ამ პუბლიკაციაში ნამდვილად არ ვაპირებ იმის გარჩევას, ზნეობრივად თუ იქცევა მარგველაშვილი ან სახელმწიფოებრივად სწორი თუ არის მისი გადაწყვეტილებები. ამის შესახებ ყველას შეუძლია ჰქონდეს თავისი თვალსაზრისი, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფო ჩინოსნებს არ ესმით ელემენტარული რამ: ვეტოს უფლება თუ პრეზიდენტის კიდევ რაიმე სხვა უფლებამოსილება კონკრეტულად გიორგი მარგველაშვილს არ ეხება.

**განა შეიძლება რომელიმე სახელმწიფო ინსტიტუტი მხოლოდ იმიტომ შევზღუდოთ, რომ რამდენიმე წლის წინათ არასწორი არჩევანი გავაკეთეთ?**

„ქართული ოცნების" გაღიზიანებას, ძირითადად, ექსპრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** მიერ დაწყებული და გიორგი მარგველაშვილის მიერ გაგრძელებული „ვეტოების" სერია იწვევს.

მართალია, პარლამენტი სააკაშვილის ვეტოებსაც იოლად ძლევდა და საპარლამენტო უმრავლესობას არც მარგველაშვილის ვეტოების დაძლევა უჭირს, მაგრამ, როგორც ჩანს, „ოცნების" დეპუტაციას მაინც ნერვებს უშლის ვეტოს დასაძლევად საჭირო დროის კარგვა თუ რესურსის მობილიზების საჭიროება.

აქედან გამომდინარე, **არაერთმა პარლამენტარმა სრული სერიოზულობით იპოვა გამოსავალი — შევიტანოთ კონსტიტუციაში ცვლილება და პრეზიდენტს ვეტოს დადება ავუკრძალოთო. სხვათა შორის, პრეზიდენტის მიერ უშიშროების საბჭოს მოწვევის უფლების ჩამორთმევაზეც დაიწყეს საუბარი.**

ფაქტია, ყოველივე ამის მთავარი მიზანი პირადად გიორგი მარგველაშვილის „განიარაღებაა".

ყველაზე უცნაური მაინც ის არის, რომ მარგველაშვილს უკვე საჯაროდ აყვედრიან, — ბიძინას ხათრით აგირჩიეთო.

საოცარია საზოგადოების ერთი ნაწილის მიდგომა საკითხისადმი: **„გიორგი მარგველაშვილი სულაც არ არის მაღალი ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტი. მას ხალხმა ხმა ბიძინა ივანიშვილის თხოვნით მისცა, ამიტომ მარგველაშვილს ლეგიტიმაცია არ გააჩნია".** — აი, ასეთი, პირდაპირ ვთქვათ, სულელური ფრაზებითა და უაზრო მსჯელობებით სავსეა სოციალური ქსელი.

არადა, ამდენი სავალალო გამოცდილების მქონე ქართველმა საზოგადოებამ, მგონი, დროა, შეიგნოს, რას ნიშნავს სიტყვა **პასუხისმგებლობა.**

და თუ ეს შეგნებული გვაქვს, მაშინ იმასაც უნდა ვხვდებოდეთ, რომ **მარგველაშვილის მისამართით ამ ტიპის დაყვედრება არა მისთვის, არამედ ჩვენთვისვეა სამარცხვინო.**

**თუკი ავირჩიეთ პრეზიდენტი ვიღაცის ხათრით (მე პირადად მისთვის ხმა არ მიმიცია, მაგრამ ვიზიარებ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას), მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენი შეცდომა, ჩვენი მიქარვაა და არა გიორგი მარგველაშვილის.**

პრეზიდენტი სწორედაც რომ ლეგიტიმურია, ყველაზე მაღალი ნდობით არის აღჭურვილი და ბევრი ლაპარაკის უფლებაც აქვს, ვისი „ხათრითაც" უნდა იყოს იგი არჩეული(!).

**ეს ყოველივე იმთავითვე უნდა სცოდნოდა იმ ბატონ „პელეს", რომელიც პატივცემულ „პლასტელინს" აქეთ-იქით დაატარებდა და ამომრჩეველს ემუქრებოდა, — თუ ამ კანდიდატს არ მისცემთ ხმას, გაგებუტებით და საერთოდ წავალ საქართველოდანო.**

ახლა გიორგი მარგველაშვილს ნამუსზე კი არ უნდა აგდებდეს ვინმე, — არიქა, ბიძინას ხათრით აგირჩიეთ და როგორ ბედავ, ხმის ამოღებასო, არამედ, თუ პრეზიდენტი რამეს არასწორად აკეთებს და ამდენს „მიქარავს", მის ამომრჩეველსაც და პროტექტორსაც უნდა შერცხვეთ და გაჩუმდნენ მაინც.

არადა, **მარგველაშვილს „ოცნების" წევრები და მხარდამჭერები ისეთი ტონით შეახსენებენ, ჩვენი ბელადის დასმული ხარ პრეზიდენტად, თორემ ისე შენ ხმას ვინ მოგცემდაო, გეგონება, ძალიან საამაყო საქციელი ჩაიდინეს ან მათ, ან მათმა ბელადმა.**

მინდა, ვიკითხო: როგორ ფიქრობთ, **რადგან მარგველაშვილი პრეზიდენტად „ბიძინას ხათრით" აირჩიეს, ამიტომ ბიძინას ბრძანებებისა და მითითებების უსიტყვო შემსრულებელი და „ქართული ოცნების" მონა უნდა ყოფილიყო?**

ამ გათვლით წარადგინა იგი ივანიშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად, ამ მიზნით ატარა „შუკა-შუკა", ამ მიზნით დააშანტაჟა ამომრჩეველი თავისი „გაბუტვით", თუკი მარგველაშვილს ხმას არ მისცემდნენ? ხოლო „ოცნების" მხარდამჭერებმა ამ იმედით მისცეს ხმა „ბიძოს კანდიდატს"?

თუ ეს ყოველივე ასეა, როგორ გგონიათ, ეს ნორმალურია ან ბიძინას და ან მისი მხარდამჭერების მხრიდან?

ანუ, მათ პრეტენზია არ ექნებოდათ გიორგი მარგველაშვილთან, თუკი ის უსიტყვოდ შეასრულებდა „ქართული ოცნებისა" და ბიძინა ივანიშვილის ყველა ნება-სურვილს? ამ შემთხვევაში ის უკვე „კარგი პრეზიდენტი" იქნებოდა?

კიდევ გავიმეორებ: არ ვცდილობ, გავარჩიო, გიორგი მარგველაშვილი სწორად და კარგად იქცევა თუ ცუდად და არასწორად. მთავარი აქ არის ის, რის გამო, რა არგუმენტით, რისთვის „ეჩხუბებიან" მას „ოცნებელები" და მათი მხარდამჭერნი.

**თითქმის არსად მომისმენია დასაბუთებული მსჯელობა, რომ გიორგი მარგველაშვილი ცუდი პრეზიდენტია მის მიერ განხორციელებული ამა თუ იმ ქმედების, განცხადების თუ საქციელის გამო. არა, მარგველაშვილი ცუდია მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის „უმადური" და არ უწევს ანგარიშს, რომ იგი „ბიძინას ხათრით" არის არჩეული.**

ბოლო პერიოდში ამას დაემატა მასალები და ფაქტები იმაზე, რომ თურმე პრეზიდენტ მარგველაშვილის ოჯახობა კრიმინალურ ავტორიტეტებთან, ნარკომანებთან და მკვლელებთან ყოფილა დაკავშირებული.

უკაცრავად, მაგრამ **ხომ არ აჯობებს, სანამ ვინმე საკუთარ ავტორიტეტს ბოროტად გამოიყენებს და ასეთ უღირს კანდიდატს წამოაყენებს პრეზიდენტის პოსტზე, მანამდე გამოიკვლიოს მისი წარსული, საახლობლო წრე, წაიკითხოს მის მიერ ადრე გამოთქმული აზრები, მოუსმინოს მის საჯარო გამოსვლებს და ა.შ.?**

და არ ვიმოქმედოთ ფორმულით „ოღონდაც ჩემი ნება-სურვილი აღასრულოს და მონურად მეპლასტელინოს, მაგის წარსული და მომავალი ვის რაში აინტერესებს"?

ჰოდა, ახლა მაინც ხომ უნდა მივხვდეთ, რა შედეგი შეიძლება მოგვიტანოს ასეთმა უპასუხისმგებლო ფორმულებმა და მოქმედებამ?

**ახლა მაინც ხომ უნდა მივხვდეთ, რომ ის ხალხი, რომელიც ამ ოთხიოდე წლის წინათ უკიჟინებდა „ბელადს" მარგველაშვილზე, — ეგ კაცი არ არის სწორად შერჩეული, არ არის ღირსეული კანდიდატი და ნუ იზამ მაგასო, მტერი, ჩანერგილი, დაბოლმილი და უმადური კი არა, პირიქით — მოყვარე და ახლობელი ყოფილა?!**

ვერა, ვერ მიხვდება, ალბათ, ამას ვერც „პელე" და ვერც მისი მლიქვნელთა ბანდა...

ამიტომაც, როგორც ჩანს, გაგრძელდება კონსტიტუციის საჯარო გაუპატიურებაც და პირადული მიზეზით საქართველოს მომავალ პრეზიდენტს შეიძლება მოფსმაც აუკრძალონ, რადგან იმის წინა პრეზიდენტს „პრასტატა" სჭირდა და მკურნალობდა...

**კონკრეტულად გიორგი მარგველაშვილის გამო კი, საქართველოს კონსტიტუციით, პრეზიდენტს, ალბათ, ჩინჩვლის უფლებაც ჩამოერთმევა.**

ყველაზე „ჭკვიანური" გამოსავალია, რომ ჯერ ავირჩიოთ პრეზიდენტი, ვუყუროთ ასე ერთ-ორ წელიწადს და, თუ „დაგვევასა", მივცეთ ვეტოს დადების უფლება, მერე თუ აღარ „დაგვევასა" — წავართვათ...

მივცეთ-წავართვათ... მივცეთ-წავართვათ...

**ევროსივრცეში 90 დღით „გულაობის" უფლება უკვე მოვიპოვეთ და აწი სხვა რა საქმე გვაქვს, რო?!**

**წინა ხელისუფლებას გილიოტინა ედგა ქუჩაში და ხან სად სჯიდა მოსახლეობას სიკვდილით და ხან — სად... ჰოდა, ის ჯალათები დღესაც თბილ ადგილებზე არიან, ის გილიოტინა გადანახული აქვთ და მაგაზეც იფიქრეთ, ბატონებო, შემთხვევით სადმე არ დაგიდგან და ეს თქვენი ნალოლიავები ხელისუფლება ქათამივით არ წააკლან ზედ.**

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხალხი იყეფებს, ოპოზიცია იყივლებს და სოფელიც აშენდება... თუმცა, რაღა სოფელი, ქალაქი, ბატონებო, ქა-ლა-ქი!

**ვიცოდი, რომ, ადრე თუ გვიან, ეს ხელისუფლება სამუშაო ადგილებს შექმნიდა. ვიცოდი, რომ რაღაც გრანდიოზული პროექტი დაიწყებოდა, ხალხი დასაქმდებოდა და თავში ის დაპირებული ასი ქარხანა მიტრიალებდა, ოცნებაში (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) რომ გუგუნებდა. ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ჩემი მოლოდინი ახდა — ხელისუფლება, ქარხნების კი არა, პირდაპირ ქალაქის მშენებლობას იწყებს და... მიშას მომხრეები ნუ ჩაფიქრდებით, ანაკლიის ნაცვლად სამთავრობო ქალაქი აშენდება და თანაც, სადმე შორს და დასაკარგავში კი არა, აგერ, თბილისის გულში, კონკრეტულად კი — ორთაჭალაში.**
**ახლა მეტყვით, ორთაჭალა თბილისის გული არ არისო და ისტორიას გადახედეთ, სწორედ რომ ორთაჭალაა თბილისის გული და მანდ ჩაიფუფქა ის ხოხობი, რომელმაც ჩვენი დედაქალაქის დაარსებას ჩაუყარა საფუძველი.**



**ქალაქში, სამინისტროების გარდა, აუცილებლად იქნება ერთი ქარხანაც, რომელშიც მინისტრები გამოიძერწებიან, ანუ ხომ არის ელმავალმშენებელი ქარხანა, საკონსერვო ქარხანა... ეს იქნება სამინისტრო ქარხანა, გნებავთ, — მინისტრთმშენებელი. მაგალითად, შეაგდებთ კონვეიერში ნოდარ ხადურს და გამოვა ფინანსთა მინისტრი. მერე, ეს მინისტრი რომ არ გაამართლებს, სიმწრით თმას რომ მოიგლეჯთ, ამ მოგლეჯილი თმის ბღუჯას შეაგდებთ კონვეიერში და გამოვა ახალი ფინანსთა მინისტრი. განათლების მინისტრი გნებავთ? — კი, ბატონო, შეაგდებთ კომბალს (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) და გამოვა ჯეჯელავა**

ხელისუფლება პრაქტიკულად ვახტანგგორგასლობს და ახალ თბილისს აარსებს, ქალაქს, რომელიც დარჩება შთამომავლობას. ტერიტორია უკვე გამოყოფილია, მშენებლობაც — დაწყებული, ზედმეტი ხეების მოთხრა **დავით ნარმანიას** პირადად ავალია (ხეების მოთხრა ამ მთავრობაში არავის ეშლება, მაგრამ ნარმანიას განსაკუთრებით აქვს „დამუღამებული“) და მიდის მშენებლობა. დაახლოებით ისეა, როგორც ქართულ მულტფილმში — **ხალხი იყეფებს, ოპოზიცია იყივლებს და სოფელიც აშენდება... თუმცა, რაღა სოფელი, ქალაქი, ბატონებო, ქა-ლა-ქი!**

ჩვენ მიერ ექსკლუზიურად მოპოვებული ინფორმაციით, ამ ქალაქში, სამინისტროების გარდა, აუცილებლად იქნება ერთი ქარხანაც, რომელშიც მინისტრები გამოიძერწებიან, ანუ ხომ არის ელმავალმშენებელი ქარხანა, საკონსერვო ქარხანა... ეს იქნება სამინისტრო ქარხანა (გნებავთ — მინისტრთმშენებელი). როგორ? ძალიან მარტივად და რამდენიმე მაგალითს აქვე მოგახსენებთ.

მაგალითად, შეაგდებთ კონვეიერში **ნოდარ ხადურს** და გამოვა ფინანსთა მინისტრი. მერე, ეს მინისტრი რომ არ გაამართლებს, სიმწრით თმას რომ მოიგლეჯთ, ამ მოგლეჯილი თმის ბღუჯას შეაგდებთ კონვეიერში და გამოვა ახალი ფინანსთა მინისტრი.

განათლების მინისტრი გნებავთ? — კი, ბატონო, შეაგდებთ კომბალს (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) და გამოვა **ჯეჯელავა.** ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მინისტრების გამოჩორკნისას, პროპორციების დაცვა საჭირო არ არის, რაც გამოვა, გამოვა. რაც მთავარია, ქარხანა მხოლოდ მყარ მასალაზე არ იმუშავებს, შეგიძლიათ კონვეიერში ჩაასხათ ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრიც მზად არის. ხელში რაც მოგყვებათ, იმას თუ ჩაყრით, საგარეო საქმეთა მინისტრს მიიღებთ.

ყველას, ალბათ, გაინტერესებთ, **პრემიერმინისტრი** როგორ გამოჰყავთ. ფიქრით თავს ნუ შეიწუხებთ, რადგან პრემიერმინისტრს ამ ქარხანაში არ ამზადებენ. პრემიერმინისტრს ძეგლის დარად ასხამენ, ანუ პრემიერმინისტრი არის ჩამოსხმული. თუ არ გჯერათ, გადახედეთ წინას, ამჟამინდელს (გნებავთ, მომავალსაც) და ნახავთ, რომ სუფთა ჩამოსხმაა და არა ქარხნული წესით დამზადებული.

**ოთხ წელიწადში ერთხელ, ისე, რომ გადაკეთება არ დასჭირდება, ქარხანა პარლამენტარებსაც გამოუშვებს. ივანიშვილს რომ ხეები გადააქვს, გზად, დიდი ხე რომ არ დაზიანდეს, ასობით ხეებს ბელავენ, ანუ სხეპენ და იმ ანასხეპ ტოტებს თუ ჩაყრით კონვეიერში, მიიღებთ საპარლამენტო უმრავლესობას სრული შემადგენლობით. მართალია, მერე და მერე ზოგი გაიფოთლება და ეკლებიც გამოსდის, მაგრამ, აბა, როგორ გინდათ, ისეთი ქარხანა არსებობს სადმე, წუნდებულ საქონელს რომ არ უშვებს?**

ჩემს მეგობარს გაუჩნდა ლოგიკური კითხვა, კონვეიერიდან ყველა ერთად რომ გამოდის, სქესს როგორ არჩევენო და, ღმერთო მომკალი, რისთვის სჭირდებათ პარლამენტარებს სქესი?! უსქესოა ყველა, ერთ თარგზე და ერთ ჩიპზე (ჭიპზე არა, ჩიპზე) მოჭრილი. მოკლედ, ორთაჭალელებისა და, საზოგადოდ, თბილისში მცხოვრებთა საყურადღებოდ: **ოთხ წელიწადში ერთხელ იმ ქარხნიდან თეთრი ბოლი ამოვა ხოლმე და არ შეგეშინდეთ, ეს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებია. პარლამენტის თავმჯდომარეს თავიდან არავინ არჩევს, მერე, ნაუცბადევად აკეთებენ ხოლმე და ისიც ნელ-ნელა სწავლობს ჯერ „თავს“, მერე „მჯდომარეობას“ და, მართალია, ხშირად მხოლოდ მჯდომარე შეგვრჩება ხოლმე ხელში, მაგრამ რა გაეწყობა — საქართველოს დალხენილი ცხოვრება როდის ჰქონია?!**

ეს — რაც შეეხება სამთავრობო ქალაქს, ანუ ცოცხლების ქალაქს. ძლიერნი ამა ქვეყნისანი მომავალზეც ფიქრობენ და ამიტომ მკვდრების ქალაქსაც აშენებენ. **მახათას მთაზე ახალი პანთეონი გაშენდება. პანთეონი ძველ რომში ყველა ღმერთის ტაძარს ერქვა და ესენიც ხომ ღმერთები არიან, შესაბამისად, მათი კვალი წარუშლელად რომ დაგვრჩეს მეხსიერებაში, პანთეონიც სჭირდებათ.** როგორც გაირკვა, დიდუბის პანთეონში ხალხი აღარ ეტევა, მთაწმინდის პანთეონი დახურულია, საბურთალოს პანთეონს არ აღიარებენ და დღის წესრიგში დადგა ახალი პანთეონის მოძიება. მახათას მთა ნაწილს იდეალურად ეჩვენა, ნაწილს — არ მოეწონა, — შორია და ჭირისუფალი ხშირად ვერ ამოვა ჩვენს მოსანახულებლადო. ანუ „ცნობად“ თუ უცნობ გვამებს, თან ახალი პანთეონი უნდათ, თან ქალაქის შუაგულში, ცოცხლად დარჩენილმა შთამომავლობამ ხშირად რომ მიაკითხოს და ახალი ყვავილები დააწყოს მათ საფლავებზე. ღმერთმა ყველა დიდხანს აცოცხლოს და იცით, რა მაინტერესებს? **ვეძებე და ვერსად ვნახე (მე სხვა თბილისი), გალაკტიონს, ილიას ან სხვებს დაებარებინოთ, რომ მოკვდები, პანთეონში დამმარხეთო.** რატომღაც მგონია, რომ ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და არა პიროვნებამ, თორემ რამდენიც იტყვის, ჩემი ადგილი პანთეონშიაო, იმდენი თუ იქ წავაცუნცულეთ, მალე ყველა სასაფლაო პანთეონად გადაკეთდება და რიგითი მოკვდავების ადგილი აღარ დარჩება. შესაბამისად, შემოვდივართ წინადადებით, **საპანთეონო ხალხის შთამომავლობა რომ არ დაიღალოს, ერთი პატარა ადგილი იმ ახალ სამთავრობო ქალაქში გამოვყოთ, რომელიც, ეჭვი მაქვს, ძალიან მალე აშენდება და მერე რა, თუ ასობით მილიონი დაიხარჯება, მათი ჯიბიდან ხომ არ მიდის?!**

თან იქ არსებულ პანთეონს ორმაგი დატვირთვა ექნება — მიხვალ ერთად თავმოყრილ სამინისტროებში და, იქიდან გულდათუთქული რომ წამოხვალ, შეივლი პანთეონში, გულს გადააყოლებ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ისეთ ადამიანებსაც ნახავთ მომავლის (ამჟამინდელშიც) პანთეონში, ხმამაღლა რომ იტყვით: „ძაღლი მიგაკვდა სულშიო“, და ასე, ემოციებდაცლილი დაბრუნდებით შინ.

არის კიდევ ერთი ვარიანტი — **ვინმე რომ გარდაიცვლება, პარლამენტში ვუყაროთ ხოლმე კენჭი, დავასაფლავოთ თუ არა პანთეონში. მაინც ათას სისულელეს უყრიან ხოლმე კენჭს და... თან შეიძლება ისეც მოხდეს, რომ პირველ კენჭისყრაზე თანხმობა თქვან, მერე გადაიფიქრონ, როგორც, მაგალითად, ეროვნული ბანკისთვის ბანკების ზედამხედველობის ჩამორთმევის უფლებისას მოხდა.** ჰოდა, პანთეონში დასაფლავებულ ცნობილს თუ უცნობს ჯერ დავმარხავთ, მერე ამოვთხრით და სხვაგან გადავიტანთ. და, გარდა იმისა, რომ ხალხი დასაქმდება, მარტო ხეების მოთხრა და გადატანა აღარ იქნება სალაპარაკო, მკვდრების ტარებასაც დავიწყებთ აქეთ-იქით. ახლა არ მითხრათ, მკრეხელობააო... **150 მკვდარი სული დადის კვირაში ორჯერ თბილისი-ქუთაისის ავტობანზე და ეგ არ არის მკრეხელობა?!**

**პანთეონში დასაფლავებულ ცნობილს თუ უცნობს ჯერ დავმარხავთ, მერე ამოვთხრით და სხვაგან გადავიტანთ. და, გარდა იმისა, რომ ხალხი დასაქმდება, მარტო ხეების მოთხრა და გადატანა აღარ იქნება სალაპარაკო, მკვდრების ტარებასაც დავიწყებთ აქეთ-იქით. ახლა არ მითხრათ, მკრეხელობააო... 150 მკვდარი სული დადის კვირაში ორჯერ თბილისი-ქუთაისის ავტობანზე და ეგ არ არის მკრეხელობა?!**

ისე, პანთეონის რა გითხრათ და, წინა ხელისუფლებას გილიოტინა ედგა ქუჩაში და ხან სად სჯიდა მოსახლეობას სიკვდილით და ხან — სად... ჰოდა, ის ჯალათები დღესაც თბილ ადგილებზე არიან, ის გილიოტინა გადანახული აქვთ და მაგაზეც იფიქრეთ, ბატონებო, შემთხვევით სადმე არ დაგიდგან და ეს თქვენი ნალოლიავები ხელისუფლება ქათამივით არ წააკლან ზედ...

**ბესო ბარბაქაძე**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს აშშ-ის სათავეში მოვიდა უცნაური „ტრიუმვირატი“ — „ქორები“ (გენერალი მატიასი), ნეოლიბერალები (ტრამპის ხელმძღვანელობით) და სანავთობო „ჩრდილოეთის სინდიკატი“ (რიკ ტილერსონი). შესაბამისად, ეს აისახა საგარეო-პოლიტიკურ მიმართულებებზეც. აშშ-ის ახალ საგარეო-პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულება იქნება მულტიპოლარული გეოპოლიტიკური წესრიგი, რომელიც ჯორჯ ბუში-უმცროსის „ხისტი ძალისა“ და ობამას „ჭკვიანი ძალის“ საპირისპიროა“.**

**პარტია „ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა და საფრანგეთის პრეზიდენტობის მთავარმა პრედენდენტმა მარინ ლე პენმა მცირე ხნის წინათ ქალაქ ლილში გამართულ წინასაარჩევნო მიტინგზე განაცხადა, რომ, თუ პრეზიდენტი გახდება, ევროკავშირს სიკვდილი უწერია.**
**„ევროკავშირი მოკვდება, რადგან ხალხს ის არ უნდა. ჩვენ შევცვლით ევროპას, ვინაიდან ევროპულ იდეას ზიანს აყენებენ ეს ფედერალისტი მესაფლავეები“, — განაცხადა მარინ ლე პენმა.**
**არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ლე პენი მოლაპარაკებების გამართვას აპირებს ევროკავშირთან, რათა საფრანგეთმა კვლავ მოიპოვოს „საბიუჯეტო, ტერიტორიული, საკანონმდებლო და მონეტარული სუვერენიტეტი“.**
**დაიშლება თუ არა ევროკავშირი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში „ეროვნული ფრონტის“ გამარჯვების შემთხვევაში, რა პოლიტიკურ კონფიგურაციას შექმნის დასავლეთში აღნიშნული ცვლილება და რას ნიშნავს ლე პენის განცხადება „საბიუჯეტო, ტერიტორიული, საკანონმდებლო და მონეტარული სუვერენიტეტის“ დაბრუნების თაობაზე, „საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებას „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე — ნიკოლოზ მჟავანაძე უზიარებს.**

ნიკოლოზ მჟავანაძე:

# საქართველოში ნეოლიბერალური ტერორი მძვინვარებს



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

— იმის შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთი გამოვიდა ევროკავშირიდან და, მოგეხსენებათ, ჰოლანდიაშიც ძალიან ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან ნაციონალისტური ძალები, ცხადია, რომ ევროგაერთიანების დაშლა გარდაუვალია. ეს უკვე შეუქცევადი პროცესია და ანტოგლობალისტური მოძრაობები დასავლეთში გეომეტრიული პროგრესიით ძლიერდება. ანტიგლობალისტურმა მოძრაობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია ჯერჯერობით, მაგრამ ამასაც თავის ახსნა აქვს. **საქართველოში ნეოლიბერალური ტერორი რომ არ მძვინვარებდეს, დარწმუნებული ვარ, აქაც დაემხობოდა გლობალისტური ფსევდოლიბერალური ინტერნაციონალი და აქაც იგივე ცვლილებები მოხდებოდა.**

რაც შეეხება **მარინ ლე პენის** განცხადებებს, ის არის ქვეყნის მთავარი ნაციონალისტური პარტიის ლიდერი და მისი პოლიტიკის ამოსავალი წერტილი საფრანგეთის ეროვნული ინტერესებია. ლე პენი ყოველთვის ამ პოზიციიდან მსჯელობს და ამიტომაა პრეზიდენტობის მთავარი პრეტენდენტი. ეს მოწმობს, რომ საფრანგეთის მოსახლეობას უკვე ყელში აქვს ამოსული ნეოლიბერალური ტერორი და ევროკავშირის დღეები დათვლილია, თუმცა რაღაც ფორმით ის შეიძლება შენარჩუნდეს....

**— ქალაქ ლილში სიტყვით გამოსვლისას ლე პენმა განაცხადა, რომ საფრანგეთი გამოვა ევროკავშირიდან, რათა კვლავ დაიბრუნოს „საბიუჯეტო, ტერიტორიული, საკანონმდებლო და მონეტარული სუვერენიტეტი“. როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის წევრობა აღნიშნული სუვერენიტეტის შეზღუდვას ნიშნავს?**

— რა თქმა უნდა, უბრალოდ, ამას არ აღიარებენ ის მონური ფსიქოლოგიის გადაგვარებული ადამიანები, რომლებსაც არ აინტერესებთ არანაირი ეროვნული იდენტობა და ინტერესები. ან რომელ სუვერენიტეტზეა საუბარი, როცა სახელმწიფო საზღვრები, ფაქტობრივად, არ არსებობს, როცა არ გაქვს შენი ეროვნული ვალუტა, დამოუკიდებელი ბიუჯეტი, როცა თვითონ ვერ წყვეტ, ვინ შემოუშვა სახელმწიფოში და სადღაც სხვაგან გიდგენენ, რამდენი მიგრანტი თუ დევნილი უნდა მიიღო... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. რა თქმა უნდა, ევროპაში და მათ შორის საფრანგეთში, საღად მოაზროვნე ადამიანები ხვდებიან, რომ ასეთი ერთობით ფეხქვეშ ითელება მათი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი; ის, რაც დღეს ხდება საფრანგეთში, გუშინ და გუშინწინ დაწყებული პროცესი არ არის, ამაზე იქ, დიდი ხანია, ხალხი აღრენილია.

**— თუკი ევროპის ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოში ფიქრობენ, რომ ევროკავშირი მათ სუვერენიტეტს ხელყოფს, ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის რას ნიშნავს და რის მომტანია ევროინტეგრაცია?**

— საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოწყვეტილია რეალობას და არის რაღაც უაზრო, გაუცნობიერებელი ეიფორია იმის გამო, რომ ჩვენი მოქალაქეები 90 დღით უვიზოდ შეძლებენ ევროკავშირის ქვეყნებში წასვლას. ეს ამათ ჰგონიათ დიდი მიღწევა, იმას კი არავინ ამბობს, რომ **ამ ვიზით ჩვენს მოქალაქეებს არ ექნებათ არც სწავლის, არც მუშაობის უფლება. რა უხარიათ, გაუგებარია,** ეს ერთი, და მეორეც — ქართველი ხალხის დაკვეთა ის კი არ იყო, რომ პრემიერის თვითმფრინავი ბრიუსელში დაშვებულიყო, ქართველი ხალხის ოცნება იყო სოხუმსა და ცხინვალთან დაახლოება. ეს არ ესმით ამათ და მათივე უგუნურობით გამწარებულ მოსახლეობას კიდევ ტაშ-ფანდურას უწყობენ,— ავშენდითო. გეგონება, სხვა პრობლემა და სატკივარი არ ჰქონდა ქართველ ხალხს, მარტო ე.წ. ვიზალიბერალიზაცია იყო ჩვენი ისტორიული ამოცანაც, მიზანიც ყველაფრის ამოსავალი წერტილი.

მოამზადა **ჯაბა ჟვანიამ**

# საქართველო გლობალური ცვლილებების კონტექსტში

**26 მარტს სასტუმრო „ვერე პალასში“ არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრმა“ მორიგი საექსპერტო შეხვედრა გამართა ქვეყნისთვის აქტუალურ თემაზე. როგორი იქნება საქართველო გლობალური ცვლილებების კონტექსტში, რა გავლენას მოახდენს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, განსაკუთრებით — საქართველოზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, და როგორია ქვეყნის ტერიტორიული პრობლემების მოგვარების გზები? — ამ ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელეს „გლობალური კვლევების ცენტრის“ მიერ საგანგებოდ მოწვეულმა ექსპერტებმა — ზაალ ანჯაფარიძემ, ვახტანგ მაისაიამ, პეტრე მამრაძემ, ადა მარშანიამ, იოსებ არჩვაძემ, გიორგი მდივანმა, ზურაბ გარაყანიძემ, პაატა გურგენიძემ, სიმონ კილაძემ და ზურაბ ავალიანმა.**

## «ჩვენი პოლიტიკური ელიტა და სამოქალაქო საზოგადოება ისეა პოლიტიზებული, რომ ყოველთვის თავისი აკვიატებული პიროვნული დამოკიდებულებით ხელმძღვანელობს»



**ნანა დევდარიანი, არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:**

— საექსპერტო შეხვედრაზე ამჯერად განვიხილეთ ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნების შემდგომი პერიოდი. ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევა.

რას ჰპირდებოდა ტრამპი ხალხს და დღეს რა ვითარებასთან გვაქვს საქმე? როგორ აისახება ამ არჩევნების შედეგები მსოფლიოს ბედზე, განსაკუთრებით, ჩვენს მომავალზე?

მე თავიდანვე არ ვიზიარებდი ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის აღფრთოვანებას პრეზიდენტად ტრამპის არჩევის გამო, რადგან ჩემთვის გაუგებარი იყო მათი ასეთი გადაჭარბებული მოლოდინი; მეორე მხრივ, ტრამპის საწინააღმდეგო დემონსტრაციების გამართვაც ჩემთვის გაუგებარი იყო. გამოდის, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტაც და სამოქალაქო საზოგადოებაც ისე ღრმად არის პოლიტიზებული, რომ ყოველთვის თავისი იდეოლოგიზებული და აკვიატებული პიროვნული დამოკიდებულებით ან პოლიტიკური კლიშეებით ხელმძღვანელობს.

როგორც ქართველი და ამერიკელი ლიბერტარიანელები ამბობენ, ტრამპის არჩევა ამერიკელი ხალხის შეცდომაა, მაგრამ, მართლაც ასეა თუ არა, მომავალში გამოჩნდება. ამას გარდა, ამერიკელი ხალხის შეცდომა ან მართებული საქციელი ჩემთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ეს შედეგები მომავალში ჩვენს ქვეყანაზე აისახება. აქედან გამომდინარე, ვთხოვე სამ გამორჩეულ ექსპერტს — **ზაალ ანჯაფარიძეს, ვახტანგ მაისაიასა** და **პეტრე მამრაძეს,** წარმოედგინათ თავიანთი თვალსაზრისი პროცესების განვითარებაზე. მათთან ერთად მსჯელობაში დამსწრე საზოგადოებამ, საგანგებოდ მოწვეულმა ექსპერტებმა მიიღეს მონაწილეობა.

**ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:**

— მე დღეს წარმოვადგინე ჩემი თვალსაზრისი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. როგორია აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, ახალი მიდგომა საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას, რისი კორექტირება მოუწია მას ასდღიანი მმართველობის პერიოდში და რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი, რომ დღეს მისი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები 60%-ით არის შეცვლილი და, ფაქტობრივად, საპირისპიროა იმის, რაც მას ჰქონდა დაგეგმილი წინასაარჩევნო პროგრამიდან გამომდინარე. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის 2016 წლის არჩევნები ნამდვილად შევა ისტორიაში, როგორც ყველაზე ოდიოზური, რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური მოვლენა. საგულისხმოა, რომ ამ არჩევნებმა კარგად წარმოაჩინა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კრიზისის პრობლემები. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ **დღეს აშშ-ის სათავეში მოვიდა უცნაური „ტრიუმვირატი“ — „ქორები“ (გენერალი მატიასი), ნეოლიბერალები (ტრამპის ხელმძღვანელობით) და სანავთობო „ჩრდილოეთის სინდიკატი“ (რიკ ტილერსონი).** შესაბამისად, ეს აისახა საგარეო-პოლიტიკურ მიმართულებებზეც.

აშშ-ის ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულება იქნება მულტიპოლარული გეოპოლიტიკური წესრიგი, რომელიც **ჯორჯ ბუში-უმცროსის** „ხისტი ძალისა“ და ობამას „ჭკვიანი ძალის“ საპირისპიროა. ნაკლებად მოსალოდნელია, ტრამპმა კარდინალურად შეცვალოს თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დაპირებები, ვინაიდან ამ სამი თვის განმავლობაში ტრამპის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა, როგორი უნდა იყოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტები. ამასთანავე, თვით ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ თამაშებში იკვეთება კლანური დაპირისპირების ნიშნები. 2001 წლის შემდეგ ქვეყნის შიგნით გაძლიერდა სპეცსამსახურების დაჯგუფება (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეთაურობით), ტრამპის გამარჯვების შემდეგ ამ კლანმა მის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, რომელსაც ტრამპის მხრიდან სამხედროების დაჯგუფების გაძლიერება მოჰყვა, არმიის ოფიცერთა მეთაურობით, და ე.წ. ქორების კლანის ტრამპის ადმინისტრაციასთან შერწყმა. ტრამპი იძულებულია, მათი ინტერესები გაითვალისწინოს, ვინაიდან ამ ეტაპზე ხელს არ აძლევს გამოსვლა და აქტიურობა. **ტრამპის წინააღმდეგ ისეთი კამპანია აგორდა, ახლა მთავარია, თანამდებობა შეინარჩუნოს, მისი ერთადერთი დასაყრდენი დღეს სამხედროებია, ვინაიდან, თუ ისინიც განუდგნენ, ჩათვალეთ, რომ ტრამპს გადადგომა მოუწევს.**

ამერიკის უსაფრთხოების კონცეფცია მუშავდება სამხედრო თეორეტიკოს **კლაუზევიცის** მიდგომების საფუძველზე. ეს საინტერესო მიდგომაა, ამიტომაც არის, რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უფრო მეტადაა მილიტარიზებული, რაც მას გლობალური ექსპანსიონიზმის ერთგვარ პრეროგატივას აძლევს, როგორ უნდა გამოიყენოს სამხედრო ძალა თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ეროვნული ინტერესების ამერიკული მოდელი სამ ძირითად პარამეტრს ემყარება: **ფიზიკურ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და თავდაცვის პრინციპებს.**

დასავლეთის საინფორმაციო პროპაგანდა ავითარებს აზრს, რომ რუსები არიან გაჩანაგებულნი, ცუდ მდგომარეობაში, მაგრამ რეალურად რუსების შეიარაღებამ მოდერნიზების შემდეგ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია და არ ჩამორჩება ნატოსას. რუსებმა დაასწრეს ნატოს და აფხაზეთის ტერიტორიასა და ყირიმში განათავსეს კომბინირებული სისტემები, ამიტომაც დაიწყო ტრამპა სტრატეგიული შეიარაღების მოდერნიზაციაზე საუბარი.

რუსეთისა და ამერიკის პოლიტიკურ ელიტებში მოვიდნენ სამხედროები. შედეგად, ჩვენ ვართ ახალი „ცივი ომის“ საწყის ეტაპზე. აღმოსავლეთი ევროპა კვლავ დაძაბულობის არეალია ამ სუპერცენტრისტული ძალების დაპირისპირების ფონზე. რაც შეეხება საქართველოს, შეიძლება ითქვას, რომ **საქართველო უსაფრთხოების ვითარებიდან უსაფრთხოების ჩიხში შევიდა.**

**ადა მარშანია, პარლამენტის წევრი:**

— ჩვენ არ ვმუშაობთ, არ ვინდომებთ. ეს არის ჩემთვის აუხსნელი, რატომ ვიქცევით ასე, რადგან რთული საკითხია? წამოვწვებით და ასე დავიბრუნებთ აფხაზეთს?! მაგალითად, როდესაც მე მაქვს საშუალება სეპარატისტული აზროვნების ოჯახებიდან წამოვიყვანო ახალგაზრდები და შევახვედრო ქართველებს, ვაწარმოებ საკმაოდ რთულ მოლაპარაკებებს, ვმუშაობ ამ თემებზე, ჩვენი სამინისტროები ამ იდეის განსახორციელებლად ფულს არ მაძლევენ. მესმის, რომ დღეს ჩვენთვის მძიმე რეალობაა, მაგრამ ჩვენ არც არაფერს ვაკეთებთ არსებული ვითარების შესაცვლელად.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

მესამე რეიხის პერიოდში „ბუნების საწინააღმდეგო გარყვნილების“ ბრალდებით მამაკაცთა შორის 50 ათასამდე კაცი იყო ბრალდებული. ამასთანავე, კანონის ტექსტში არ იყო მითითებული არც მინიმალური, არც მაქსიმალური სასჯელის ვადა. ამის განსაზღვრა მოსამართლეებს ჰქონდა მინდობილი.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## მეტროს სადგური მამათმავლების დროშის ფერებით

**ბუენოს-აირესის მეტროს ერთ-ერთი სადგური არგენტინელი გეიაქტივისტის — კარლოს ხაურეგის სახელობის გახდა, უწინ ამ სადგურს „სანტა-ფე“ ერქვა.**






კარლოს ხაურეგიმ ორგანიზაცია „არგენტინის ჰომოსექსუალების საზოგადოება“ დააარსა. იგი მსოფლიოში პირველი მამათმავალია, რომლის სახელიც მეტროს სადგურს უწოდეს.

ამ სადგურის ვესტიბიულს „ამშვენებს“ მხატვარ **დანიელ არბოლის** პანო (12X4 მ), რომელზეც გამოსახულია ხაურეგის პორტრეტი და პედერასტების ფიგურები. გვერდით, ეკრანზე აჩვენებენ ვიდეორგოლებს გენდერული ნაირფეროვნებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

კიბის საფეხურები მამათმავლების დროშის ფერებითაა შეღებილი.

ერთი სიტყვით, ჰომოსექსუალების ედემის ბაღია, ოღონდ — მიწის ქვეშ. ესეც რაღაცის მიმანიშნებელია.

კარლოს ხაურეგიმ 1992 წელს პირველი გეიაღლუმი მოაწყო ბუენოს-აირესში. ოთხი წლის შემდეგ კი გარდაიცვალა ვიჩ-ინფექციით დაავადების შედეგად. 2008 წლიდან მისი გარდაცვალების დღე — 20 აგვისტო არგენტინაში ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც აქტივიზმისა და გენდერული მრავალფეროვნების დღე.



## გეებმა უარი თქვეს ე.წ. გეი-გენის გამოკვლევაში მონაწილეობაზე

**ისლანდიის ლგბტ-ორგანიზაციის Samtokin-78-ის წევრები აღშფოთდნენ და უარი თქვეს ე.წ. გეი-გენის გამოკვლევაში მონაწილეობაზე. ამ პროექტით გათვალისწინებული იყო მემკვიდრეობითობის გავლენის დადგენა ადამიანის სექსუალურ ორიენტაციაზე.**

გამოკვლევის ორგანიზატორი იყო ისლანდიური ბიოფარმაცევტული კომპანია De Code Genetics. 1990-იანი წლების ბოლოს მან ლობირება გაუწია კანონს ისლანდიაში მცხოვრები ყველა მოქალაქის ჯანმრთელობის მონაცემების ბაზის შექმნის შესახებ.

ლგბტ-აქტივისტმა „ქალმა“ **მარია გვიუდმუნდ-სდოუტირმა**, რომელიც ზემოთ ნახსენები ორგანიზაციის თავმჯდომარეა, განაცხადა, რომ ისლანდიელმა ჰომოსექსუალებმა უარი თქვეს კვლევაში მონაწილეობაზე, რადგან მისი შედეგები „შეიძლება გამოიყენონ ზოგიერთ ქვეყანაში მათი დისკრიმინაციისა და ამოწყვეტისთვისაც კი“.

„მსოფლიოში ჯერ კიდევ არის 74 სახელმწიფო, რომლებშიც სექსუალური ორიენტაციის გამო შეიძლება ციხეში მოხვდე ან ცხოვრებას დაემშვიდობო, — ამბობს ეს აქტივისტი, — ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სექსუალური ორიენტაციის გენეტიკური კლასიფიკაცია, შეიძლება გამოიყენონ „არასასურველი სექსუალობის“ ადამიანების მოსასპობად“. იგი დარწმუნებულია, რომ გენეტიკური კვლევების შედეგებს ზოგიერთ ქვეყანაში ჰომოფობიური კამპანიების ორგანიზატორები აქტიურად გამოიყენებენ.

De Code Genetics-ში გაგებით მოეკიდნენ ისლანდიელი მამათმავლების უარს, მონაწილეობა მიეღოთ გამოკვლევაში, და განაცხადეს, რომ ნაბიჯს არ გადადგამენ ამ ორგანიზაციის ნების საწინააღმდეგოდ.

გადადგამ და კრაზანებივით დაგეხვევიან თავს, ისე დაგგესლავენ, რომ, მეცნიერულ კვლევაზე კი არა, შეიძლება ტრადიციულ ორიენტაციაზეც კი ხელი აგაღებინონ.

## გერმანიის მთავრობამ გაამართლა მამათმავლები

**უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიხედვით 50 ათასი კაცის რეაბილიტაცია მოხდება, რომლებიც ჰომოსექსუალობის გამო პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი.**




ისინი მსჯავრდებულნი იყვნენ XIX საუკუნეში მიღებული კანონით. 1871 წლის 15 მაისს ძალაში შესულმა „175-ე პარაგრაფმა“ რამდენიმე პოლიტიკური რეჟიმი მოინელა. კანონი განსაკუთრებით გაამძაფრეს ნაცისტებმა და შემდეგ შეუცვლელად ჩაწერეს ომისშემდგომი ორივე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსებში.

მესამე რეიხის პერიოდში „ბუნების საწინააღმდეგო გარყვნილების“ ბრალდებით მამაკაცთა შორის 50 ათასამდე კაცი იყო ბრალდებული. ამასთანავე, კანონის ტექსტში არ იყო მითითებული არც მინიმალური, არც მაქსიმალური სასჯელის ვადა. ამის განსაზღვრა მოსამართლეებს ჰქონდა მინდობილი.

ახალი კანონის პროექტის მიხედვით, ბრალდებულებს კომპენსაციას გადაუხდიან როგორც განაჩენის ფაქტის გამო, ასევე პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით: 3 ათასი ევრო — განაჩენისთვის, 1500 ევრო — პატიმრობაში გატარებული ყოველი წელიწადისთვის.

ზოგიერთი მონაცემით, ქვეყანაში ამჟამად ცხოვრობს 5 ათასი კაცი, რომელიც ამ კანონით იყო ან არის მსჯავრდებული.

გაკეთდნენ შავი დედლებივით! აფსუს, საქართველოში ძველი სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერისი მუხლით მსჯავრდებული ყველა ცნობილი პედერასტი მკვდარია, თორემ ის დროა, გერმანიაში თავშესაფარი მოითხოვონ.

ახლებს კი ხელი მოეცარათ, რადგან ჩვენთან ის ძველი კანონი გაუქმებულია და გეობანა კი დასჯადი ამორალობიდან გადედლებული მამრების მოდურ გატაცებად იქცა. თუ ასე გაგრძელდა, ბუენოს-აირესისა არ იყოს, თბილისში, რომელიმე მეტროსადგურში სულ მალე შეიძლება გამოფინონ პანო ცხონებული ტუზიკას გამოსახულებით გაწელილი აკორდეონით ხელში.

არც გაგვიკვირდება!

**ცნობისთვის: ამა წლის 31 იანვრიდან დიდ ბრიტანეთში ამოქმედდა ე.წ. ტიურინგის კანონი — სიკვდილის შემდეგ იმ მამაკაცთა შეწყალების შესახებ, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ ჰომოსექსუალური ურთიერთობებისთვის.**

**ამ კანონს ეწოდა მეცნიერ ალან ტიურინგის სახელი, რომელსაც პატიმრობა მიესაჯა პედერასტობისთვის 1952 წელს და რომელმაც მალევე მოიკლა თავი. იგი სიკვდილის შემდეგ შეიწყალა ელისაბედ II-მ, 2013 წელს.**

## განელ ჰომოსექსუალებს პატიმრობა ემუქრება

**განაში, დასავლეთ აფრიკის ამ ქვეყანაში, რომელშიც ჰომოსექსუალებს პატიმრობა ემუქრება, ერთ-ერთი სასტუმროს თანამშრომელმა გამოიძახა პოლიცია, როცა აღმოაჩინა, რომ ორი მამაკაცი ერთმანეთთან სექსით იყო გართული.**

წესრიგის დამცველებმა მამაკაცებს უბრძანეს, კამერების წინ გაეგრძელებინათ სექსუალური კავშირის იმიტირება. ეს ფოტოსურათები მყისვე აიტაცეს სოციალურ ქსელებში და ყვითელი პრესის რედაქციებმა. 28 წლის მამაკაცი და მისი 18 წლის პარტნიორი დააპატიმრეს. პოლიციამ განაცხადა, რომ „მოსწავლე“ „ცნობილმა გეიაქტივისტმა“ შეაცდინა. ეს კაცი ყმაწვილებს ფულით აბრიყვებდა, იტყობინება PinKews.co.uk.



უფრო ადრე, 2016 წლის დეკემბერში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ განელი ეპისკოპოსი მრევლის წევრ მამაკაცებს „ეხმარება“ პენისების დაგრძელებაში თავისი „დალოცვილი“ ხელებით მასირების საშუალებით.

შემდეგ კი ამ ხელებით საეკლესიო რიტუალებს ატარებს...

გვერდი მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფრანგი მემარჯვენეების ლიდერის განცხადებით, სანიმუშოა რუსეთის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ. ლონდონში მოწყობილი ტერაქტის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ევროპა და მათ შორის საფრანგეთი, ამ სენისგან დაცული არ არის.**



## РИА Новости:

# მარინ ლე პენი სანქციების წინააღმდეგია

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიწვევით მოსკოვში ჩასულმა საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა მარინ ლე პენმა 24 მარტს განაცხადა, რომ ევროკავშირის მიერ დამტკიცებული ანტირუსული შავი სიების კატეგორიულად წინააღმდეგია.**

„მე ყოველთვის გამოვდიოდი კონტრპროდუქტიული სანქციების წინააღმდეგ. **მიმაჩნია, რომ პარლამენტარებისთვის ერთმანეთთან დალაპარაკების აკრძალვა დემოკრატიული უფლებების შელახვაა.** ვიმედოვნებ, რომ შევძლებ, დავიცვა პოზიცია, რომელიც შავი სიების გაუქმების წინააღმდეგაა მიმართული, ყოველ შემთხვევაში, თუნდაც საფრანგეთის ტერიტორიაზე“, — თქვა მან სახელმწიფო სათათბიროში გამართულ შეხვედრაზე. ხაზი გაუსვა, რომ შავი სიები ბრიუსელის გავლენით არის შედგენილი.

„არ გვჯერა დაშინების დიპლომატიის, არც სანქციების დიპლომატიის, არც შანტაჟის დიპლომატიის, რომელთაც, სამწუხაროდ, ევროკავშირი სულ უფრო ხშირად მიმართავს რუსეთის ფედერაციისა და თავისი წევრების წინააღმდეგ“, — აღნიშნა მან.

იგი მომხრეა, რუსეთმა და საფრანგეთმა გააერთიანონ ძალები საერთო მტრის, კერძოდ, ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ეროვნული ფრონტის“ ლიდერი მარინ ლე პენი მიიღო ვლადიმირ პუტინმა.

ფრანგი მემარჯვენეების ლიდერის განცხადებით, სანიმუშოა რუსეთის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ. ლონდონში მოწყობილი ტერაქტის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ევროპა და მათ შორის საფრანგეთი, ამ სენისგან დაცული არ არის.

პასუხად რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ზუსტად უნდა გაიაზრონ შექმნილი მდგომარეობა და გააერთიანონ ძალისხმევა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამასობაში **საფრანგეთის ამომრჩეველთა 43 პროცენტს გადაწყვეტილი არ აქვს, ვის მისცემს ხმას ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად.**

გაურკვეველი ამომრჩევლების ასეთი მაღალი პროცენტი არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში არასოდეს ყოფილა.

**ამომრჩევლების 63 პროცენტი აცხადებს, რომ ხმას ლე პენს მისცემს.** მისი პოტენციური კონკურენტი, როგორც ჩანს, იქნება ფინანსთა ყოფილი მინისტრი **მაკრონი**, რომელსაც ამომრჩეველთა გაცილებით ნაკლები პროცენტი უჭერს მხარს.

მემარჯვენე ცენტრისტის — **ფრანსუა ფიიონის** პრესტიჟი, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებიდან ჩანს, კატასტროფულად ეცემა და იგი პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად აღარ განიხილება.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის თქმით, მარინ ლე პენის პარტიის ფინანსური დახმარების საკითხი შეხვედრაზე არ მოიაზრება.

## Reuters:

# კანადელების ნახევარი მოითხოვს უკანონო მიგრანტების აშშ-ში დაბრუნებას



**კანადის პრემიერმინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპთან ჰუმანურობაში გაჯიბრება რომ მოინდომა, ცნობილია. ამას წინათ მან განაცხადა, რომ კანადა სიამოვნებით გაუღებს კარს ამერიკიდან დეპორტირებულ უკანონო მიგრანტებს.**

მაგრამ ასე არ ფიქრობენ კანადელები, ყოველ შემთხვევაში, „როიტერისა“ და კვლევითი კომპანია Spsos-ის მიერ გამოკითხული მოქალაქეების თითქმის ნახევარი. რესპონდენტების 48 პროცენტი თვლის, რომ მიგრანტები და ლტოლვილები, რომლებიც უკანონოდ გადალახავენ კანადა-ამერიკის საზღვარს, უკან — შტატებში უნდა დააბრუნონ; ერთ მესამედზე ცოტა მეტი გამოკითხულის აზრით, კანადამ უნდა მიიღოს დაურეგისტრირებელი მიგრანტები და უფლება მისცეს, იზრუნონ ლტოლვილის სტატუსის მისაღებად.

გამოკითხული კანადელების 46 პროცენტმა ასევე განაცხადა, რომ უკმაყოფილონი არიან ჯასტინ ტრიუდოს მთავრობის დამოკიდებულებით ქვეყანაში უკანონოდ შემოსული მიგრანტების საკითხის მოგვარების პოლიტიკისადმი.

46 პროცენტმა აღნიშნა, რომ არალეგალურ იმიგრაციას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კანადის უსაფრთხოებისთვის, 41 პროცენტი კი დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში ქვეყანა ნაკლებად უსაფრთხო გახდება; 4 პროცენტმა კი განაცხადა, რომ კანადის საზღვრის უკანონო გადაკვეთა ლტოლვილების მიერ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სასარგებლო იქნება(!).



## The American Concervative:

# ნატოს შემდგომი გაფართოების არგუმენტები არ არსებობს

**სენატორი პოლი აცხადებს, რომ მან აიძულა აშშ-ის სენატი, განეხილა საკითხი ნატოს გაფართოება-არგაფართოების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, მისი მცდელობა ქებას იმსახურებს, წერს გამოცემა.**

საქმე, კერძოდ, ჩერნოგორიის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიღებას ეხება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დადებითი გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის ჩვეულებრივი სტანდარტების მიხედვითაც კი შეუძლებელი იქნება. აშშ-მა არ უნდა განავრცოს უსაფრთხოების გარანტიები იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც დაცვა არ სჭირდება. ამ საკითხზე კამათი ხშირად რუსეთთან დაპირისპირების ჩარჩოში მიმდინარეობს, მაგრამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული ანტაგონიზმი არ არის საკმარისი საფუძველი საიმისოდ, რომ ალიანსს ახალი წევრი დაემატოს. მიზეზებს, რომელთა გამოც ჩერნოგორიის ადგილი ნატოში არ არის, რუსეთთან საერთო არაფერი აქვს.

ჩერნოგორიას დაცვა არ სჭირდება, ხოლო მისი წვლილი ნატოს საქმიანობაში უმნიშვნელო იქნება. ნატოში ახალი წევრის მიღება უაზრობაა, როცა ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა აღნიშნული იდეის ან მოწინააღმდეგეა, ან მისდამი გულგრილადაა განწყობილი. **ჩერნოგორიის ჩართვა ალიანსის ვერც ერთ წევრს ვერ გააძლიერებს, პირიქით — გაალაღებს ახლადმიღებული ქვეყნის კორუმპირებულ მთავრობას, რომელიც ავტორიტარული ტენდენციით გამოირჩევა.**

სენატორ რედ პოლის კოლეგებს არ უნდა გაუკვირდეთ, რომ მას არ სურს ნატოში ასეთი სუსტი კანდიდატურის მიღება.



## The Nation:

# ტრამპისა და რუსეთის წინააღმდეგ ამერიკული მედიის ინსინუაციები ნეომაკარტიზმი და სიგიჟეა

**ყოველკვირეული The Nation-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამ გამოცემის რედაქტორმა და გამომცემელმა ქეთრინ ვანდენ ჰუველმა ამერიკელ პროგრესისტებს მოუწოდა, შეწყვიტონ უცხოელი მტრების ძებნა.**

ქალბატონი ქეთრინი ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტია. ჰუველი რუსეთის საკითხების აღიარებული ექსპერტია, 35 წლის განმავლობაში იგი აშუქებს ამ ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებს. 6 წლის განმავლობაში ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა. იგი არ იზიარებს აშშ-ის თანამედროვე მედიის ტრადიციულ შეხედულებას, რომელსაც უწოდებს „სიგიჟეს ტრამპისა და რუსეთის კავშირის შესახებ“.

ჰუველი ამტკიცებს, რომ ამერიკა არაერთხელ ჩარეულა საზღვარგარეთ გამართულ არჩევნებში, მათ შორის, 1996 წელს რუსეთში ჩატარებულ საეჭვო არჩევნებში, რომელიც მაშინდელმა პრეზიდენტმა **ბორის ელცინმა** მოიგო.

მისი აზრით, რუსეთისა და ტრამპის საარჩევნო შტაბის ურთიერთობის დახვავებული დეტალები მოითხოვს გამოძიებას. „მტკიცე დასაბუთება კავშირის ზუსტი ბუნების შესახებ სუსტია, — ამბობს იგი, — და ამის ერთ-ერთი შედეგი, რომელიც აშშ-ის ლიბერალებსა და პროგრესულ მოღვაწეებში გამჟღავნდა, თავისებური ნეომაკარტიზმია“.

**ადგილობრივი წყაროების შეჯერების შედეგად მიღებული სტატისტიკით, სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ განხორციელებულ ავიადარტყმებს 2014 წლიდან დღემდე 2 590 მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**Linkiesta:**

# «კიდევ კარგი, რომ რუსეთმა თავისი დიდებულება დაიბრუნა»

**მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ჯულიო საპელიმ ინტერვიუში, რომელიც მას იტალიურმა ინტერნეტგამოცემა Linkiesta-მ ჩამოართვა მისი წიგნის — „ახალი მსოფლიო. ტრამპის რევოლუცია და მისი გლობალური შედეგები“ — გამოცემის თაობაზე, განაცხადა, რომ „ტრამპი ამერიკული განსაკუთრებულობის პროდუქტია: პოპულიზმის, ნაციონალიზმისა და დემოკრატიის ნაზავის სახით... მან შეავსო ლიბერალური და დემოკრატიული აზროვნების ხარვეზები“ და დაადასტურა, რომ „პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა არის კულტურა და არა ეკონომიკა“.**

პროფესორმა მიუთითა, რომ ამერიკის ეკონომიკა, დიდი ხანია, ტრაგიკულ სიტუაციაში იმყოფება, „დამნაშავე კი გლობალიზაციაა, რომელმაც აშშ-ის დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია“.

„ამერიკის ელიტა თავზარდაცემულია, — ამტკიცებს იგი, — დღეისთვის ტრამპის მთავარი მტრებია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და სპეცსამსახურები“. მათ აშინებთ ის რეალობა, რომ „ბირთვული ჩემოდანი ასეთი გადარეულის ხელშია და მას შეუძლია გააკეთოს ის, რაც მოესურვება. „კიდევ კარგი, რომ რუსეთმა დაიბრუნა თავისი დიდებულება, — ასკვნის პროფესორი, — რაც, გარკვეული აზრით, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს“.





**РИА Новости:**

# რუსეთის სამხედრო ხომალდები ფილიპინების ტერიტორიულ წყლებში დაუბრკოლებლად შევლენ

**ეს განაცხადა ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ მანილაში გამართულ ბრიფინგზე.**

დუტერტემ თქვა, რომ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებს ნება დართო ქვეყნის ნავსადგურებში შესვლის, ოღონდ ქვეყნის ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა იცოდეს მათი (გემების) იქ ყოფნის მიზეზი. სააგენტო „ბლუმბერგის“ ცნობით, ჩინეთის სამხედრო ხომალდებსაც იგივე უფლება ექნებათ.

სააგენტო შეგვახსენებს, რომ წლეულს, იანვარში, პრეზიდენტმა დუტერტემ დაათვალიერა ნავსაწინააღმდეგო ხომალდი „ადმირალი ტრიბუცი“, რომელიც მეგობრული ვიზიტით ჩავიდა მანილაში. მაშინ პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ რუსეთის ფედერაცია მისი ქვეყნის მოკავშირე და მფარველი იქნება.

**Rasmussen Reports:**

# ამერიკელ მოქალაქეებს საკუთარი ჯიბის ხარჯზე სხვების შენახვა არ სურთ

**2017 წლის 16-19 მარტს ჩატარდა 1000 პოტენციური ამომრჩევლის გამოკითხვა.**




გამოკითხვის მონაწილეთა 57 პროცენტის აზრით, 42,4 მილიარდი დოლარი, რომლის გაცემასაც აშშ-ის მთავრობა აპირებს სხვა ქვეყნების ეკონომიკური და სამხედრო დახმარების მიზნით მიმდინარე წელს, ძალიან ბევრია და არ უპასუხებს ამერიკელი გადამხდელების ინტერესებს.

რესპონდენტების მხოლოდ 6 პროცენტმა მიიჩნია, რომ ასეთი დახმარება საკმარისი არ არის; 27 პროცენტის შეფასებით, უცხოეთისთვის დახმარების გაწევის ასეთი დონე მისაღებია.

**Le Figaro:**

# ვაშინგტონი ამართლებს თავის სისხლიან რეიდს სირიის ჩრდილოეთში

**ამერიკის ავიაცია ადასტურებს სოფელ ალ-ჯინას დაბომბვას, რომელსაც 50 ადამიანი ემსხვერპლა, ძირითადად, მშვიდობიანი მცხოვრებნი, და ამტკიცებს, რომ სამიზნეში ამოღებული იყო „ალ ქაიდა“.**

ადამიანის უფლებათა დაცვის სირიის ობსერვატორიის ცნობით, საქმე ეხება, ამერიკის არმიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სისხლიან შეცდომას სირიის საჰაერო სივრცეში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

საავიაციო დარტყმამ გაანადგურა შენობა, რომელიც ალეპოს პროვინციის სოფელ ალ-ჯინის მეჩეთის გვერდით იდგა. ამ რეგიონს აკონტროლებენ ტერორისტები, იგი არაერთხელ დაიბომბა სირიისა და რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ. „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, შეტევა განხორციელდა ე.წ. დრონის მეშვეობით, რომელმაც რვა რაკეტა ესროლა თვითმფრინავიდან 225-კილოგრამიანი ბომბის ჩამოგდების წინ.

პენტაგონი აცხადებს, რომ დაიბომბა მოთარეშეთა ლიდერების შეკრების ადგილი, „რომელთა შორის ზოგი უთუოდ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო“. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის — **ჯეფ დევისის** თქმით, აღნიშნულ შენობას გარკვეული დროის განმავლობაში უთვალთვალებდნენ: „ჩვენ ვიცოდით, რომ ამ შენობას იყენებდა „ალ ქაიდა“ და დავარტყით დაგეგმილ მიზანს“.

პენტაგონის სხვა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დანგრეულ შენობას იყენებდნენ ჯიჰადისტების „სწავლებისა და აგიტაციის მიზნით“. და, როგორც ყოველთვის მსგავს სიტუაციაში ხდება, თავდაცვის სამინისტრო თავს იმართლებს იმით, რომ არ გააჩნია დაზუსტებული ინფორმაცია მშვიდობიან მოსახლეობას შორის დაღუპულთა შესახებ.

სოფელში მცხოვრებნი უარყოფენ ამ ვერსიას: „მეჩეთში დაბომბვის დროს ლოცულობდნენ მხოლოდ ადგილობრივი მორწმუნენი, რომლებიც თავიანთი შეხედულებით „ალ ქაიდასგან“ დიდად არიან დაშორებულნი“, — განაცხადა ალ-ჯინის მცხოვრებმა აბუ ომარმა.

ჟურნალისტთა კოლექტივის — Airwars-ის ცნობით, დაბომბვების დროს დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქეების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა: „ეს ტენდენცია დაიწყო ობამას ადმინისტრაციის მმართველობის ბოლო თვეებში და მნიშვნელოვნად გაძლიერდა ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ“.

ადგილობრივი წყაროების შეჯერების შედეგად მიღებული სტატისტიკით, **სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ განხორციელებულ ავიადარტყმებს 2014 წლიდან დღემდე 2 590 მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა.**

Airwars აცხადებს, რომ აშშ-ის ხელმძღვანეობით მოქმედი კოალიციის ავიადარტყმებს იანვარსა და თებერვალში გაცილებით მეტი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა, ვიდრე რუსეთის ავიაციის მიერ განხორციელებულ დაბომბვებს, რომლის (რუსეთი სამხედრო-საჰაერო ძალების) აქტივობა სირიაში მნიშვნელოვნად შემცირდა მთავრობის ძალების მიერ ალეპოს აღების შემდეგ.

# მოკლედ:

*** აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ერთგვარად გაუჭირდა თავისი ერთ-ერთი დაპირების შესრულება. კონგრესში არ ჩანს ობამა-კერის ჯანდაცვის დაზღვევის ტრამპი-კერის პროგრამით ჩანაცვლების რეალური პერსპექტივა. ამასთან დაკავშირებით ტრამპის კომენტარი ასეთია: საუკეთესო, რის გაკეთებასაც ამ შემთხვევაში შევძლებთ, არის ის, რომ ვაცადოთ და ობამა-კერის პროგრამა თავისით აფეთქდება.**

* გასულ ხუთშაბათს ლონდონში გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც ახლახან მომხდარი ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნას მიეძღვნა.

ტერაქტში შესაძლო მონაწილეობისთვის დაკავებულია 9 ადამიანი. მათ შორის ერთი ქალია. პოლიციამ ქვეყნის მოქალაქეებს მიმართა თხოვნით, დაეხმარონ ტერორისტების გამოვლენაში.

*** უკრაინაში აფეთქდა საბრძოლო მასალების უდიდესი საწყობი. მოსახლეობა გახიზნულია. მსხვერპლის შესახებ არ იტყობინებიან.**

* ევროკავშირის მე-60 წლისთავთან დაკავშირებული სამიტის წინ რომის პაპმა ფრანცისკმა ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებს მოუწოდა, დაუბრუნდნენ ევროპის დემოკრატიის მამების პრინციპებს. მისაბაძ მაგალითად მან დაასახელა მოძრაობა „სოლიდარნოსტი“, პოლონეთის პირველი თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა. არადა, 2016 წლის 18 თებერვალს ეროვნული მეხსიერების პოლონეთის სახელმწიფო ინსტიტუტმა განაცხადა, რომ მან მიაგნო დოკუმენტების პა-



კეტს, რომლებითაც მტკიცდება, რომ ამ მოძრაობის ლიდერი, შემდგომ კი პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ ვალენსა თანამშრომლობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების სამსახურთან. ეს დოკუმენტები მალევე გამოიფინა აღნიშნული ინსტიტუტის დარბაზში.

ამასვე წერენ პოლონელი ისტორიკოსები **სლავომირ ცენცკევიჩი** და **პეტრე გონტარჩიკი** თავიანთ წიგნში „უშიშროების სამსახური და ლეხ ვალენსა“, რომელიც 2008 წელს გამოიცა.

გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

მოზაიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ინსულტის შემდეგ 8 საათის განმავლობაში ცილა HI1A-ს ერთი დოზას შეუძლია პაციენტის ტვინის ქსოვილების დაცვა და მისი ნევროლოგიური სტატუსის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ HI1A-ს შეუძლია ქსოვილების დაზიანების აღკვეთა ტვინის იმ ნაწილებშიც კი, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის ჟანგბადის ნაკლებობას.**

# მალე ჩვეულებრივი თერმომეტრი საჭირო აღარ იქნება



**გამოცემა The Daily Mail იუწყება, რომ ფრანგ მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა აბის ფორმისა და ზომის თერმომეტრი, რომელიც შეძლებს დიაგნოსტიკაში დახმარებას უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშიც კი.**

გამოგონება ეკუთვნის ფრანგულ კომპანია BodyCap-ს. სისტემა წარმოადგენს უსადენო მოწყობილობას, რომელიც ჩვეულებრივი აბის ან კაფსულის ზომისაა. ადამიანის ორგანიზმში ასეთი თერმომეტრის დაყოვნება სამი დღით შეიძლება და უსადენო კავშირის დახმარებით მისგან ყოველ 30 წამში ინფორმაციის მიღება პაციენტის სხეულის ტემპერატურაზე. აბი-თერმომეტრს შეუძლია სხეულის ტემპერატურის 25-დან 45 გრადუს ცელსიუსამდე ცვალებადობის ჩვენება. ამას გარდა, შე-



საძლებელია მოწყობილობის დაპროგრამება გარკვეულ „ტემპერატურულ ზღვრამდე", რომლის მიღწევის შემდეგ ჩაირთვება საგანგაშო შეტყობინება.

კლინიკურმა გამოცდამ აჩვენა, რომ ახალი მოწყობილობა ტემპერატურას გაცილებით ზუსტად გაზომავს, ვიდრე ჩვეულებრივი თერმომეტრი.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს „სმარტ-აბი" მორიგი სათამაშოა, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. საქმე ისაა, რომ **მსგავსი ზე ზუსტი თერმომეტრი, რომელიც მუდმივად თვალყურს ადევნებს ადამიანის ჯანმრთელობას, უკიდურესად აუცილებელი ნივთია იმ პირთათვის, რომელთაც დაქვეითებული იმუნიტეტი აქვთ და, შესაბამისად, ინფექციის განვითარების მაღალი რისკიც. მათ რიცხვს განეკუთვნებიან, მაგალითად, ხანდაზმული ადამიანები, პაციენტები ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემდგომ, ასევე, იმუნოდეფიციტთან დაკავშირებული დაავადებებით დაავადებულნი, ონკოპათოლოგები და სხვ.**

ტემპერატურის მცირე ცვლილებაც კი დაავადების წინაპირობაა, ამდენად, პაციენტების მკურნალობა შესაძლებელია პირველი სიმპტომების გამოვლენამდე, ხოლო ტემპერატურის ცვალებადობაზე თვალყურის დევნება შესაძლებელია როგორც საავადმყოფოში, ისე შინ. სავარაუდოდ, აბი-თერმომეტრი 35-დან 52 ევრომდე ეღირება.

# რობოტი, რომელიც საჭმელად ვარგისია



**შვეიცარიელ მეცნიერთა ჯგუფმა, რომლებიც მუშაობდნენ ინტელექტუალური სისტემების ლაბორატორიაში, საკვებად ვარგისი მასალებისგან შექმნეს 9 სანტიმეტრის სიგრძის რობოტი-ჭიაყელა, რომელსაც უპრობლემოდ შეუძლია გადაადგილება ადამიანის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, როგორც დიაგნოსტიკის მიზნით, ასევე წამლის მისაწოდებლად.**

ჭიაყელას „სხეული" შედგება ჟელატინისა და გლიცერინისგან და მოწყობილია შემდეგნაირად: მასში არის რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ღრუ, რომლებშიც რიგ-რიგობით უშვებენ შეკუმშულ ჰაერს. სხვადასხვა ღრუში წნევის ცვალებადობისას ღრუები ერთიანდება, შედეგად რობოტი ჭიასავით იკლაკნება. წნევის რიტმული ცვლილების წყალობით, ჭიაყელა-რობოტს შეუძლია გადაადგილება, ხოლო ყველა ღრუს ჰაერით ერთდროულად ავსებისას რობოტი ისეთი სტრუქტურის ხდება, რომ შეუძლია სხვადასხვა ნივთის მიკვრა და „მიტანა დანიშნულ ადგილას". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამედიცინო პრაქტიკაში ამ რობოტს ადამიანის ორგანიზმში წამლის მიმწოდებლის დანიშნულებითაც გამოიყენებენ.

# ორთავიანი გველის მსგავსი არსება



**ესპანეთში 46 წლის ლუჯან ეროლესმა თავისი სახლის ეზოში უცნაური არსება შენიშნა. როგორც ქალი ყვება, ეს იყო 10 სანტიმეტრის სიგრძის „გველი", რომელიც თვალებს ახამხამებდა.**



„მიწაზე უცნაური ცხოველი შევამჩნიე. თავდაპირველად შემეშინდა კიდეც, ხომ შეიძლება, შხამიანი ყოფილიყო. არასდროს მსგავსი არაფერი მინახავს. ის გველს ჰგავდა, ოღონდ ძალიან უცნაური თვალებით. ვიფიქრეთ, შესაძლოა, ეს იყო მუტანტი, ამიტომ გადავწყვიტეთ ვიდეოს გადაღება და ინტერნეტში განთავსება — იქნებ ვინმემ იცოდეს, რას გადავაწყდით", — ყვება ლუჯან ეროლესი.

მას სოციალურ ქსელში რამდენიმე ინტერნეტმომხმარებელი გამოეხმაურა. სავარაუდოდ, ესპანელები წააწყდნენ საკმაოდ მოზრდილ მუხლუხოს, რომელიც რაღაცით მოჰგავს გველს და რომელიც ამ მსგავსების წყალობით მტაცებლებს იგერიებს.

# აღმოჩენილია ცილა, რომელსაც შეუძლია ინსულტის თანმდევი გართულებებისგან ტვინის დაცვა



**ძალიან ხშირად სამედიცინო პრაქტიკაში საშიშროებას წარმოადგენს არამხოლოდ დაავადება, არამედ მისი თანმდევი გართულებები და შედეგები. მაგალითად, ინსულტისას ადეკვატური და დროული დახმარების შედეგად პრაქტიკულად შესაძლებელია ამ საშინელების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება.**

როგორც გამოცემა Medical Xpress-ი წერს, ახლახან ავსტრალიელ მეცნიერთა ჯგუფმა აღმოაჩინა ცილა, რომელიც გადატანილი ინსულტის შემდეგ პასუხისმგებელია თავის ტვინში გართულებების განვითარებაზე. ცილის სახელწოდებაა Hi1a. ის ახდენს მჟავა-მგრძნობიარე იონური არხების ბლოკირებას. სწორედ ეს სტრუქტურებია პასუხისმგებელი ინსულტის შემდეგ თავის ტვინის დაზიანების განვითარების. თავიანთ აღმოჩენაზე მეცნიერები დიდ იმედებს ამყარებენ და მიაჩნიათ, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია ახალი თერაპიული მეთოდების შემუშავება. კვლევების შედეგად **მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ინსულტის შემდეგ 8 საათის განმავლობაში ცილა HI1A-ს ერთი დოზას შეუძლია პაციენტის ტვინის ქსოვილების დაცვა და მისი ნევროლოგიური სტატუსის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ HI1A-ს შეუძლია ქსოვილების დაზიანების აღკვეთა ტვინის იმ ნაწილებშიც კი, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის ჟანგბადის ნაკლებობას.** სწორედ ასეთი ადგილების დაზიანება, როგორც წესი, არის შეუქცევადი — არასაკმარისი კვების შედეგად უჯრედები სწრაფად კვდება.

აღმოჩენის ერთ-ერთმა ავტორმა, პროფესორმა **გლენ კინგმა** განაცხადა, რომ „დარწმუნებულნი არიან, აღმოაჩინეს ინსულტის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანის საშუალება. ყოველწლიურად 5 მილიონი ადამიანი ინსულტის მძიმე შედეგებისგან იტანჯება, უფრო მეტი კი კვდება. **„ფანჯარა" უჯრედების დაზიანებასა და მათ დაღუპვას შორის, რომელიც წარმოიშობა Hi1a-ს შეყვანით, საკმარის დროს იძლევა საიმისოდ, რომ პაციენტს გადაუდებელი დახმარება გაეწიოს.** შთამბეჭდავი შედეგების მიუხედავად, კვლევები აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ, რათა რაც შეიძლება სწრაფად შევქმნათ პრეპარატის მზა ვერსია, რომელიც მომავალში არაერთ სიცოცხლეს გადაარჩენს".



# კომპანია RAZER-მა სამეკრანიანი ნოუთბუქის კონცეპტი წარმოადგინა

**2017 წელს არაერთმა მწარმოებელმა გამოფენებზე უცნაური გაჯეტები და სხვა ელექტრონული მოწყობილობები წარმოადგინეს. ამერიკულმა კომპანია Razer-მა კი თავისი ნოუთბუქის კონცეპტი გამოიტანა, რომელსაც შეუძლია თავი მოიწონოს არა ერთი, არამედ სამი 17-დიუმიანი ეკრანით.**



პროექტის კოდური სახელწოდებაა Project Valerie, მაგრამ შესაძლოა, პროდუქტს, რომელიც ბაზარზე გამოვა, სულ სხვა სახელწოდება ექნეს.

ასეთი ნოუთბუქის ზომები და განსაკუთრებით მისი სისქე, საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება. **ნოუთბუქი დაახლოებით 5 კგ-ს იწონის. მას შემდეგ, რაც გახსნით ნოუთბუქს, თქვენ შეგიძლიათ გაშალოთ ორი დამატებითი დისფლეი და დაამაგროთ ისინი სპეციალური სამაგრებით და ასე მიიღოთ ფართო ეკრანი სამი 17-დიუმიანი მატრიცის შემადგენლობით.** თითოეული დისფლეი შესრულებულია IGZO-ს ტექნოლოგიით. გამოსახულება მათზე სინქრონიზირდება NVIDIA G-Sync-ის ტექნოლოგიის დახმარებით. ნოუთბუქი აღჭურვილი იქნება დაბალპროფილური მექანიკური კლავიატურით, NVIDIA GeForce GTX 1080-ის ვიდეობარათით, რომელსაც ექნება 8 გიგაბაიტი ვიდეომეხსიერება, 32 გიგაბაიტი ოპერატიული მეხსიერება, ასევე, გაგრილების მოძრავი სისტემა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთეკრანიანი ნოუთბუქი Razer Blade Pro ღირს 3700 დოლარი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამეკრანიანი „მონსტრი" მყიდველს 6000 დოლარი დაუჯდება, შესაძლოა უფრო მეტიც.





**„ბე-2500“ შეძლებს 1000 ტონამდე ტვირთის გადატანას 700 კმ/სთ სიჩქარით 500კმ მანძილზე. პროექტი ყველაზე დიდია მათ შორის, რაც კი ჰიდროთვითმფრინავების ისტორიის განმავლობაში შეუქმნიათ.**

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მომავალში ხელოვნურ ფილტვებს ზურგჩანთით ატარებენ



**ხელოვნური ფილტვების რიუკზაკით ტარება უკვე სცადეს ცხოველებზე და წარმატებულიც გამოდგა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ მსგავსი მოწყობილობა გაცილებით კომფორტულს გახდის იმ ადამიანების ცხოვრებას, რომელთა ფილტვებიც გარკვეულ მიზეზთა გამო გამართულად ვერ მუშაობს. დღემდე ამ მიზნით გამოიყენებოდა საკმაოდ დიდი მოწყობილობა, მაგრამ ახალი, რომელიც მეცნიერებმა ახლახან შეიმუშავეს, ამ პრობლემას ბევრად უკეთ გადაჭრის.**

ადამიანს, რომლის ფილტვებს არ შესწევს უნარი, შეასრულოს თავისი ფუნქცია, როგორც წესი, მიაერთებენ ხოლმე სპეციალურ აპარატს, რომელშიც გაივლის სისხლი, რა დროსაც ის გაიწმინდება ნახშირორჟანგისგან და გამდიდრდება ჟანგბადით. რა თქმა უნდა, ამ პროცესის მიმდინარეობისას ადამიანი იძულებულია, იწვეს და, რაც უფრო მეტხანს უწევს მას წოლა, მით უფრო სუსტდება მისი კუნთები და ეჭვქვეშ დგება გამოჯანმრთელება. სწორედ იმ მიზნით, რომ პაციენტები გახდნენ მობილურები, შემუშავდა კომპაქტური ხელოვნური ფილტვები.

ხელოვნურ ფილტვები ავადმყოფს დაეხმარება არა მხოლოდ ფილტვების ზოგიერთი ინფექციისგან დაცვაში, არამედ საშუალებას მისცემს პაციენტს, მოთმინებით დაელოდოს ტრანსპლანტაციისთვის საჭირო დონორულ ფილტვებს. ეს ლოდინი კი წლების განმავლობაში გრძელდება.

**უილიამ ფედერშპილის ჯგუფმა შეიმუშავა ისეთი ხელოვნური ფილტვები, რომ თავისუფლად ჩაეტევა პატარა ჩანთაში ან ზურგჩანთაში. ახლახან მოწყობილობა წარმატებით გამოსცადეს ცხვრებზე.**

ხელოვნური ფილტვების ალტერნატიულ მოდელზე მუშაობენ კარნეგის უნივერსიტეტის მკვლევარებიც. მათი მოწყობილობა, უპირველესად, გათვალისწინებულია იმ პაციენტებისთვის, რომელთა გული ჯანმრთელია საიმისოდ, დამოუკიდებლად რომ წამოიღოს სისხლი ხელოვნური ორგანოდან. ამჟამად მეცნიერები ხელოვნური ფილტვების პროტოტიპის ტესტირებას ახდენენ, რომელსაც აღარ სჭირდება ჟანგბადის ბალონი. ოფიციალური განცხადების თანახმად, მოწყობილობის ახალი თაობა გაცილებით კომპაქტური იქნება, ხოლო ჟანგბადის გამოყოფა მოხდება გარშემო არსებული ჰაერიდან. პროტოტიპის ტესტირება ამჟამად ლაბორატორიულ ვირთხებზე მიმდინარეობს.

ხელოვნური ფილტვების ახალი მოდელის საიდუმლო პოლიმერული მემბრანების ულტრათხელი მილების (სულ 20 მიკრომეტრი) გამოყენებაში მდგომარეობს.

# უფროსებიც იმავე მიზეზით ტირიან, რა მიზეზითაც პატარები



**დიდი ხანია, მეცნიერები ვერაფრით შეთანხმდნენ ცრემლების თემაზე. არსებობს მოსაზრება, რომ უფროსებიც იმავე მიზეზით ტირიან, რა მიზეზითაც პატარები ოჯახისა და მეგობრების დახმარების მოლოდინში.**

„ჰენრიხ VI“-ში **შექსპირი** წერდა, რომ „ტირილი ამსუბუქებს მწუხარებას“, ხოლო ამერიკელი მწერალი **ლემონი სნიკეტი** ამბობდა, — საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოთქმის კარგი, ხანგრძლივი „ულუფა“ ადამიანს თავს უკეთ აგრძნობინებს, თუნდაც მდგომარეობა საერთოდ არ შეიცვალოს. **ჩარლზ დარვინი** კი თვლიდა, რომ ცრემლის ღვრა (ანუ ტირილის პროცესი) წარმოადგენს თვალის გარშემო კუნთების უსარგებლო დატვირთვას. ამასთანავე, ის აღიარებდა, რომ ტირილი ეხმარება ახალშობილებს, მიიქციონ მშობლების ყურადღება.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ **ტირილი (უკიდურეს შემთხვევაში, როცა ზრდასრული ადამიანები ტირიან) არის რთული ფიზიოლოგიური პასუხი რაიმე ემოციურ სტიმულზე.**

მეცნიერული თვალსაზრისით, ტირილი განსხვავდება ცრემლდენისგან, რომელსაც, მაგალითად, იწვევს თვალში რაიმეს მოხვედრა, ხახვის დაჭრა და ა. შ.

თვით ცრემლიც სხვადასხვაგვარია. **1981 წელს ფსიქიატრმა უილიამ ფრეიმ აღმოაჩინა, რომ ცრემლები, რომლებიც გამოწვეულია სევდიანი ფილმების ყურებით, შეიცავს მეტ ცილას, ვიდრე ცრემლები, რომლებიც ხახვის დაჭრისას გამოიყოფა.** ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელი წერდა, რომ **ტირილი „ასუფთავებს გონებას“.** 1986 წელს, პოპულარული ამერიკული ჟურნალებისა და გაზეთების შესწავლისას, ერთმა ფსიქოლოგმა აღმოაჩინა, რომ ტირილის თემაზე სტატიების 94 %-ში საუბარი იყო იმაზე, რომ ტირილი ხსნის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას.

2008 წელს 30 ქვეყნის 4300 ახალგაზრდა მონაწილეობდა კვლევაში, რომელმაც აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა ტირილის შემდეგ ფსიქიკურადაც და ფიზიკურადაც თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა. თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთათვისაც ტირილი არაფერს ცვლიდა ან უარეს მდგომარეობამდე მიჰყავდა.

კვლევაში ნათქვამია ასევე, რომ, როცა ადამიანები ცდილობენ, დამალონ ცრემლები, არ დაანახონ სხვებს, რომ ტირიან, ცხადია, ამ შემთხვევაშიც ისინი შვებას ვერ გრძნობენ.

ამდენად, ფრაზა „ტირილით გული იჯერა“ ჭეშმარიტებაა, ოღონდ ცრემლები ნამდვილად ეფექტური რომ იყოს, აუცილებელია სწორი სოციალური მხარდაჭერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფროსებიც იმავე მიზეზით ტირიან, რა მიზეზითაც პატარები ოჯახისა და მეგობრების დახმარების მოლოდინში.

# უნგრელი სპეციალისტები ნებისმიერი ავტომობილის უპილოტოდ გადაკეთებას გვთავაზობენ




**უნგრული სტარტაპი მოსახლეობას სთავაზობს ავტომობილების აღჭურვას კომპიუტერული ხედვის ჩვეულებრივი კამერებით. ამისთვის სულ რაღაც 6 ათასი დოლარია საჭირო და ჩვეულებრივი მანქანისგან თანამედროვე ავტოპილოტიანი ტრანსპორტი შეიქმნება.**

ხელოვნური ინტელექტი და კამერები კარგია, როცა მოგზაურობთ უცხო მხარეში, მაგრამ ტექნოლოგიას აქვს ნაკლიც: წვიმასა და თოვლში ასეთი ავტოპილოტი ორიენტირებას ცუდად ახდენს.

ავტომანქანა გადაკეთების შემდეგ გარეგნულად უცვლელი რჩება, მხოლოდ საბარგულში იქნება „სივიწროვე“, რადგან იქ გარკვეულ ადგილს დაიკავებს სპეციალური მოწყობილობა. აბა, სხვაგან სად უნდა შეჩურთო დიდი კომპიუტერი, რომელიც გადაამუშავებს კამერებიდან მიღებულ მონაცემებს და დახაზავს მოცემული ადგილის რუკას?!

ამას გარდა, AImotive-ს თანამშრომლებმა შექმნეს ავტომობილისთვის სტიმულატორი, რომელიც ასწავლის მანქანას წინააღმდეგობებზე რეაგირებას. თავიანთი გამოგონების ტესტირება სპეციალისტებმა უკვე დაიწყეს, მაგრამ პოლიგონს იქით ჯერ ვერ წავიდნენ. მათ არ აქვთ ლიცენზია, რომელიც აუცილებელია სრულფასოვანი ტესტ-დრაივისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მანქანამ მიწისქვეშა პარკირებაშიც არც თუ ისე ცუდი შედეგი აჩვენა.



# საუკუნის პროექტი: ზე მძიმე რუსული ჰიდროთვითმფრინავი «ბე-2500»




**ნებისმიერი თვითმფრინავი იწყება კონცეპტითა და პროექტით. რუსული „ბე-2500“ ჯერჯერობით მხოლოდ ესკიზური პროექტის სახით არსებობს, მაგრამ დღეს ეს არის ყველაზე მასშტაბური ჩანაფიქრი არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მსოფლიო ავიაციაში.**

ზე მძიმე თვითმფრინავი-ამფიბია „ბე-2500“-ის პროექტის რეალიზება მიმდინარეობს ტაგანროგის საკონსტრუქტორო ბიუროში, რომელსაც თვითმფრინავ-ამფიბიების შექმნის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ჯერ კიდევ სსრ კავშირის პერიოდიდან.

ჩანაფიქრი შთამბეჭდავია თავისი მასშტაბით: **„ბე-2500“ შეძლებს 1000 ტონამდე ტვირთის გადატანას 700 კმ/სთ სიჩქარით 500კმ მანძილზე.**



პროექტი ყველაზე დიდია მათ შორის, რაც კი ჰიდროთვითმფრინავების ისტორიის განმავლობაში შეუქმნიათ. დღემდე მფრინავი ნავის ერთადერთ პროექტს წარმოადგენს ცნობილი ამერიკელი მილიარდერისა და კონსტრუქტორის **ჰოვარდ ჰიუზის** Hughes H-4 Hercules-ი. ის 1947 წელს შეიქმნა და გათვალისწინებული იყო ევროპაში ამერიკული ტანკების გადასაზიდად, რათა ლენდ-ლიზის ტვირთები დაეცვათ გერმანული წყალქვეშა ნავებისგან, მაგრამ ის დასრულების სტადიაში იყო, როდესაც ომი დამთავრდა, ამიტომ აშენდა მხოლოდ საცდელი ეკზემპლარი, რომელმაც ერთადერთი საცდელი გაფრენა 1947 წლის 2 სექტემბერს განახორციელა. „ბე-2500“-ის პროექტის რეალიზებამდე კი დაახლოებით 15 წელიწადი გაივლის. ასეთია ავიაციაში დაპროექტების ვადები. მაგრამ, როდესაც მანქანა ჰაერში აფრინდება, ეს იქნება კაცობრიობის ყველაზე გრაციოზული გამარჯვება გრავიტაციაზე, კიდევ ერთი ნაბიჯი მეხუთე ოკეანის დაპყრობის.

გამოხმაურება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განა აღფრთოვანებულ ლიტერატურულ წერილებს არ უძღვნიდა დიდ რუს მწერლებს რუსეთის ჰეგემონიის დაუძინებელი მტერი და კომუნისტური რეჟიმის მოძულე ზვიად გამსახურდია? ერთ-ერთი წერილი ზვიადის სიკვდილის შემდეგ „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაბეჭდა, რათა რუსი ხალხისთვის ეჩვენებინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ერუდიცია და ობიექტურობა. შესაძლოა, ზოგიერთ ერს ეს არც გაეკეთებინა. კარგი იქნება, ობიექტურობა ვისწავლოთ ბევრმა ჩვენგანმა.**

# ბოლო წლების განმავლობაში რომელი დამპყრობლის უღელი გვადგას, პატივცემულო მათემატიკის დოქტორო?!

**მიმდინარე წლის 10 იანვრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით „არა განაძლო!“, რომლის ავტორია ირაკლი ბოკუჩავა, მათემატიკის აკადემიური დოქტორი. გამაოცა რუსეთის სიძულვილით დასნეულებული ავტორის მიერ წერილში გამოხატულმა ცინიზმმა, აგრეთვე, იმან, როგორ დაბეჭდა ანტირუსული ისტერიის გამჩაღებელი ნაციონალების „წისქვილზე“ წყლის დამსხმელი ეს წერილი-პასკვილი გამოცდილი და კომპეტენტური ჟურნალისტების გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, რომელიც, თავის მხრივ, ნაციონალებს ხშირად თავს ატეხს რისხვას.**

გაზეთის ორ გვერდზე გაშლილი წერილი „მხატვრულად კარგად არის გაფორმებული“, ქვესათაურებითა და ორი შარჟით: ერთზე გამოსახულია მსუქანი ღორი (იგულისხმება რუსი, რუსეთი), რომელიც ფესვებს უთხრის იმ მუხას, რომელმაც გამოკვება, და მეორეზე – კბილებდაკრეჭილი დათვი (იგულისხმება რუსი, რუსეთი), ამ დათვს წინ ტანკები უხატია, გვერდით — ნავთობის შადრევნები ამოჩქეფს. პროპაგანდაც ამას ჰქვია!

ამ წერილს გამოეხმაურა პოლიტოლოგი, ბატონი **ჰამლეტ ჭიპაშვილი** წერილით: „შემოქმედება“, რომელიც არა მხოლოდ ავტორს ჭრის თავს, არამედ ქვეყანასაც“ (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 18–24 იანვარი. აგრეთვე, გაზ. „ილორი“, 24–31 იანვარი.) მიმაჩნია, რომ გამოხმაურება ლმობიერია, უფრო „მკაცრი“ უნდა ყოფილიყო და არგუმენტებით სავსე.

ჰამლეტ ჭიპაშვილის ამ გამოხმაურებას, თავის მხრივ, ისევ უპასუხა **ირაკლი ბოკუჩავამ** წერილით: „დიახ, რუსეთი ვერასოდეს ეგუებოდა ერთხელ დაპყრობილი მიწების დაკარგვას!“, რომელიც ისევ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა (№26, 3 თებერვალი).

როგორც ავტორი ამბობს, „არა განაძლო!“ 2008 წლის სექტემბერში დაუწერია, ე.ი. „ცხელ გულზე“. ახლახან დაწერილ მეორე წერილშიც ძველი ბოღმა და ცინიზმი შენარჩუნებულია. **ეს არ გამიკვირდა იმიტომ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ბატონი ირაკლი ამერიკაში იმყოფებოდა, ე.ი. ამერიკაგამოვლილი „თერგდალეულია“!**

როგორც ავტორი წერს, მისი მიზანია, „ცივილიზებულ სამყაროს აუხსნას, რა ფენომენია რუსი და რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომში რუსეთს რა მოტივაცია ამოძრავებდა. ამისთვის მას „ისტორიულ ანალებში ქექვა“ დაუწყია.

ციტატებს მოვიყვან ბატონი ბოკუჩავას წერილებიდან და მას ჩემს შეფასებებს დავურთავ.

ბატონმა ბოკუჩავამ წერილის დასაწყისშივე ხანჯალივით გვატკაცა ღვარძლით სავსე სტრიქონები: **„დადგა დრო, რომ ამიერკავკასიაში ქართველების შემოთესლილი ჭირი ქართველებმავე გავაძევოთ“...**

ბატონო მათემატიკის აკადემიურო დოქტორო, „ცივილიზებული სამყაროსთვის ასახსნელად“ რა საკადრისია შეურაცხმყოფელი სიტყვა „შემოთესლილის“ გამოყენება?!

„ჭირი“ თავის გზაზე ყველაფერს სპობს და ანადგურებს. **ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში კი რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს მოსახლეობამ ნახევარი მილიონიდან 5,5 მილიონამდე მოიმატა!** თქვენს შეურაცხმყოფელ მეტაფორაში სად არის ლოგიკა და მათემატიკური სიზუსტე?!

ბატონი ჰამლეტიც ამას ედავება: „კეთილი, გავაძევოთ, მაგრამ შეგვწევს ამის უნარი? ვისი გამძევებლები ვართ ჩვენივე მიწიდან გაძევებულები?“.

მეორე წერილში ბატონი ირაკლი ამბობს, რომ „გაძევებაში“ ზარბაზნების დახმარებას არ გულისხმობს და ასე იმართლებს თავს: „თუ ჩემი ქვეყანა დამპყრობლის უღელს მოიხსნის, მისი ცხოვრების წესს (ავტორიტარიზმი, კორუფცია, ქრთამი და სხვა მრავალი უბედურება, რომლებიც იქიდან მოდის ) უკუაგდებს და თავის ტრადიციულ ფასეულობებს დაუბრუნდება, გაძევება არ არის? ...თუ ქართველი ქართველად დარჩება და არ გარუსდება, გაძევება არ არის?“

ჯერ ერთი, საიდან უნდა გაგვეგო ჩვენ, მკითხველებს, რომ „გაძევებაში“ ზარბაზნიდან ყუმბარების დაშენას არ გულისხმობდით? მეორეც, **კორუფცია, ქრთამი და**



**რუსეთის ადგილზე რომ იყოთ (ყოფილიყავით), მოითმენდით სადგისის ხშირად ჩხვლეტას თქვენს ერთ უხერხულ ადგილზე? ეს ხომ იგივეა, დათვს სადგისით წარამარა ჩხვლეტდეს კურდღელი?! ჰოდა, მომავალშიც შეიძლება ველარ მოუთმინოს პატარა საქართველოს, თუ ნატო (იგივე ამერიკა) აქ სამხედრო ბაზების განლაგებას მოინდომებს**

**სხვა მრავალი უბედურება საქართველოში არ არის და მხოლოდ რუსეთიდან მოდის? იქნებ სხვა ქვეყნებიდანაც მოდის? ან იქნებ აქედანაც გადის? ეს ხომ უსუსური მსჯელობაა!** მესამე — ბოლო 20 წლის განმავლობაში რომელი „დამპყრობლის უღელი“ გვადგას — რუსეთის თუ ამერიკის? რუსეთის გუბერნატორების, მეფისნაცვლებისა და ცეკას მეორე მდივნების ნაცვლად ახლა ვინ გვიზის თბილისში? ჩვენს ტრადიციულ ფასეულობებს ვინ ებრძვის და ემუქრება ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებით და სხვა გახრწნილობით — ევროატლანტიკური სივრცე თუ რუსეთი, სადაც აკრძალულია ერთნაირსქესიანთა დაქორწინება? გარუსება გვემუქრება თუ გაამერიკელ-გაევროპელება, როცა 14 წლის წინათ **ზურაბ ჟვანიამ** ევროპარლამენტში დაახეთქა: **„მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“.**

ეს არის რეალობა, ანუ მედლის მეორე მხარე და ამას რატომ ჩქმალავთ, ბატონო ირაკლი?

ავტორი მსჯელობს 1783 წლის გეორგიევკის ტრაქტატზე და მიაჩნია, რომ იგი რუსებმა ქართველებს „თავზე გადაახიეს“ და 1795 წელს, როდესაც **აღა მაჰმად ხანი** თბილისში სალაშქროდ წამოვიდა, მეფე ერეკლეს რუსები არ დაეხმარნენ, რის გამოც ქართველები კრწანისში დამარცხდნენ და მტერმა თბილისი გადაწვა. ეს ნაწილობრივ მართალია, ეს ცუდი ფაქტია რუსებისა და ქართველების ურთიერთობაში, მაგრამ მხოლოდ რუსთა ღალატის ბრალი იყო ქართველთა დამარცხება და თბილისის გადაწვა? **ტოტლებენმაც** უღალატა ერეკლეს ასპინძის ბრძოლაში, მაგრამ მეფემ ქართველთა ძალებით მაინც დაამარცხა მტერი. თბილისთან რა მოხდა? — ღალატი. ერთ-ერთმა არაქართველმა შეატყობინა მტერს, რომ ქართველებს მეზარბაზნეები არ ჰყავდათ. გარდა ამისა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ქართველებმა დროზე ვერ მიაშველეს საბრძოლო რაზმები მოხუც მეფეს. **კონსტანტინე გამსახურდია** სინანულით აღნიშნავდა: **ერეკლე მეფის ცხედრის გადმოსვენებას თელავიდან მცხეთაში 11 ათასი მხედარი მოაცილებდა, კრწანისის ბრძოლაში კი 5 ათასიც რომ მიშველებოდა, გაიმარჯვებდაო!** აი, ეს არის „მედლის მეორე მხარის“ სიმართლე. ამ შემთხვევაში მხოლოდ „რუსის ფენომენზე“ უნდა ვიმსჯელოთ, თუ „ქართველის ფენომენზეც“? **ამას რატომ უვლით გვერდს, ბატონო ირაკლი? ლევან სანიკიძის „309 ქართული სირცხვილი“ არ წაგიკითხავთ?**

თქვენ გული გწყდებათ, რომ ქართლ-კახეთი გუბერნიად მიიერთა რუსეთმა, მაგრამ, **ერი რომ ფიზიკურად გადარჩა და გასპარსელება-გათურქებას რუსეთმა რომ გადაარჩინა, ცოტას ნიშნავს? მართალია, ავტოკეფალია წაგვართვეს, მაგრამ ქრისტიანობა ხომ ასე თუ ისე შენარჩუნებული იქნა ქვეყანაში?**

რატომ გიკვირთ, რომ იმპერიას იმპერიული ამბიციები ამოძრავებდეს? განა სხვა იმპერიები (ბიზანტიის, ოსმალეთის, სპარსეთის, მონღოლეთის და ა.შ) დაპყრობილ ტერიტორიებზე ხალხს არ ჩაგრავდნენ? ამ მხრივ „რუსის ფენომენზე“ მსჯელობა უხერხული ხომ არ არის? **თქვენ დღეს მხოლოდ რუსეთი მიგაჩნიათ იმპერიად, მაგრამ განა ამერიკის შეერთებული შტატები არ არის იმპერია, რომელიც ბოლო 50 წლის განმავლობაში მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაში შეიჭრა, 35-მდე ქვეყანაში კი „ფერადი რევოლუციებითა“ და სხვა მეთოდებით სისხლის მდინარეები ადინა, რის გამოც მილიონობით ადამიანი დაიღუპა?**

განა ევროკავშირი იმპერია არ არის ან თუნდაც ნატო? რა, დღეს არ ხდება მსოფლიოს გადანაწილება უძლიერეს სახელმწიფოებს შორის? თუ მიწების დაპყრობით არა, დღევანდელი იმპერიები ხომ ფინანსებით (ასევე ინფორმაციული ომებით) იმორჩილებენ ქვეყნებს! ასე რომ, ჩემი აზრით, სხვა ქვეყნების მიწების დაპყრობის მუდმივი სურვილით „რუსეთისა და რუსის ფენომენის“ ამოხსნა უადგილოდ მეჩვენება.

წერილის ავტორი „რუსის ფენომენის“ ამოხსნის ძიებაში რუსეთის კულტურასა და მის დიდ მწერლებს — კრილოვს, პუშკინს, ტოლსტოის, დოსტოევსკის — შეურაცხყოფს და ამცირებს:

„რუსებს ერთი კარგი მეიგავარაკე მწერალი ჰყავდათ — კრილოვი. ამ კრილოვის იგავარაკის არ იყოს (რაც ლაფონტენიდან უნდა იყოს თარგმნილი) (ისევ ცინიზმი! — უ.ჯ), ერთმა პატივცემულმა ცხოველმა მუხის ფესვებს დაუწყო დინგით თხრა, მას შემდეგ, რაც რკოთი მაგრად გამოძღა“. მეორე წერილში აკონკრეტებს: „ეს იგავი კრილოვმა რუსებზე დაწერა, კარგად იცნობდა რა მათ ზნე-ჩვეულებებს“.

ბატონო ირაკლი, მე, როგორც ფილოლოგი და ჟურნალისტი, თქვენ, როგორც მათემატიკოსს, გეუბნებით, რომ ასეთი მსჯელობა იგავ-არაკზე, როგორც ჟანრზე, პრიმიტიულია!

დიდი მეიგავეები (ჩვენი **სულხან-საბასი** არ იყოს) იგავ-არაკებში ამათრახებდნენ ყველა ხალხსა და ყველა დროში ჩანერგილ მანკიერ თვისებებს და არა რომელიმე ერთი ხალხისას (ერისას), თუნდაც ერთი ადამიანისას... „ასეთ ღორში“ რატომ გულისხმობთ მაინცდამაინც რუსსა და რუსეთს? ვთქვათ, ქართულ მიწაზე, „ქართული მუხის“ ქვეშ, „ქართული ღორი“ როცა რკოთი გამოძღებოდა, თუ მოესურვებოდა, არ დაიწყებდა მუხის ფესვების თხრას თუ მე და თქვენ დავუშლიდით?! იგავ-არაკის ჟანრზე თქვენი შეცდომა ისე განაზოგადეთ, რომ წერილის სათაურადაც აირჩიეთ — „არა განაძლო!“, თანაც ღორის მაგივრად ზოგჯერ „გამძღარ დათვს“ წერთ. ჩემი აზრით, აქ „გაძლომა-არგაძლომას- ▶

**ბოლო წლების განმავლობაში რომელი «დამპყრობლის უღელი» გვადგას — რუსეთის თუ ამერიკის? რუსეთის გუბერნატორების, მეფისნაცვლებისა და ცეკას მეორე მდივნების ნაცვლად ახლა ვინ გვიზის თბილისში? ჩვენს ტრადიციულ ფასეულობებს ვინ ებრძვის და ემუქრება ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებით და სხვა გახრწნილობით — ევროატლანტიკური სივრცე თუ რუსეთი, სადაც აკრძალულია ერთნაირსქესიანთა დაქორწინება? გარუსება გვემუქრება თუ გაამერიკელ-გაევროპელება?**

# XX საუკუნეში, სოციალიზმის ეპოქაში, საქართველო ვითომ „ფეხქვეშ ამოგებული“ იყო? საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკიდან ყველაზე მეტი სახსრები მოსკოვიდან საქართველოს გამოეყოფოდა. აღარაფერს ვამბობ უამრავ სხვა სიკეთეზე, რომლებსაც საქართველო იღებდა. უმადურობა ცუდი თვისება რომ არის, არსად წაგიკითხავთ?

გამოხმაურება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თან“ კი არ გვაქვს საქმე, არამედ ჯიბრსა და სხვადასხვა ისტორიული სიტუაციიდან გამომდინარე განრისხება-გაბრაზებაზე. როცა ის დათვია და მე – კურდღელი, განა ზოგჯერ ამ განრისხებულ დათვს „ბაბაია“ არ უნდა დავუძახო და არ უნდა ვეფერო?! თუ **სააკაშვილივით** უნდა ვუძახო: „პუტინ, ლილიპუტინ“, ან ოქრუაშვილივით, — „რუსეთში ფეკალიებიც იყიდება“?! (ორივე გამონათქვამმა საქართველოს დიდი უბედურება მოუტანა). ან **თინა ხიდაშელივით** სამარცხვინოდ უნდა ვაზროვნებდეთ, ლენინგრადის დამცველებს რომ დასცინა, — ვირთხებს ჭამდნენო?! ანდა რატომ არის დასაძრახი, რუსეთის დიდი მწერლები თავიანთი ხალხის ისტორიულ გამარჯვებებზე აღფრთოვანებით თუ დაწერენ თავიანთ ნაწარმოებებში? ეს სულაც არ ბღალავს რუსი „ადამიანის ბუნებას“ და მის „ფენომენს!“ — პირიქით!

განა აღფრთოვანებულ ლიტერატურულ წერილებს არ უძღვნიდა დიდ რუს მწერლებს რუსეთის ჰეგემონიის დაუძინებელი მტერი და კომუნისტური რეჟიმის მოძულე **ზვიად გამსახურდია** (ისევე, როგორც მამამისი)? ერთ-ერთი წერილი ზვიადის სიკვდილის შემდეგ „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაბეჭდა, რათა რუსი ხალხისთვის ეჩვენებინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ერუდიცია და ობიექტურობა. შესაძლოა, ზოგიერთ ერს ეს არც გაეკეთებინა. კარგი იქნება, ობიექტურობა ვისწავლოთ ბევრმა ჩვენგანმა.

ბატონო ირაკლი, რომელი დიდი ფსიქოლოგი თქვენ ბრძანდებით, ერის „ადამიანურ ბუნებაზე“ რომ მსჯელობთ და მისი „ფენომენის ამოხსნას“ ცდილობთ? თვით დიდი ფსიქოლოგ-ფილოსოფოსებიც ვერ ბედავდნენ ასეთ უფაქიზეს და ურთულეს თემებზე საუბარს. და თუ მაინც საუბრობდნენ, ხალხის დადებით მხარეებსაც წარმოაჩენდნენ და უარყოფითსაც. **როგორ შეიძლება, რომელიმე ერს მხოლოდ უარყოფითი მხარეები ჰქონდეს?** თქვენ კი „მოხსენით გუდას პირი და უკადრებელს კადრულობთ. ასე მსჯელობენ კაცობრიობის მოძულე მასონი-ლიბერასტები, რომლებმაც ეჭვქვეშ დააყენეს აქამდე მოტანილი ადამიანური მორალი. თქვენ კი, ნებსით თუ უნებლიეთ, როგორც უკვე ვთქვი, მათ წისქვილზე ასხამთ წყალს.

მათემატიკის პატივცემულო დოქტორო, ქარიშხლიანი ისტორიული ცხოვრების ლაბირინთებზე, პოლიტიკაზე (მით უმეტეს, იმპერიულზე), ერის ფსიქოლოგიასა და თუნდაც თითოეული ადამიანის ფენომენზე წერა განტოლებების ამოხსნა ხომ არ გგონიათ? ადამიანთა (მით უმეტეს, ერის) ბედზე, ფსიქოლოგიურ პერიპეტიებზე წერა, მისი ამოხსნა გაცილებით ძნელია და აქ „ორს მივუმატოთ ორი“ ზოგჯერ ნამდვილად არ უდრის ოთხს. ეს უნდა გაითვალისწინოთ!

ამბობთ, რომ მიმდევარი ხართ **აკაკის** ცნობილი შეგონებისა: „დამეხსენი, ჩრდილოელო, რა მაქვს შენთან საზიარო? თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ უნდა მომიარო?“. ეს აკაკიმ ახალგაზრდობის წლებში დაწერა, როგორც ჩანს, თქვენსავით „ცხელ გულზე“ და გაბრაზებულმა, მაგრამ შემდგომ წლებში, მოწიფულობის თუ სიბრძნის ჟამს, იმდენი კარგი სიტყვა, ლოცვა და სამადლობელი აქვს ნათქვამი რუსსა და რუსეთზე, რომ ამ ახალგაზრდულ-ქარაფშუტულ ნათქვამს ათასჯერ გადაწონის. ამაზე რატომ არ ლაპარაკობთ? ცხადია, აკაკიმ სხვა რეალობა დაინახა და თავისი შეცდომა გამოასწორა. თქვენ კი მეორე წერილში 8 წლის წინათ „ცხელ გულზე“ დაწერილი წერილის ცინიზმი და ბოღმა ისევ გადმოიყოლეთ. ან **ილიას**, ერის მამის, გამონათქვამები გაიხსენეთ რუსეთზე, ან თუნდაც **სტალინის**, ომში გამარჯვების შემდეგ რუს ერზე რომ თქვა, დიდი რუსი ერიო. სტალინი კი სიტყვებს ჰაერში არ ისროდა.

თქვენ წერთ: **„1918 წლის საზღვრებში არსებული დამოუკიდებული საქართველოს ტერიტორიებიდან შემდგომში რუსებმა მას ჩამოაცილეს არტაანისა და ართვინის რაიონები თურქეთის სასარგებლოდ“...**

ჯერ ერთი, ეს იყო საზავო ხელშეკრულება და გერმანიამ და ინგლისმა რუსეთს იძულებით „ჩამოაცილებინეს“ აღნიშნული რაიონები. მეორეც, იმაზე რატომ არ ლაპარაკობთ, რომ 1878 წელს რუსეთმა სისხლის ფასად საქართველოს (ანუ თავის იმპერიას) დაუბრუნა სამი საუკუნის წინათ თურქეთისგან მიტაცებული არა მხოლოდ არტაანისა და ართვინის რაიონები, არამედ ბათუმი და სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის ჩათვლით? 1921 წლიდან ხომ სწორედ რუსეთის წყალობით შემოგვრჩა ბათუმიც და სამცხე-ჯავახეთიც (თუმცა აქ დიდი იყო ქართული ჯარის წვლილიც)? ესეც მედლის მეორე მხარის სიმართლეა!

უკადრებელს კადრულობთმეთქი, ზემოთ გაკადრეთ. რას ვგულისხმობ? აი, ორი „ნიმუში“:

**1. „რუსი ორი საუკუნის მანძილზე დაეთრეოდა საქართველოში. გულუბრყვილო მასპინძლების ხარჯზე ძღებოდა და თვრებოდა, მერე ზოგი გვაგინებდა, ზოგიც მომავალში კიდევ გაძღომის იმედით გვაქებდა“;**

**2. „რუსს დემოკრატია ისე სჭირდება, როგორც ვირს — კრიალოსანი ...“** მხოლოდ რუსები იგინებოდნენ და თვრებოდნენ? ქართველები არ თვრებოდნენ და არ იგინებოდნენ თუნდაც რუსეთში გახსნილ თავიანთ რესტორნებში? სხვის თვალში ბეწვი დავინახოთ და საკუთარში — დირეც არა? ეს გეკადრებათ?

ესეც „მედლის მეორე მხარის“ მიმართლეა!

**მილიონზე მეტი ქართველი რუსეთში რომ არის გადახვეწილი და იქიდან არჩენს საქართველოში დარჩენილ ოჯახებს, ეს თქვენთვის არაფერს ნიშნავს? თუ რუსი ასეთი ცუდია, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ერთად?**



**იმაზე რატომ არ ლაპარაკობთ, რომ 1878 წელს რუსეთმა სისხლის ფასად საქართველოს დაუბრუნა სამი საუკუნის წინათ თურქეთისგან მიტაცებული არა მხოლოდ არტაანისა და ართვინის რაიონები, არამედ ბათუმი და სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის ჩათვლით? 1921 წლიდან ხომ სწორედ რუსეთის წყალობით შემოგვრჩა ბათუმიც და სამცხე-ჯავახეთიც**

„რუსს ფეხქვეშ ამოგებული მეგობარი უნდა“, — ბრძანებთ თქვენ. **XX საუკუნეში, სოციალიზმის ეპოქაში, საქართველო ვითომ „ფეხქვეშ ამოგებული“ იყო? საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკიდან ყველაზე მეტი სახსრები მოსკოვიდან საქართველოს გამოეყოფოდა. აღარაფერს ვამბობ უამრავ სხვა სიკეთეზე, რომლებსაც საქართველო იღებდა. უმადურობა ცუდი თვისება რომ არის, ეს არსად წაგიკითხავთ?**

**პუტინის** დასამცირებლად წერდით (პირველ წერილში), რომ იგი უპატრონოთა თავშესაფარშია გაზრდილი. მეორე წერილში აღიარეთ, რომ ეს სიმართლე არ არის, მაგრამ დაცინვა აქაც ვერ მოიშორეთ: **„არც ოჯახში გაზრდის ეტყობა რამე“.** ვითომ უპატრონოთა თავშესაფარში (და ობოლთა სახლებში) გაზრდა ადამიანისთვის ხარვეზია? შეგახსენებთ: გასული საუკუნის 20—30-იან წლებში მაკარენკოს სისტემით აღზრდილი თითქმის ყველა ბავშვი (რამდენიმე ათეული) საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა! როგორ ფიქრობთ, ამ „უპატრონოებმა“ ვერ გვაჯობეს მე და თქვენ, ბატონო ირაკლი? იმასაც შეგახსენებთ, რომ, თითქმის ბოლო ათი წელია, პუტინი საერთაშორისო გამოკითხვების შედეგების მიხედვით, რამდენჯერმე დასახელდა პლანეტის „წლის ადამიანად“. ეს შემთხვევით ხდება?

სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რა საჭირო იყო რვა წლის წინათ დაწერილი წერილის ახლა გამომზეურება. იმიტომ ხომ არა, რომ ზურგი გაუმაგროთ იმ ანტირუსულ ისტერიას, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილშია ფესვგადგმული (ჩემი აზრით, მცირე ნაწილში)? მერედა, ვინ წარმართავდა (და ახლაც წარმართავს) ანტირუსულ ისტერიას საქართველოში? ვინ და, ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტი, მიშა სააკაშვილი და მისი ყოფილი და ამჟამინდელი ლაქიები: **ბოკერია (მეუღლითურთ), გიგი თარგამაძე, გიორგი ბარამიძე, გაბაშვილი** და სხვა ნაციონალები, ჟურნალისტი **გოგიტიშვილი**, რესპუბლიკელი **თინა ხიდაშელი** და ამერიკის „ძუძუნაწოვი“ არასამთავრობოები, დემოკრატიის ნიღბით ადამიანთა უფლებების ვითომ დამცველები, ე.წ. ლგტბ-თემის წევრები. **ყველანი სოროსელები არიან, ფულითა და მატერიალური კეთილდღეობით უზრუნველყოფილ-განებივრებულები, მაშასადამე, მოსყიდულები და სამშობლოს მოღალატენი. არ ვიცი, მათთან რა გაკავშირებთ, მაგრამ თქვენმა წერილებმა კი (პირველმაც და მეორემაც) მათ „წისქვილზე“ საკმაო წყალი დაასხა. ერთი თვის წინათ სწორედ მათ მიაღებინეს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ 50 გრამი მარიხუანით „იკაიფონ“, სწორედ მათ გამოფინეს ორი კვირის წინათ მთავრობის სახლთან საზორდელო პლაკატები, ხოლო შემდეგ გათავხედებულებმა ლამის გადაწვეს ბათუმი.**

რატომღაც მგონია, რომ რეალობას ხართ მოწყვეტილი (ჩვენი მთავრობისა არ იყოს). ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მსოფლიოში ვითარება იცვლება და იცვლება რუსეთის სასარგებლოდ (ვგულისხმობ ტრამპის გაპრეზიდენტებას, ევროპული გაზაფხულის მოახლოებას და სირიაში ტერორისტების დაბომბვებს)? **თქვენ ბატონ ჰამლეტს უკიჟინებთ, რომ იდეებითა და შეგონებებით ისევ „რუსეთში გვერეკება“. სამაგიეროდ, თქვენ ამერიკისკენ „გვერეკებით“! ბოლო 25 წლის განმავლობაში რა გაგვიკეთა ამერიკამ ისეთი, რომ ცოტა მაინც ამოგვესუნთქა? თუნდაც ერთი მსხვილი საწარმო გახსნა ჩვენს ქვეყანაში? მხოლოდ ვალებით (მსოფლიო ბანკი და ა.შ) დაგვაბა მსხვილი ჯაჭვით და ეს ვალები წლიდან წლამდე იზრდება. ან, როცა რუსეთი ცხინვალსა და გორს ბომბავდა (აგრეთვე, სხვა ადგილებს), ეს ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“ რატომ იყო გატრუნული** და შორიდან უყურებდა სეირს? ნუთუ არ მოგბეზრდათ, რომ მხოლოდ „აღშფოთდებიან“ ხოლმე რუსეთის ქმედებით და ეს არის და ეს? თავის დროზე ამერიკა და ნატო შეჰპირდნენ რუსეთს (ადრე – საბჭოთა კავშირს), რომ შეიარაღებას აღმოსავლეთ ევროპაში არ განალაგებდნენ, მაგრამ რაკეტები და ტანკები შემოუწყო მის დასავლეთ საზღვრებს (ბალტიისპირეთში, უკრაინის „ბუნტზე“ რომ არაფერი ვთქვათ.). საქართველოც სადგისის ფუნქციისთვის სჭირდება ამერიკას, რათა რუსეთს წარამარა უჩხვლიტოს ხოლმე ერთ უხერხულ ადგილზე. **ერთგან წერთ, პატარა საქართველოს უთმინა, უთმინა რუსეთმა და ბოლოს ველარ მოუთმინაო. რატომ გიკვირთ? რუსეთის ადგილზე რომ იყოთ (ყოფილიყავით), მოითმენდით სადგისის ხშირად ჩხვლეტას თქვენს ერთ უხერხულ ადგილზე? ეს ხომ იგივეა, დათვს სადგისით წარამარა ჩხვლეტდეს კურდღელი?! ჰოდა, მომავალშიც შეიძლება ველარ მოუთმინოს პატარა საქართველოს, თუ ნატო (იგივე ამერიკა) აქ სამხედრო ბაზების განლაგებას მოინდომებს.**

თქვენ მიგაჩნიათ, რომ ბატონი ჰამლეტის ყველა დებულება გააბათილეთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ასე არ არის — წერილში მოყვანილ მის ძირითად მოსაზრებებს, უბრალოდ, გვერდს უვლით.

მაგალითად, ბატონი ჰამლეტი წერს: „არ იქნებოდა სააკაშვილის მიერ მძინარე ცხინვალზე გახსნილი ცეცხლი და რუსეთი ომში არ ჩაერთვებოდა. არ იქნებოდა სააკაშვილის მიერ მედვედევ-სარკოზის შემუშავებული ხელშეკრულებიდან უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტის ამოღება (მოლაპარაკებების დაწყება აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსასაზღვრად) და არ იქნებოდა რუსეთის მიერ დამოუკიდებელ ქვეყნად მათი აღიარება“. ამ მოსაზრებაზე თქვენს პოზიციას რატომ არ გამოხატავთ? — იმიტომ, რომ ბატონი ჰამლეტი მართალია? მაშინ ხომ თქვენი წერილებიც არ დაიწერებოდა. ბატონ ჰამლეტს ვეთანხმები, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში იყო კარგიც და ცუდიც (ახლაც ასეა). მაგრამ „კარგი“ რომ „ცუდს“ აშკარად გადაწონის, ცხადია! თქვენ კი არ გინდათ, ეს დაინახოთ.

ბატონ ჰამლეტს ვეთანხმები ამ მოსაზრებაშიც: **„რუსეთი დაკარგულს არ მისტირის. ერთადერთი, რასაც ითხოვს, არის ის, რომ მისი მიმდებარე ქვეყნების ტერიტორიები არ გადაიქცეს ნატოს ჯარების პლაცდარმად, რაც უდავოდ დაარღვევს მსოფლიოში არსებულ ძალთა ბალანსს. ძალთა ბალანსის დარღვევა კი ომს მიშნავს“.**

ღმერთმა დაგვიფაროს ომისგან, რომელიც შეიძლება ატომურ ომში გადაიზარდოს! თუ ატომურში არ გადაიზრდება, აქლემების ომში კოზაკი მაინც იჭყლიტება ხოლმე. ეს „კოზაკი“ კი ჩვენ ვართ — პატარა ქვეყანა.

ბატონო ირაკლი! სამწუხაროდ, თქვენ, დიდი ალბათობით, ომის მომხრე ხართ; პირველი წერილის ბოლოს იმუქრებით: „რთული სამუშაოა ჩასატარებელი ამათ (ე.ი. რუსების) ჭკუაზე მოსაყვანად(!), გაერთიანებული მცდელობით დასავლეთი ამას მიაღწევს“.

**მე არ მაქვს და არც მინდა, მქონდეს დასავლეთის (ამერიკის) იმედი, რომელიც მართლმადიდებლობას გვართმევს და ერთნაირსქესიანთა ქორწინებით გვემუქრება. ჩვენი კარის მეზობელი კი ერთმორწმუნე ქრისტიანული ქვეყანაა. ქრისტიანობის ერთ-ერთი პოსტულატი კი ურთიერთმიმტევებლობაა!** როგორც ბატონი ჰამლეტი ბრძანებს, დროა, საქართველომ პოლიტიკის ვექტორი შეცვალოს!

თქვენს მეორე წერილში მაინც გესაუბრათ და მოგეთხოვათ რეფერენდუმის ჩატარება საკითხზე — საქართველოს მოსახლეობას ევროატლანტიკური სივრცე უფრო უნდა თუ რუსეთი? ან დაგესახათ გზები, როგორ შევურიგდეთ აფხაზებსა და ოსებს და გავამთლიანოთ საქართველო. აი ეს იქნებოდა საქმე!

ასე რომ, ცხოვრების ქარიშხლიან ველზე ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით არ (ვერ) გამოიანგარიშება (ამოიხსნება) და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორს რომ ორი მივუმატოთ, ყოველთვის ოთხს არ უდრის, პატივცემულო მათემატიკის დოქტორო!

**უშანგი ჯანგირაშვილი,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი**
**ქ. ბორჯომი**

# საქართველოს ანგრევს ფრონდირებული დაპირისპირება



**დღეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პლანეტაზე სიძულვილის ატმოსფერო სუფევს. ხალხი ორად არის „გახლეჩილი“ საქმითაც და აზრითაც. ამ მდგომარეობას ფსიქიატრიაში ფრონდირება ეწოდება, ანუ დაპირისპირების მანიაკური სინდრომი. ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება ჩვენს საზოგადოებას ისე ესმის, როგორც ბრძოლა სახელმწიფო მოხელეების სინეკურული ცხოვრებისა და სიმდიდრის დაგროვებისთვის. ამის მაგალითი უამრავია.**

მილიონებზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს ერთი ლარი იყოს. რას ნიშნავს ვიღაც მოსამართლისთვის მილიონის ჩუქება, როცა ხალხი შიმშილობს, როცა პროფესორს პურის ფული ენატრება, როცა ქუჩაში უამრავი მათხოვარია?! კორუფცია გაიფურჩქნა იქაც კი, სადაც არ ველოდით — საპატრიარქოში. ყველას სურს სიმდიდრის მოპოვება, ეჯიბრებიან ერთმანეთს და არც მალავენ ამ უზნეობას. ფულის „კეთების“ საუკუნეა — XXI ასწლეული, ჩვენ კი ველოდით სამართლიანი ქვეყნის ჩამოყალიბებას. სიბნელის ღმერთი – ერებოსი დაგვესხა თავს თუ სიმდიდრის ღმერთს — პლუტოსს აეხილა თვალი, თავის კლანს რომ ამდიდრებს და წესიერ ხალხს აღატაკებს?! ყველაფერი ეს ამბიციური ხასიათისაა, რისთვისაც გულუბრყვილო ადამიანებს იყენებენ არჩევნებში მრავალი, ზოგჯერ იაფფასიანი დაპირებით, შემდეგ კი ნახმარი ჩვარივით მოისვრიან და ახლოსაც აღარ იკარებენ.

პირველობისთვის გაჩაღებული მარათონი უსასრულოდ მიმდინარეობს და მხოლოდ მტერს ახარებს, დაპირისპირება ძირს უთხრის ქვეყანას და აძლიერებს ვებერის მე-4 ტიპისა და მე-5 კოლონის უზნეო ბრბოს. მოვლენ სათავეში და იწყება მილიონების ტრიალი უზნეოთა სამფლობელოში, თავიანთი შთამომავლებისთვის მყარი ნიადაგის შესაქმნელად ბრძოლა აკრძალული თუ „კანონიერი“ ხერხით. მაღალჩინოსანთა „კანონიერი“ კოლოსალური ხელფასები და პრემიები კორუფციაა თავისებური, „უთანაბრობის კანონის“ დამკვიდრება, რაზეც პირველად აშშ-ის კოლეჯის სტუდენტებმა მიუთითეს და ამით გამოფხიზლებისკენ მიანიშნეს ქვეყნის მეთაურებს.

აღზევდა უსამართლობა და უზნეობა. კორუფციამ დაისადგურა ყველა სისტემაში — მედიცინაში, განათლებაში, სახელმწიფო სტრუქტურებში, ეკლესიაშიც კი (მაპატიოს უფალმა)...

**მე პროფესორი და ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი ვარ და ჩემი პენსია 180 ლარია, ამიტომ პურის ფულს ხშირად ვსესხულობ ხოლმე და შემდეგ მიჭირს მისი გადახდა. ბევრმა მეგობარმა მაპატია და აღარ გამომართვა ვალი. წამლების ყიდვასა და ექიმებთან (მაგ., სტომატოლოგთან) მისვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ დროს დიდი პენსიები აქვთ სამხედრო პირებს, პოლიციელებს და ა.შ., მათ, ვინც იცავს მაღალჩინოსნებსა და მათ ქონებას. ეს მაღალჩინოსნები ვერასდროს შექმნიან სამართლიან წყობას.** „სადაც დიდი ფული ტრიალებს, იქ სიმართლეს რა უნდა“, — თქვა **იეთიმ გურჯმა.**

ასე იქნება მანამ, სანამ ასპარეზზე არ გამოვლენ დიდი ადამიანები, რაზეც ოცნებობდა მუხრან მაჭავარიანი.

ასე რომ, ბატონო დეპუტატებო და სახელმწიფოს მეთაურებო, თავი დაანებეთ თქვენი „მჭევრმეტყველური“ რიტორიკით ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას, დასხედით მოლაპარაკების მაგიდასთან, შერიგდით და გაამთლიანეთ საქართველო, სანამ არ გადავჩეხილვართ უფსკრულში და „დახმარების“ მიზნით არ დავუპყრივართ მტერს. მტერი კი კარს არის მომდგარი და ხახა ღია აქვს ჩვენს შესაჭმელად.

**მამუკა მდინარაძე,**
პროფესორი



# მშობიარობა და საკეისრო კვეთა ყველას დაუფინანსდება

**ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ მშობიარობისა და საკეისრო კვეთის დაფინანსება უკლებლივ ყველას შეუნარჩუნდება — მდიდარს, საშუალო შემოსავლის მქონეს თუ ღარიბს.**

„სახელმწიფო გააგრძელებს ზრუნვას მშობიარობის დაფინანებისას, მიუხედავად იმისა, რომელიმე ჯგუფის მოქალაქე დარჩება თუ გადავა კერძო დაზღვევაში. მეორე, ძალიან სპეციფიური საკითხია ონკოლოგია. პირობითად მდიდრების ჯგუფში, თუკი ისინი კერძო პაკეტს აიღებენ, მათ რჩებათ სახელმწიფო პროგრამები და მშობიარობის დაფინანსება, მაგრამ არა ონკოლოგიის. სახელმწიფო საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებზე ნებისმიერ შემთხვევაში გააგრძელებს ზრუნვას, თუკი მათ ონკოლოგიის გამო დასჭირდათ ქიმიოთერაპია; დაბალი შემოსავლის მქონეებზე კი გააგრძელებს როგორც ქიმიოთერაპიას, ასევე ჰორმონოთერაპიას და სხივურ თერაპიას“, — განმარტა დავით სერგეენკომ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარებისთვის დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდება:

**პირველი** მიზნობრივი ჯგუფებია, რომლებშიც შედიან **0-5 წლამდე ბავშვები, სტუდენტები, პენსიონრები, შშმ პირები, პედაგოგები, სოციალურად დაუცველები.**

**მეორე** კატეგორიას განეკუთვნებიან მოქალაქეები, რომელთა **წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია**. ასეთი საქართველოში 32 000 ადამიანია.

**მესამეა საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეები**, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 900 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი 40 000 ლარს არ აღემატება, მათი რაოდენობა 300 000-ია.

**მეოთხე** კატეგორიაა მოქალაქეები, რომელთა **სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100.000-მდეა.** მათი რაოდენობა 102 000-ია.

**მეხუთე** კატეგორიაა **6-18 წლამდე პირები,** სულ 503 000 ადამიანი.

**მეექვსე** კატეგორიაა **დაბალი და არარეგულარული შემოსავლის მქონე მოქალაქეები, ყოველთვიურად 900 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები და თვითდასაქმებულები.**

# ვინ არიან თბილისის საკრებულოს მილიონერი დეპუტატები?




**„სამოქალაქო პლატფორმა — ახალი საქართველოსა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ წარმომადგენლებმა 28 მარტს გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, რომ თბილისის საკრებულოში 13 მილიონერი დეპუტატია.**

თბილისის საკრებულოს მილიონერი დეპუტატების სიაში პირველ ადგილზეა „ქართული ოცნების“ წევრი **თამარ ტალიაშვილი** (3 383 898 ლარით). მას მოსდევს „ქართული ოცნების“ დეპუტატი **ილია (ჯაბა) ჯიშკარიანი** (3 349 705 ლარით), შემდეგ არიან „ქართული ოცნების“ წევრი **ვლადიმერ ძნელაძე** (2 935 134 ლარით), ფრაქცია „დედაქალაქის“ თავმჯდომარე **ზაზა ვეკუა** (2 510 281 ლარით), „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი **ავთანდილ დავითაძე** (2 311 337 ლარით). მილიონერებს შორის ყველაზე „ღარიბი“ აღმოჩნდა **გიორგი ტყემელაძე** (946 400 ლარით), რომელიც ასევე „ქართული ოცნების“ წევრია.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს 50 წევრიდან ქონებრივი დეკლარაცია ჯერ არ შეუვსია 21 დეპუტატს. მათ შორის 12 „ქართული ოცნების“ დეპუტატია, 2 — „ნაციონალური მოძრაობის“, 2 — კი „ევროპული საქართველოს“ წევრი. დეკლარაცია არ აქვს ასევე შევსებული ნინო ბურჯანაძის პარტიის ყოფილ, ამჟამად კი ფრაქცია „დედაქალქის“ ორ წევრსა და „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ წევრს; დამოუკიდებელ დეპუტატებს — **ალეკო ელისაშვილსა** და **დავით მანჯავიძეს.**

კვლევა ეყრდნობა დეპუტატების მიერ შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებს და ქონება შეფასებულია დღევანდელი საბაზრო ღირებულებების მიხედვით, მაქსიმალური ცდომილება 10%-ია. საკრებულოს დეპუტატების ნაწილს აქვთ შპს-ები და მონაწილეობენ ტენდერებში, რაც ეწინააღმდეგება საჯარო მოხელის საქმიანობას.




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი


# ავსტრიას ლტოლვილთა განაწილების ევროკავშირის პროგრამიდან გასვლა სურს

**ავსტრიის კანცლერი კრისტიან კერნი აპირებს, ევროკომისიას წერილობით მიმართოს და აუხსნას, რატომ არ სურს ქვეყანას ევროკავშირის ლტოლვილთა განაწილების პროგრამაში მონაწილეობა.**

ავსტრიის მთავრობის ხელმძღვანელმა მინისტრთა კაბინეტის სხდომის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ ავსტრიამ საბერძნეთიდან და იტალიიდან თითქმის ორი ათასი თავშესაფრის მაძიებელი მიიღო და არალეგალ მიგრანტთა ნაკადის ზრდის გამო სახელმწიფოს ლტოლვილთა მიღება აღარ შეუძლია. ავსტრიის თავდაცვის მინისტრმა **ჰანს პიტერ დოსკოცილმა** ადრე განაცხადა, რომ ვენამ ევროკავშირთან ლტოვილთა განსახლების თაობაზე პროგრამა უნდა დატოვოს. მისი თქმით, გასული ორი წლის განმავლობაში ავსტრიამ გაცილებით მეტი ლტოვილი მიიღო, ვიდრე იტალიამ. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ლტოლვილთა გადანაწილების თაობაზე შეთანხმება კვოტების თანაბრად გადანაწილებას ისახავს მიზნად, მაგრამ ამ პრინციპს არავინ ითვალისწინებს.




საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894